# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 10 სექტემბერი 1999 №173 (946) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა


**2** უეფა ქუთაისელებს ენდო

„ტორპედო“ აეკ-ს განახლებულ-გადანათლულ სტადიონზე უმასპინძლებს

**5** საიდან ასეთი ბავშვები?

გვიდო ბუხვალდს უკვირს, ამ პირობებში ქართველი ბავშვები ასე კარგად როგორ თამაშობენო

**7** ნორვეგია ზეიმობს



რა შეუძლია ერთ წელიწადს

**14** რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



ნონა გაფრინდაშვილი

**15** ულრიხმა გამარჯვების გემო გაიხსენა

„ვუელტაზე“ გუშინ პირველი მთიანი ეტაპი იყო


# ბოსკამპანია დასრულდა

არა, ბოსკამპს ქართულ ფეხბურთთან, სულ მცირე, ერთი მატჩი კიდევ აკავშირებს. ჰოლანდიელი საქართველოს ნაკრებს ალბანეთში უნდა გაუძღვეს და ამით ჩვენს ფედერაციასთან დადებულ კონტრაქტს ამოწურავს. თუმცა ლატვიასთან გუშინწინდელი წარუმატებლობით ბოსკამპს ქართველთა ნდობის ვოტუმი უკვე ამოეწურა. ერთადერთი მოგება და ერთი, ისიც სამარცხვინო ფრე ექვსი საერთაშორისო მატჩიდან „დინამოსა“ თუ ნაკრებში. ეს არ არის მხოლოდ უიღბლო ბოსკამპისა და საღათას ძილს მიცემული ქართული ფეხბურთის წარუმატებლობა. ვაითუ, ეს უცხოელი მწვრთნელის იდეის დისკრედიტაცია და სამომავლოდ უკეთესზე ფიქრის მოსპობის ნიშანია.

იხილეთ მესამე და მეოთხე გვერდები



ფრანსუა დე იონგს და იოჰან ბოსკამპს გუშინწინ სიხარული მწუხარებად ექცათ

# ოქროს ფასი და ცრემლების ჟამი

US OPEN

ნიუ იორკში, აშშ-ის ღია პირველობაზე ის დრო დადგა, თითოეულ მატჩს ოქროს ფასი რომ დაედო. გუშინდელმა დღემ უსენსაციებოდ, თუმც ერთი ფუჭი რეკორდით ჩაიარა, ნახევარფინალებში კი ანდრე აგასი — ევგენი კაფელნიკოვი და სერენა უილიამსი — ლინდსი დევენპორტი შეწყვილდნენ

იხილეთ მეცამეტე გვერდი



REUTERS ნიუ იორკიდან

ლინდსი დევენპორტი

# უეფა ტორპედოს სიტყვაზე ენდო

## ოღონდ სტადიონს ერთხელაც შეამოწმებენ

ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გაჩენილი ხანძრის ამბავი სწრაფად გავრცელდა, თუმც მისი დამალვა წარმოუდგენელი იყო და ეს არც არავის უცდია. იმ დღესვე „ტორპედოს" ხელმძღვანელობას უეფა-ს წარმომადგენელი დაუკავშირდა და საქმეში გარკვევა სთხოვა. ქუთაისური კლუბის მესვეურებმა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განუცხადეს ევროპული ფეხბურთის მამებს — 16 სექტემბრისთვის ყველაფერს აღვადგენთ, თქვენს კომისარს სტადიონი სრულ მზადყოფნაში დახვდება და ძალიან გთხოვთ, ქუთაისში დაგეგმილ შეხვედრას სხვაგან ნუ გადაგვატანინებთო.

უეფა „ტორპედოს" მეპატრონეებს სიტყვაზე ენდო. დიახ, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ფაქტია — გუშინ უეფა-ს სპორტულ ნაგებობათა კომიტეტის უფროსმა კლაუდიო ნეგრონმა შემდეგი განცხადება გააკეთა — უეფას თასის გათამაშების მატჩი ქუთაისის „ტორპედოსა" და საბერძნეთის აეკ-ს შორის აუცილებლად ქუთაისში გაიმართება და 17 საათზე დაიწყებაო. მისივე განცხადებით, მატჩზე პოლონელ კომისარს ზბიგნევ კალინსკის მოავლენენ, რომელიც ალბათ 15 სექტემბერს ესტუმრება ქუთაისს და სტადიონის ვარგისიანობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის ნეგრონს.

ასე რომ, „ტორპედო" მშობლიური გულშემატკივრების თანდასწრებით ითამაშებს და ამ საქმეს წყალი არ გაუვა. თუ ვინმეს ეჭვი გეპარებათ, შეგიძლიათ, ქუთაისის ცენტრალურ სტადიონს ესტუმროთ და იქ მიმდინარე აღდგენით სამუშაოებს თავად მიადევნოთ თვალი.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ტორპედო ტორპედოზე ითამაშებს

მეოთხე დღეა მკითხველს ქუთაისის მთავარ სპორტულ არენაზე კვირა დილით მომხდარი ხანძრის და აქვე ოპერატიულად დაწყებული აღდგენითი სამუშაოების შესახებ ინფორმაციას ვაწვდით. 16 სექტემბერს, სწორედ აქ, და არა სხვაგან, უეფას თასის გათამაშების მატჩში ჩვენმა „ტორპედომ" ბერძნულ აეკ-ს უნდა უმასპინძლოს. დრო მიდის და სტადიონის ადმინისტრაციული შენობის დაზარალებული ნაწილიც ძველ სახეს იბრუნებს. იბრუნებს რომელია, სულ მალე თავადაც დარწმუნდებით, უფრო ლამაზდება.

გამალებული მუშაობაა სტადიონზე. აი, გუშინაც მთლიანად შეილესა შენობის ფოიე, პირველი სართულის ოთახებსა და დერეფანში ჭერზე პლასტიკატიცააკრეს. წაბლისგან დამზადებული კარ-ფანჯრების ჩარჩოებსაც თავისი ადგილი მიუჩინეს. სადაცაა ელექტრიკოსებიც საქმეს მორჩებიან. ყველაფელი ეს გვაფიქრებინებს, მოესწრება შენობის აღდგენა, აუცილებლად მოესწრება. ასეა და, აქ თემას ოდნავ გადავუხვიოთ, მცირე ისტორიული ესკურსი გავაკეთოთ.

პირველი ოფიციალური თამაში ქალაქის ამ სპორტულ არენაზე 42 წლის წინ გაიმართა. 1957-ის 31 მარტს აქ საკავშირო ჩემპიონატის „ბ" კლასის გუნდები ადგილობრივი „ლოკომოტივი" და თბილისის ოფიცერთა სახლის (ტოდო) გუნდი შეხვდნენ ერთმანეთს სეზონის გახსნის მატჩში. მას შემდეგ ჩვენში და სხვაგან 40 წელი ცენტრალურ სტადიონად იცნობდნენ ამ არენას.

მაგრამ, შარშანწინ იყო, სტადიონი ახლებულად მონათლეს — იგი 20-40-იან წლებში ქუთაისში ცნობილი სპორტსმენისა და მწვრთნელის გივი კილაძის სახელობისა გახდა. ბოლო ორი წელი ამ სტადიონს ჩვეც ასე მოვიხსენიებდით — „გივი კილაძე".

გუშინ კი შევიტყვეთ, რომ საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს" მესვეურთ სტადიონისთვის ახალი სახელი შეურჩევიათ, მოკლე და კონკრეტული — „ტორპედო".

კომენტარისთვის ქუთაისური კლუბის ვიცე-პრეზიდენტს ბატონ შედან ნანიკაშვილს მივმართეთ და ასეთი პასუხი მივიღეთ:

— არავის ეგონოს, ამ ნაბიჯით გივი კილაძისადმი უპატივცემლობას ვიჩენდეთ ან მის სახელს ვაკნინებდეთ. ვიცით, რომ ამ კაცს დიდი დამსახურება მიუძღვის ქუთაისში სპორტის განვითარებაში. უბრალოდ, ჩავთვალეთ, რომ ასე უფრო გამართლებული იქნება. სტადიონი ხომ კლუბ „ტორპედოსია" და ბარემ სახელიც კლუბისა ერქვას — „ტორპედო".

**იუზა კაციტაძე** ქუთაისიდან



დავით დიღმელაშვილი

# ვიტ ჯორჯია „დინამოს" დიღმელაშვილით დაუხვდება

დავით დიღმელაშვილის დებიუტი საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში გადაიდო, ახალგაზრდა ფეხბურთელს შეუძლია თავი ინუგეშოს — ხვალ დიღმელაშვილი თავის ახალ გუნდში პირველ შეხვედრას ითამაშებს პირველ ლიგაში.

— ყველაფერი მოგვარდა. დღეს დათო განაცხადში შევიყვანეთ და შაბათს „დინამოს" წინააღმდეგაც ითამაშებს — გვითხრა გუშინ „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ.

დიღმელაშვილი ვეტერინარებთან ერთად კი ვარჯიშობდა, მაგრამ დღემდე მისი განაცხადში შეყვანა არ ხერხდებოდა. მიზეზი თურქული „სამსუნსფორი" იყო. ეს კლუბი ვეტერინარებს ფეხბურთელის განთავისუფლების ფურცელს უგვიანებდა. ქართველებსაც ლოდინი მობეზრდათ და „სამსუნსფორიდან" საჭირო დოკუმენტის ჩამოსატანად თავად ფეხბურთელის მამას მოუხდა წასვლა. შემდეგ კი ყველაფერი ადვილად მოგვარდა.

**პაატა ქვანტალიანი**

12 სექტემბერს მეორე ჯგუფის ჩემპიონატი იწყება, მაგრამ ბევრი რამ ჯერაც არ არის გარკვეული. თავდაპირველად მეორე ჯგუფში გამოსვლის სურვილი ორმოცდაექვსმა გუნდმა გამოთქვა და საშეჯიბრო კომიტეტმაც გათამაშების კალენდარი მოამზადა, მაგრამ ამაოდ, მალევე გაირკვა, რომ ბევრი გუნდი ვერ შეძლებდა ჩემპიონატში მონაწილეობას. მიზეზი, რა თქმა უნდა ფულია, 5 000 ლარი — ჩემპიონატში მონაწილეობისთვის შესატანი საწევრო თანხა. გეხსომებათ, საწევროს დროულად გადახდაში პრო-

# ცოტაა!..

ბლემები პირველი ლიგის გუნდებსაც შეექმნათ და აბა, მეორეჯგუფელების გაჭირვება რა გასაკვირია.

ასე რომ, ჯერჯერობით ასეა. კაცმა არ იცის, რამდენი გუნდით შეხვდება მეორე ჯგუფი ჩემპიონატს, ყოველივე დღეს გადაწყდება. ისე, ეს ჯგუფი შარშანდელთან შედარებით გვარიანად რომ შეთხელდება, თქმა არ უნდა — გასულ პირველობაზე ქვედა ლიგაში 55 გუნდი ასპარეზობდა.

**პაატა ქვანტალიანი**

# მადლობა ძველებს, შეძლება ახლებს

მადლობის მეტი რა გვეთქმის საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების ფეხბურთელებისთვის, მწვრთნელებისთვის... ამ ხალხმა არად ჩააგდო ის, რომ ჩვენს ქვეყანას საფეხბურთო მეურნეობა თითქმის არ გააჩნია, ის, რომ საქართველო სადღაც ხუთი ათეული ქვეყნის იქით მიკარგულა ფიფას სარეიტინგო ცხრილში, დაივიწყა ის, რომ ჩვენში ზოგჯერ მარცხითაც კმაყოფილდებიან. ჩვენი იყო თამაში, მაგრამ უიღბლობას რა ვუთხარითო, ამისთანა ლოზუნგს ხომ საქართველოში ხშირად და მარჯვედ იყენებენ. დაივიწყეს თვრამეტწლამდელებმა პრინციპული მატჩების წინ ავტობუსებით (კიდევ კარგი, ფეხით არა) გავლილი ასობით კილომეტრი. ისინი ფუფუნებაში არასდროს ყოფილან, პირიქით, ელემენტარული პირობებიც ბევრჯერ დაჰკლებიათ, მაგრამ მორალურ მხარდაჭერას ყოველთვის გრძნობდნენ და ქომაგთაც გაუმართლეს — ლამაზი გამარჯვება აჩუქეს...

შვედეთში ევროპის შვიდი საუკეთესო ქვეყნის დროშის გვერდით საქართველოს დროშაც ფრიალებდა. ეს ქართველი ახალგაზრდების და ვახტანგ კოპალეიშვილის დიდი გამარჯვება იყო. თვრამეტწლამდელებმა ნამუსი მოსწმინდეს პატივაყრილ და დაჩაჩანაკებულ ქართულ ფეხბურთს, მადლობა მათ ამისთვის.

ამ ნაკრებმა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში თავისი სიტყვა თქვა.



საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას ზეიმობს

20 სექტემბერს ევროპის მორიგი ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება, მორიგი გამოცდა თვრამეტწლამდელებისთვის — „კოპალას ბიჭებისთვის". უფრო სწორად, „კოპალას ახალი ბიჭებისთვის", რადგან ძველი თვრამეტწლამდელებისგან ვახტანგ კოპალეიშვილს მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი შერჩა — ზურაბ ხიზანიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, ედიკ საჯაია და რევაზ გოცირიძე — დანარჩენებს კარს მომდგარ შესარჩევ ციკლში თამაშის საშუალება არ ექნებათ, რადგან უკვე 1981 წელს და მის ზემოთ დაბადებულთა ჯერია. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ფაქტობრივად ახალი ნაკრებია ჩამოსაყალიბებელი.

ჩვენს პირობებში კი ამ პროცესს რამდენი წინააღმდეგობაც ხვდება, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. მართლაც რომ მორიგი დიდი გამოცდის წინ დგას ვახტანგ კოპალეიშვილი. ზემოთ ელემენტარული პირობების უქონლობა ვახსენე. ამაში პირველ რიგში იმას ვგულისხმობ, რომ ევროპის რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრილმა თვრამეტწლამდელებმა გასულ წელს თითზე ჩამოსათვლელი საკონტროლო მატჩი გამართეს, არც ერთ ამხანაგურ ტურნირში არ უასპარეზიათ. იმ დროს, როცა მათმა თანაჯგუფელმა იტალიელებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წინ 18 საკონტროლო მატჩი ჩაატარეს და ერთი ტურნირის მოგებაც მოახერხეს.

ეს პრობლემა დღეს მით უფრო მწვავედ დგას ახალი ნაკრებისთვის, რადგან შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე სულ რაღაც ათი დღე რჩება, ნაკრები დასაწყობ-დასაბალანსებელია, კოპალეიშვილი კი ორი, კინკილა საკონტროლო მატჩის (პირველი ლიგის გუნდებთან) და ოთხდღიანი შეკრების იმედადაა დარჩენილი. არადა, თვრამეტწლამდელებს სექტემბრის დასაწყისში შეთამაშების და გამოცდილების მიღების კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ მიწისძვრით დაზარალებულმა თურქეთმა, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოლიმპიური დღეების ჩატარება ველარ შეძლო და თვრამეტწლამდელებმაც პრაქტიკის მიღების შესაძლებლობა დაკარგეს.

იცის ვახტანგ კოპალეიშვილმა, რომ დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რადგან გასული წარმატების გამეორებას ახლაც მოსთხოვენ. ისიც მშვენივრად იცის, რომ დღევანდელი მდგომარეობით ერთობ არასახარბიელო სიტუაციაშია ჩავარდნილი, მაგრამ მაინც იმედიანად აცხადებს — თავს არ შევირცხვენთ, კვლავ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთო.

ღმერთმა გისმინოთ, ბატონო ვახტანგ, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ოთხდღიანი „მეზღვაურული" შეკრებების არ მწამს (თვრამეტწლამდელები 14 სექტემბრიდან თბილისში, სასტუმრო „მესაზღვრეში" შეიკრიბებიან). თქვენც იცით ეს ნაკრები მეტის, გაცილებით მეტის ღირსია, მაგრამ...

ცოტა რამ ქართველთა მეტოქეებზეც ვთქვათ. უელსში, მასპინძლების გარდა, ჩვენებურები შვეიცარიელებს და იტალიელებს დაუპირისპირდებიან. პირველ მატჩს 20 სექტემბერს ქართველები უელსთან გამართავენ. ორი დღის შემდეგ შვეიცარიელებს შეხვდებიან, 24 სექტემბერს კი ყველაზე „ახლობელ მეტოქესთან" შეეცდებიან რევანშის აღებას. იტალიელებმა ხომ წლეულს ერთხელ უკვე მოახერხეს ქართველთა დამარცხება ევროპის ჩემპიონატზე. აპენინელებმა მაშინ 2:0 იმარჯვეს, შემდეგ კი ვიცე-ჩემპიონობაც მოიპოვეს. იტალიელები უელსშიც ფავორიტები არიან, და, ბუნებრივია, ყველა ღონეს იხმარენ საბოლოო წარმატებისთვის. მით უფრო, რომ ფინალურ ეტაპზე ქვეჯგუფიდან მხოლოდ ერთი საუკეთესო გუნდი გადის. უელსს მასპინძლის უპირატესობა გააჩნია. თავის შანსის გამოყენებას, რა თქმა უნდა, ისიც შეეცდება და ქართველებს მათთანაც გაუჭირდებათ ბრძოლა, მით უმეტეს, რომ მასპინძლებს ქვეჯგუფის პირველ შეხვედრაში დაუპირისპირდებიან. შვეიცარიას საფეხბურთო ტრადიციები არ დაეწუნება, მაგრამ სხვებთან შედარებით, ალბათ, ნაკლები უპირატესობა ექნება, თუმც ისიც ცხადია, ჩვენგან განსხვავებით საათივით რომ ექნებათ აწყობილი საქმე.

მოკლედ ასეა. ათ დღეში ახალი თვრამეტწლამდელები ევროპის ჩემპიონატის ახალ შესარჩევ ეტაპში ჩაებმებიან. იმედია, ახლა მაინც თვითმფრინავით გაემგზავრებიან უელსისკენ, იქ კი ყველაფერი ვახტანგ კოპალეიშვილის და ბიჭების მარიფათზე ჰკიდია.

**პაატა ქვანტალიანი**

# ბოსკამპანია დასრულდა




შოთა არველაძის (№11) ამ დარტყმით ანგარიში გაიხსნა

**ყველანაირ** კამპანიას თავისი დრო და ადგილი აქვს. იგი იწყება, ვითარდება და ბოლოს, როგორც ყველაფერი ამქვეყნად, წყდება. ამ კანონის თანახმად დაიწყო, განვითარდა და შეწყდა საშუალო გაქანების ჰოლანდიელ მწვრთნელ იოჰან ბოსკამპისადმი მხარდასაჭერი კამპანია საქართველოში. თუმცა ძალიან ადრე, მაგრამ კანონზომიერადაც.

უამრავი რომ შეიძლება მოვიყვანოთ ბოსკამპანიის უდროოდ დასრულების მიზეზად, მაგრამ მათგან მაინც უმთავრესი მომენტების გამოყოფა ხამს. ახლა წვრილმანებში ქექვის დრო არ არის, თუმცა არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ ყველა საქმე წვრილმანებიდან იწყება და მასზეა აგებული.

მაშ ასე, დავსვათ კითხვა, რატომ ჩაფლავდა ბოსკამპანია საქართველოში. ვწეროთ ობიექტურად, შეძლებისდაგვარად გვერდი არ ავუაროთ ბოსკამპანიაში მონაწილე ობიექტებს, მაგრამ სათქმელი ვთქვათ იმ სუბიექტებზეც, რომლებიც საქართველოში ჰოლანდიელის ჩამოყვანას ქართული ფეხბურთის უეჭველ აღორძინებას უკავშირებდნენ.

### მომენტი პირველი — შედეგი

შედეგზე საუბარი იმდაა ადვილი, რომ იგი თვალსაჩინოა. მას ყველა ხედავს. შედეგი ბრაზილიელი დე სოუზა არ არის, რომელზეც თანაგუნდელს ჰოლანდიურ შეკრებაზე კარგი შეხედულება აქვს, თბილისში კი ყველა უბედურების მიზეზად ის გამოჰყავს. რაც უნდა ჩქმალო და მალო, შედეგით ვერავის მოატყუებ. კიდევ ვიმეორებთ — მას ყველა ხედავს და იმიტომ.

მაგრამ შედეგსაც გააჩნია თავისი საზომი პარამეტრები. იგი ძირითადად დროს ემორჩილება. კერძოდ, შეიძლება საფეხბურთო გუნდმა რაღაც ეტაპზე წააგოს, ვერ აჩვენოს რეზულტატი, მაგრამ საბოლოოდ, ყოველივე მისთვის სასიკეთოდ მორჩეს. ანუ როცა საუბარია შედეგზე, იქვე უნდა წამოვწიოთ დროის ფაქტორი და რა თქმა უნდა, დროზე და შედეგზე გათვლილი სტრატეგია.

სტრატეგია, რომელიც ფაქტობრივად არც არსებობს საფეხბურთო საქართველოში.

იქ კი, სადაც სწორი კურსი და სამოქმედო პროგრამა არ არსებობს, სადაც შედეგი გაიგივებულია ლოკალურ, პატარ-პატარა მიღწევებთან, სადაც მაქსიმუმ ერთი სეზონის იქით არავინ იყურება, აზრი არა აქვს საქმის კეთებას.

ერთმა სხვებზე ავტორიტეტულმა ქართველმა მწვრთნელმა ახალ გუნდში მისვლისას ჟურნალისტის კითხვაზე — რა სამოქმედო პროგრამით აპირებთ მუშაობასო — გაიღიმა და ეს უპასუხა — პროგრამა მე არ ვიცი, მომცეს ადგილი, დამპირდნენ ხელშეწყობას და ფულს, გუნდის გაკეთება კი ჩემი საქმეაო. საქმე სწორედ ამ „გუნდის გაკეთებაშია" — ჩვენს ფეხბურთში გაჩნდა „ელიტარულ მწვრთნელთა კასტა", რომელთაც ყოველთვის სხვაზე მეტს უხდიან, ჰყავთ თავისთვის სასურველ ფეხბურთელთა ბირთვი და ამ „ერთგულ" მოთამაშეებზე დაყრდნობით იქმნება „ერთწლიანი" გუნდები ამა თუ იმ რეგიონში.

შედეგი? საკმაოდ პროზაული — რეგიონის მავან მოხალისეს ბეზრდება ფულის ამოგების გარეშე ხარჯვა, ერთ დღეს გვარიანად შემსუბუქებულ ჯიბეს ამოიბერტყავს და მწვრთნელს, გუნდსაც და ფეხბურთელსაც თავს დაუკრავს.

ხომ ნაცნობი სცენარია? აბა გაიხსენეთ, რომელ მეცენატს ეყო მოთმინება და გაუჭრა მხედველობამ ერთი სეზონის იქით?

იგივე მოხდა იოჰან ბოსკამპის შემთხვევაშიც — გაზაფხულის მიწურულს ჩამოყვანილ კაცს, ზაფხულში ჩემპიონთა ლიგა მოსთხოვეს, შემოდგომაზე წიწილების დათვლა და რა ნახეს, ბევრიც არაფერი აღმოაჩნდა დასათვლელი — თბილისის „დინამოდან" გაუშვეს.

ფაქტობრივად, ბოსკამპი ნაკრებიდანაც მაშინ წავიდა. მისი სხეული აქ დილმის ბაზაზე კი არის, მაგრამ საფეხბურთო, სამწვრთნელო, პროფესიონალური სული (უწოდეთ, რაც გნებავთ) უკვე „ასტრალშია გასული".

ამიტომაც იქცა ლამის ისტერიკამდე მისული, ყვირილისგან ხმაჩახრინწული „HOMO NUOVO", უკანალზე ხელშემოწყობილ, ქუთაისლები რომ იტყვიან, „ფეხებზე მკიდია, ლადო" კაცად.

შედეგიც და სტრატეგიაც ეს არის — ვეძებდით ახალ კაცს, ფეხბურთის ამაღორძინებელს და მივიღეთ... ვერც ვერაფერი

### მომენტი მეორე — მენტალიტეტი

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ბოსკამპი საშუალო გაქანების მწვრთნელია. მაგრამ ერთს დავიჩემებ, ბოსკამპი იმაზე კარგი ფსიქოლოგია და აზროვნების გაცილებით ფართო დიაპაზონი აქვს, ვიდრე ეს ზოგიერთს ჰგონია.

ჰოლანდიელს ტყუილად არ წამოუწყია „ჯორჯიან მენტალიტეტზე" და საერთოდ მენტალიტეტზე საუბარი. თანამედროვე ევროპელისთვის (აუცილებელი არაა ფეხბურთის მწვრთნელობა) წარმოუდგენელია საქმის ზერელედ კეთება. მან იცის, რომ საქმემ პური უნდა აჭამოს და აკეთებს ზუსტად იმდენს, რამდენსაც საქმე ითხოვს მისგან.

ამიტომ იყო, პროგრამა-მინიმუმად ჩემპიონთალიგადასახული ბოსკამპი ლამის ასათიანზე წასაყვანი შეიქნა, როცა ერთმა შეაგინა, მეორემ თითი საფეთქელთან დაუტრიალა, მესამე „ველად გაიჭრა" და ამგვარები... სწორედ მაშინ ისწავლა, ვგონებ, ერთადერთი ქართული სიტყვა „დებილი" უცხოელმა და იგი „ჯორჯიან მენტალიტეტს" მიაბა.

ეს ჩვენში ყბად აილეს — დაგვცინისო. არასწორი აზრია. დაგვცინის კი არა, ცივი შხაპი უნდა იყოს ეს სიტყვები, მართლაც რომ დაბალ დონეზე მოაზროვნე ქართული საფეხბურთო მენტალიტეტისთვის. როცა ამგვარი რაღაცეები ხდება ნორმალურ საფეხბურთო ქვეყნებში, ხალხი დგება და მარტო მწვრთნელს არა, მის ჩამომყვანსაც სთხოვს პასუხს.

ჰოდა, ალავერდიც ბოსკამპის აქ ჩამომყვანებთან — თუკი არ იცნობდით, აწონ-დაწონილი არ გქონდათ და არც ცდა შეგეძლოთ, რაღას მოგყავდათ,




იმანტს ბლეიდელისი და ლევან ცქიტიშვილი (№3)

დალოცვილებო. პრობლემა აკლია ქართულ ფეხბურთს? ამისთანების შემდეგ, თუ მენტალიტეტზეა საუბარი, ბოსკამპის მომყვან-მიმღები ხალხისა უფრო მიკვირს.

თავად ჰოლანდიელი კი ნურავის ეგონება „ჩახსნილი ვაგონი". იგი, დარწმუნებული ვარ, კიდევ არაერთხელ ჰკრავს წიხლს სკამს, ძველებურადაც იჭიხვინებს და ევროპაშიც გაიტანს მოგონებას „გადასარევ ქართულ პურზე" (შოთი მოსწონებია) და დაუწყობელ ქართულ ფეხბურთზე.

იგი კიდევ იშოვის სამუშაოს. ქართულ საფეხბურთო მენტალიტეტზე კი აბა რა მოგახსენოთ — თუ ასე მახინჯად განვითარდა...

ფეხბურთის ახალი მოდიფიკაცია, სადაც საკუთარ კარში მეტი გოლის გამშვებია გამარჯვებული, შეგვრჩება ხელთ.

### მომენტი მესამე — ფეხბურთელები

ამ ხალხს რა უნდა, არც ახლა მესმის და კარგა ხანს ვერც გავიგებ.

მათ ნათამაშევზე და შედეგებზე აქამდეც მრავალს და მრავალჯერ უთქვამს. და მაინც, თავი არავისზე ნაკლები ჰგონიათ.

პირველ რიგში, თანამედროვე ქართველი ფეხბურთელის და მასმედიის ურთიერთობაზე ვიტყვით და მერე მთავარს, მწვრთნელთან ურთიერთობას დავუბრუნდებით.

არც მასმედიაა ქერუბიმთა საკრებულო და არც ჟურნალისტია ანგელოზი. პრესაშიც, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სფეროში, არის ნაკლოვანებანი, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ტენდენცია უკეთესობისკენ მიდის (ფეხბურთში?).

ჩვენი მოთამაშეების უმეტესობას მასმედიასთან ურთიერთობა აღიზიანებს. ეს იმიმტომ, რომ ვერ ფლობს ამ ურთიერთობის ხელოვნებას. და ერთიცაა, ბევრი მათგანი სახარებისეულ „სახლში ლომ და გარეთ კურდღელს" მაგონებს. აქ, საქართველოში, ინტერვიუ რომ გამოსტყუო, ჯადოქარი უნდა იყო და იქ, საზღვარგარეთ, როგორი დამყოლები არიან?

თუმცა მასმედიას არც არაფერი აქვს საწუწუნო. თუ კურსი მსოფლიოს ფეხბურთისკენაა აღებული, მალე ჩვენშიც ყველაფერი ისე მოეწყობა, როგორც სხვაგან. ვერც ინტერვიუს დაგამადლებს ვინმე და ვერც ბლიცს.

და ერთიც, როცა ფეხბურთელი ინტერვიუს „ემოტავს", იგი მკითხველს ან ემალება, ან პატივს არ სცემს. აუჩემებიათ, ერთს ვამბობთ, მეორეს წერენო. რა, ჟურნალისტი ვერ აგებს პასუხს? თუ მართლა ანგელოზები ჰგონიათ ფეხბურთელებს?

პრესისა და ფეხბურთის ურთიერთობაზე ამდენი იმიტომ გავაგრძელეთ, რომ ბოსკამპიც გვარიანი გაქირი გამოდგა. მასაც ყოჩაღად ეკიდა ფეხბურთისგან საფუძვლიანად მონგრეულ ფეხებზე ქართული მასმედიის საწუხარი. შინაურ პრესკონფერენციებს თავი დავანებოთ (მიჩვეულია ხალხი), უცხოეთშიც არ დაბრძანდებოდა-ხოლმე მატჩისშემდგომ თავყრილობებზე.

რაღა დარჩა, ალბათ, ერთი მატჩი ალბანეთთან და ბოსკამპიც წავა. და თუ ასე არ მოხდა, სფფ გვარიან სანქციას აიკიდებს უეფასგან მისი უპასუხისმგებლობის გამო.

ახლა კი მთავარზეც — ბოსკამპანიის ჩაფლავების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მწვრთნელთან „ყალყზე მდგარი" ფეხბურთელებიც მიმაჩნია. გუნდში, როგორც წესი, ოცდაორი ფეხბურთელია და თუ მწვრთნელად თითოეული მათგანისთვის მოსაწონი პიროვნების ძებნას შევუდექით, კონტრაქტის გაფორმება ან მამაზეციერთან, ანაც სინდი კროუფორდთან მოგვიხდება.

ქართველ ფეხბურთელთა ამ თაობას სერიოზულად მიაჩნდა, რომ შეუცვლელები არიან, რაც კარგია მინდორზე, მათი „კლასია", რაც ცუდი კი „მწვრთნელის დაბალი კვალიფიკაცია".

ძნელია მათთან დავა, მაგრამ დაკნინებული ქართული ფეხბურთის ცქერა უფრო ძნელია და ამისთანებიც ამიტომ იწერება.

ჩვენში ჯერაც ერიდებიან ჟურნალსტურ ძიებებს, თორემ ხალხში მოარული ხმები — თუ სად, როდის და რომელ მატჩში რომელი მწვრთნელი „ჩაუშვეს" ფეხბურთელემა, პრესიდანვე ეცოდინებოდა ყველას.

მანამდე შორია, ასეთ მტკიცებებს ფაქტები სჭირდება და სანამ ფაქტი არა გაქვს, ვერ დაწერ. ისე კი, ყველას ყურამდე აღწევს რაღაც-რაღაცეები.

### ბოლო მომენტი — მთავარდება ერთი, იწყება მეორე.

ნებისმიერი დასასრული, თავისთავად, რაღაც ახლის დასაწყისიცაა. ფაქტობრივად დასრულებულმა ბოსკამპანიამაც ახალს, უკეთესს უნდა ჩაუყაროს საფუძველი. უნდა შეიცვალოს საერთო მიდგომა. თორემ მწვრთნელები და ფიფა-უეფას ტურნირები სანამ ფეხბურთი იარსებებს, არ დაილევა და როდემდე ველოდოთ?! ამდენ ლოდინში ის ფეხბურთელებიც დაამთავრებენ კარიერას, „რომელთა ნიჭს და მნიშვნელობასაც ვერ აფასებენ ჩვენში".

დედამიწაზე და საფეხბურთო მინდორზეც დროზე ძვირფასი კაპიტალი არ არსებობს, ამიტომ სფფ-ც ახლავე უნდა შეუდგეს ფიქრს ახალ კანდიდატურაზე. ბოსკამპი ქართული ფეხბურთისთვის არც ფაქტობრივად, თითქმის არც იურიდიულად არ არსებობს.

ხოლო ვინც მოვა, მას მისცეს დრო, უფლებები და მოსათხოვიც კონტრაქტის მიხედვით მოთხოვოს.

მაშ ასე, ბოსკამპანია დამთავრდა.

დაწყებით კი უამრავი რამ უნდა დაიწყოს. და ისევ თითქმის ნულიდან.

**კონსტანტინე ბოგიშვილი**

# დაუსრულებელი კოშმარი

ქართული ფეხბურთის ურემი დიდი ხანია, გადაბრუნდა. ამას რაც უნდა მოჰყოლოდა, ხომ კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის საუბედუროდ, გზა ჯერაც არ გამოჩენილა. ამ ქვეყანაში ყველაფერი უკუღმა ტრიალებს. აქაც გამორჩეულები ვართ ქართველები, სიბნელეა ფეხბურთში, უკუნი სიბნელე. ეს არის დაუსრულებელი კოშმარი.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ქვეჯგუფში ხუთიოდ ქულას მოუყარა თავი. ჯერჯერობით სამარცხვინო შედეგია, მაგრამ არაფერია იმასთან შედარებით, რაც გველის.

მომდევნო შესარჩევი ციკლის წილისყრა დეკემბრის დასაწყისში გაიმართება ტოკიოში. აქედანვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთ უძლიერეს ჯგუფში მოვხვდებით, ისეთში, ახლანდელი ხუთი ქულა სანატრელი გაგვიხდება.

ქართულმა ფეხბურთმა, რამდენიმე დარდიმანდი ხელმძღვანელის თავქარიანობითა და უპასუხისმგებლობით, ერთი ხელის მოსმით გაანიავა ტანჯვითა და წვალებით მოპოვებული მცირე, მაგრამ მაინც იმიჯი. დღეს ევროპის ნებისმიერი ქვეყანა, საფეხბურთოც და არასაფეხბურთოც, ზემოდან დაცქერის, ტანჯულ ქართულ ფეხბურთს. შენ ვერ შეედრები არა მარტო ბობოლებს, არამედ ანდორას, სომხეთს, ლატვიას და მისთანებს.

ანდორელები მსოფლიოს ჩემპიონებთან მხოლოდ თერთმეტმეტრიანით აგებენ, სომხები იგივე ჩემპიონებს საშინლად ანერვიულებენ და კარსაც ორჯერ ულაშქრავენ. ლატვიამ კი ოთხი ქულა აგაფცქვნა. ფეხქვეშ გათელა შენი სიამაყე. ერთი ალბანეთი დაგრჩა, რომელთანაც დადებითი ბალანსი შეგინარჩუნებია, მაგრამ ალბანეთის ეროვნული ნაკრები, როგორც გუნდი, შენსას სჯობს. შენთვის ყველა სიკეთე დაკარგულია (უფრო სწორად, დაგიკარგეს), ქართულო ფეხბურთო.

სიმწრის, იმედგაცრუების, ტანჯვის და მღალადებლის განგაში რა ხანია, ატეხილია, მაგრამ ყური არავის შეუბერტყავს. დგას ქართული ფეხბურთი და მისთვის წინ სავალი გზა არ არსებობს, არც უკანდასახევი და ძალების მოსაკრები დარჩენილა. უპატრონოა დღეს ქართული ფეხბურთი.

რამდენჯერ გვითქვამს და დაგვიწერია ფეხბურთის სიკვდილის მიზეზებზე და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, თუმცა, დარწმუნებულები ვართ, ამით არაფერი შეიცვლება.

ფეხბურთის გაუბედურებაში დამნაშავეა ქვეყანა თავისი ჩინოვნიკური აპარატით, დამნაშავეა ფეხბურთის ფედერაცია, მწვრთნელიც და ფეხბურთელიც. ალბათ, გულშემატკივარიც, რომელმაც ყველა უბედურება იგუა.

ამქვეყნად ყველა სიკეთე რომ მომსპარია, ამას მტკიცება რად უნდა. გაპარტახებული ეკონომიკა, გაბრიყვებული და დაჩანაკებული მოსახლეობა, რომელიც დღითი დღე ლატაკდება. ხალხს პური ენატრება და ყველაფერზე მიდის, ოღონდ თვიდან თვემდე თავი გაიტანოს. ასეთ ქვეყანას და მის ხელმძღვანელებს ფეხბურთის ბედი არ აღელვებს. როგორ შეიძლება, მსგავს პირობებში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდეს. ეს ხომ ზღაპარია.

სახელმწიფო არ გეხმარება, მაშინ ფეხბურთის ფედერაციამ თავად უნდა იპოვოს გამოსავალი. ვეძებთ, მაგრამ გასაქანს არ გვაძლევენო, ამბობენ. თუ არ ვცდები, ფედერაციის ანგარიში ახლაც გაყინულია. ყადაღა ისე დაპატრონებია ფედერაციის საბანკო ანგარიშს, რომ მისი გამოხსნა თითქმის წარმოუდგენელია.

თუ გასაქანს არ გაძლევენ, ყველანაირად ხელს გიშლიან, მოსვენებას გიკარგავენ, მაშინ აჩვენე ხალხს, რომ შენ ეცადე, ყველა გზა მოსინჯე და რომ ვერაფერი გააწყვე, მიაფურთხე ხელისშემშლელებს, სხვა გზას ეწიე, შენი მონდომება და უნარი სხვაგან გამოავლინე. ძნელი იქნება ამის გაკეთება და არცაა ფეხბურთის ფედერაცია ამის გამკეთებელი. მაშინ, კეთილი ინებე და ფეხბურთს უშველე, მაგრამ ეს უფრო ძნელია.

ძველი ფედერაცია იყო და სულ იმას გაიძახოდნენ, ნაკრებს ბაზა სჭირდება, შევარჩიეთ ადგილები და მათგან საუკეთესოზე მშენებლობას დავიწყებთო. ისე ყველაფერი ცუდი აგიხდეთ, როგორც ის ნათქვამი ახდა.

ახალმა ფედერაციამ ბაზის პრობლემა იმითი გადაჭრა, რომ დილმის ბაზას შეაკედლა გუნდი. იქ არსებული ვითარებიდან გამომდინარე კი, ნაკრები ნორმალურად ვერასდროს მოემზადება. ასე იყო ადრე, ასეა ახლაც და ასე იქნება შემდეგშიც. ნაკრებს ცალკე ბაზა სჭირდება და თან საჩქაროდ.

სხვა უამრავ მსხვილმან თუ წვრილმან საკითხებზე არაფერს ვიტყვით, მხოლოდ ერთს დავძენთ, ფედერაცია ვალდებულია აქედანვე იფიქროს ეროვნული გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელზე. 9 ოქტომბრამდე არც ისე დიდი დროა, ხოლო იოჰან ბოსკამპს, საქართველოს ნაკრების ბედი ისე ადარდებს, როგორც „დინამოს“ რამდენიმე ფეხბურთელს თავად ბოსკამპის.

თუმცა, თუ ფედერაციიდან გამოჟონილ ხმებს ვერწმუნებით, თურმე ბოსკამპის მემკვიდრედ ისეთ კაცს ამზადებენ, ქართული ფეხბურთის ყველა სიავე მონაგონი იქნება.

არა, ძალიან ცუდ დღეშია ფეხბურთის ფედერაცია, ისეთში, მტერს რომ არ უსურვებს კაცი, კრიზისიდან თავის დაღწევის არავითარი გზებიც არა ჩანს. ახლა ბევრს საუბრობენ ფეხბურთის ფედერაციის „სტრატეგიულ კურსზე“, რომელზეც, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, არაფერი გვსმენია.

ფეხბურთში კი სიბნელეა, უკუნი სიბნელე.

აწი ბოსკამპს გინდ მრისხანე უწოდეთ, გინდაც მოსიყვარულე. იოჰანმა თავისი გედის სიმღერა „ზიმბრუსთან“ თბილისურ მატჩში იმღერა. ჰოლანდიელი მშვიდად დაელოდება ციკლის ჩამთავრებას, აიღებს კუთვნილ ფულს და მშვიდადვე წავა. ზრდილობისთვის კეთილ სურვილებს დაგვიტოვებს, რაც ვერავითარი ნუგეში იქნება ჩვენი ფეხბურთისთვის.

არადა, ბოსკამპი არ იყო ქართველი ფეხბურთელების დასაწუნი სპეციალისტი. ცოდნაც ჰქონდა და გამოცდილებაც. მისგან შეგვეძლო არაერთი სასიკეთო სიახლე შეგვესწავლა, მაგრამ ისიც ისე იოლად მოინელეს ფეხბურთელებმა, როგორც მისი წინამორბედები.

იოჰან მრისხანემ ალღო ვერ აუღო აქაურობას, ირგვლივ ყველაფერი აკვირვებდა, განსაკუთრებით ის, რომ ქართველებს არ უყვარდათ სწავლა და შრომა. ეს შეიძლება არ გაგვიკვირდეს ჩვენ, მაგრამ უკვირთ ევროპელებს.

ჯიუტიც გამოდგა ჰოლანდიელი, ფეხბურთელების მენტალიტეტის შეცვლა მოინდომა, ერთხელ შერჩეული სტილი ამოიჩემა და სიმართლე თუ გნებავთ ესაა — ამასვე ემსხვერპლა. ქართველებზე დიდი ჯიუტი ვერ გამოდგა იოჰანი. გვიან მიხვდა და გაცლა ამჯობინა. ის არ დარდობს წაგებაზე, არც ნაკრებზე, მხოლოდ შელახული ავტორიტეტი აწუხებს.

ბოსკამპს იმ მოთამაშეებმა (უფრო რამდენიმემ) უმუხთლეს და ისინი აუჯანყდნენ, რომლებიც უიმისოდ კარიერას ისე დაასრულებდნენ, რომ ნაკრების მაისურას ვერ ეღირსებოდნენ. ვისაც უნდა ექო, იმან აგინა. ესეც ქართული წესია.

ვერ გაიტანა თავისი ჰოლანდიელმა, ან კი ვინ გაატანინებდა. თავად უნდა სცოდნოდა, რომ ორ თვეში გუნდს ვერაფრით ააწყობდა. ყვირილმა თუ უზომო ხარხარმაც შედეგი ვერ მოიტანა. ჰოლანდიელი არნახულ წინააღმდეგობას შეემსხვრა და მომხდარი ჭკუის სასწავლებლად გამოადგება. ეჭვიც არ შეგეპაროთ, ისწავლის კიდეც, ჩვენ კი არაფერი გვეშველება.

*Go There* — გუშინწინ მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში ამას უყვიროდა ფეხბურთელებს. მაინც ვერაფერი შეასმინა. კინაღამ დაანგრია სტადიონი, ბოსკამპის ღრიალმა. ჰოლანდიელი მოძრაობას, უკან ჩასვლას ითხოვდა, მაგრამ ყური არავინ უგდო.

დაუსრულებელი წინააღმდეგობებით გაღიზიანებული მწვრთნელი კი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. გზა-კვალი დაებნა საცოდავს. უხეშ და მყვირალა კაცად დაგვამახსოვრა თავი, რომელსაც შიგადაშიგ ავადმყოფურად ხარხარი შეუძლია.

იოჰან ბოსკამპი უმუშევარი არ დარჩება, იპოვის თავის გზას, ხოლო ქართველებთან ურთიერთობას თავისი ცხოვრების შავბნელ პერიოდად ჩათვლის.

მაშ ასე, მშვიდობით, იოჰან! ბოსკამპის ერა ქართულ ფეხბურთში დასასრულს მიუახლოვდა. უსახელოდ და უშედეგოდ სრულდება მისი მოწვევა, მხოლოდ ხარჯი და არაფერი ხარჯის გარდა.

ნაკრების მოთამაშეებზე ახალი რა უნდა თქვა. ეს არ არის გუნდი, უფრო ინდივიდუალური ფეხბურთელებისგან შეკოწიწებული ნაყარია, რომელსაც არ შეუძლია გამარჯვება, რადგან წაგებულის ფსიქოლოგიითაა დაავადებული.

ეროვნული ნაკრების წევრებს არ შეუძლიათ 90 წუთის მანძილზე ბრძოლა. მათი მაქსიმუმი 60-65 წუთია, მერე მეტოქეს გააჩნია, თუ ვარგა, სულ მცირე, ორ გოლს გაგიტანს, უკეთესი — მეტს.

არასტაბილური მეკარე, შეშინებული დაცვა, უმოძრაო ნახევარდაცვა და საგოლე მომენტების თავზეხელაღებით მფლანგველი თავდასხმა. „დღევშჩინაა“ ნაკრებში და არაპროფესიონალიზმიც მყარად ფეხმოკიდებული. უხასიათობა, ერთმანეთისადმი უპატივცემლობა, ცხვირაბზეკილობა და არასერიოზულობა.

როგორ შეიძლება, ასეთმა გუნდმა კარგად ითამაშოს. გამორიცხულია, ნაკრებმა მეტოქეს სძლიოს. არსად, არც ერთი ქვეყნის ნაკრები საქართველოსას თავს არ დააჩაგვრინებს იმიტომ, რომ სხვა დანარჩენი გუნდი პატივს სცემს თავის ქვეყნის დროშას, ჰიმნს, ხალხს. უბრალოდ, მოკლედ რომ ვთქვათ, თავმოყვარეა.

რა თავმოყვარეობა და ქვეყნის სიყვარულზე უნდა ელაპარაკო საქართველოს ნაკრების იმ მოთამაშეს, რომელიც შეკრებაზე იმყოფება, ახალგაზრდა თანატოლების თამაშზე მიდის და ნორვეგიის ნაკრების მაისურათი შემოსილა. არც ერთი ქვეყნის არც ერთი ფეხბურთელი ამას არ იკადრებს. მხოლოდ ქართველი და სხვაც არავინ ქართველის გარდა.

ჩემი ნება რომ იყოს, ეროვნული გუნდიდან მხოლოდ ხუთ ფეხბურთელს დავტოვებდი, დავუმატებდი ახალგაზრდული ნაკრების 10-12 მოთამაშეს, დავუნიშნავდი ნორმალურ, საშუალო ევროპული დონის სპეციალისტს და აქედანვე მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის მოემზადებოდნენ. ნიჭიერება ჩვენებს არ აკლიათ, სწორი ფეხბურთის თამაში და აზროვნების განვითარებაა ასათვისებელი.

თუ გუნდი არ გადახალისდა, ისევ იგივეს (უარესსაც) მოველოდეთ.

გერმანელი გვიდო ბუხვალდი გუშინწინ ამბობდა, ბავშვების გაცვლა-გამოცვლა გვსურსო. საცოდავი გერმანელი ბავშვები, რა დაუშავეს მსოფლიოს ჩემპიონს ისეთი, გასაწირად რომ გაუმეტებია. ბუხვალდმა არ იცის, სად მოჰყავს ისინი. აქ სიგარეტის წევას, ლოთობას და სხვა ათასგვარ სიავეს უფრო ისწავლიან, ვიდრე ფეხბურთის თამაშს. ფსიქიკის გადაგვარებაზე და გაგიჟებაზე ფიქრით დაიღლებიან ის ბავშვები.

არ გინდა, გვიდო, არ დაიდო გერმანელი ბავშვების ცოდვა. უმჯობესია, აქედან წაიყვანო და რაც მეტს წაიყვან, მით უკეთესი მათთვის და ქართული ფეხბურთისთვისაც.

**მამუკა ბვანტალიანი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩა ჯამარაული



ლევან კობიაშვილს (№9) გოლი გააქვს, თანამსაჯი კი თამაშგარეს აფიქსირებს

# გვიდო ბუხვალდის ქართულ-გერმანული იმედი

## საიდან ასეთი ბავშვები? უკვირს მსოფლიოს ჩემპიონს

*გვიდო ბუხვალდი, ახლო წარსულში სახელგანთქმული გერმანელი ფეხბურთელი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, რამდენიმე დღეა, თბილისში იმყოფება. ქართველ ქომაგებს, ალბათ, ემახსოვრებათ 80-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი, რომელიც თავისი კარიერის მანძილზე ორჯერ დაეუფლა გერმანიის ჩემპიონის ტიტულს, ერთხელ კი ქვეყნის სუპერთასი მოიგო, სამჯერაც (1984, 1988 და 1992 წლებში) ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა, სადაც 1992 წელს ვერცხლის მედალიც მოიპოვა. იმავე წელს ბუხვალდი მეორედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. გადამწყვეტ ტურში „შტუტგარტმა" სტუმრად „ლევერკუზენს" 2:1 მოუგო, მეორე გოლი კი მატჩის უკანასკნელ წუთზე სწორედ ბუხვალდმა გაიტანა.*

*მიუხედავად ამისა, ფეხბურთელის ყველაზე ბედნიერი წუთები, ბუნებრივია, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს უკავშირდება.*

*ასეთი პიროვნების თბილისში ჩამოსვლამ, ცხადია, დიდი ინტერესი გამოიწვია. გუშინწინ მან „კარლსრუეს" სკაუტ ლოტა შტრელაუსთან და გერმანიაში მოღვაწე სოხუმელ ბიზნესმენ რობერტ მირალთან ერთად ვაკეში მდებარე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ირაოში" პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც გუშინდელ „სარბიელში" იხილავდით. დღეს კი დანაპირებს ვასრულებთ და გვიდო ბუხვალდთან ვრცელ ინტერვიუს გთავაზობთ. თუმცა მანამდე ერთს დავამატებდით — გერმანელმა მსოფლიოს ჩემპიონმა პიროვნულადაც სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. იგი ყველასადმი კეთილგანწყობას ამჟღავნებდა, არც მოედანზე შესვლა და „ირაოს" ერთ-ერთი გუნდის ჭაბუკი მეკარის გავარჯიშება ითაკილა. მანამდე კი, მიუხედავად იმისა, რომ ერთ საათში პრესკონფერენცია ელოდა, „სარბიელს" სავანგებო ინტერვიუზეც სიამოვნებით დათანხმდა.*



გვიდო ბუხვალდი

**— რა მიზნით ჩამოხვედით საქართველოში?**

— უპირველეს ყოვლისა, მოგახსენებთ, რომ ამჟამად მეორე ბუნდესლიგის საფეხბურთო კლუბ „კარლსრუეს" სპორტულ დირექტორად ვმუშაობ. ერთ-ერთი ფუნქცია გუნდისთვის ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნაა. საქართველოში ჩემი ჩამოსვლის იდეა ბატონ რობერტ მირალის ეკუთვნის, რომელიც თქვენთან ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დამაარსებელია. თბილისში ჩემი სტუმრობის მთავარი მიზანიც ამ სკოლის და „კარლსრუეს" ბავშვთა სკოლის დაახლოება-დამეგობრებაა. გვსურს, პერსპექტიული ნორჩი ფეხბურთელები გერმანიაში წავიყვანოთ სტაჟირებაზე. ვინც გაამართლებს დავიტოვებთ და მომავალში ჩვენთან ითამაშებენ. ვფიქრობთ, ეს მათ მომავალ კარიერაზე დადებითად იმოქმედებს. გვინდა ამით, ოდნავ მაინც დავეხმაროთ ქართულ ფეხბურთს.

**— დღევანდელ ქართულ ფეხბურთზე რას ფიქრობთ?**

— სანამ საქართველო-ლატვიის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩს ვიხილავდი, აქაურ ფეხბურთზე ჩემი შეხედულება ბუნდესლიგაში მოთამაშე ლევან კობიაშვილით შემოიფარგლებოდა, რომელიც საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. თქვენი ახალგაზრდების ხილვამ კი დამარწმუნა, საუცხოო მომავალი გეზრდებათ, მხოლოდ მათთან ნაყოფიერი მუშაობაა საჭირო. ისე, გასაკვირიც კია, თქვენს პირობებში ასე რომ თამაშობენ. ოდნავ უკეთესი პირობები რომ გქონდეთ, უფრო კარგი გუნდი გეყოლებოდათ.

**— მოდით, ახლა თქვენს კარიერაზე ვთქვათ, სულ თავიდან დავიწყოთ.**

— ფეხბურთზე რვა წლისა მივედი. საფეხბურთო სკოლა „ვანვაილში" ყველა ასაკობრივი ჯგუფი გავიარე, 1978 წელს კი „შტუტგარტ კიკერსში" გადავედი, საიდანაც 1983-ში „შტუტგარტმა" მიმიწვია. „შტუტგარტში" გატარებული წლები უბედნიერესი გახლდათ ჩემს საფეხბურთო კარიერაში. მერე იყო იაპონური „ურავა რედ დაიმონდსი", „კარლსრუე", სადაც დავასრულე კიდეც კარიერა.

**— საქართველოში ნორჩ ფეხბურთელებს მშობლები ძირითადად სწავლისკენ უბიძგებენ. თქვენც ხომ არ გქონდათ იგივე პრობლემები?**

— არა, მშობლებს ხელი ნამდვილად არ შეუშლიათ, თუმცა გულახდილად რომ გითხრათ, მათგან არც ხელშეწყობა მიგრძვნია. თავიდანვე სი მითხრეს, შენ რაც გსიამოვნებს და რაც გიხარია ის გააკეთე, მხოლოდ ფეხბურთელობის გარდა კიდევ ერთ პროფესიას დაეუფლეო.

**— მერე, თქვენ რა პროფესია აირჩიეთ?**

— ელექტროინჟინერი ვარ. თან არ გეგონოთ, მარტო თეორიულად ვიცოდე ჩემი პროფესია. ამ სპეციალობით ცოტა ხანს ერთ-ერთ ფირმაში ვმუშაობდი კიდეც.

**— ორიოდე სიტყვით იაპონიაში გატარებულ წლებზეც გვიამბეთ.**

— გეცოდინებათ, 90-იან წლებამდე იაპონური ფეხბურთი ძალიან დაბალ დონეზე იდგა, ბოლო წლებში კი იქ ეს სახეობა წარმოუდგენლად განვითარდა. ეს გასულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც დამტკიცდა, როცა იაპონიის ნაკრებმა თავის ისტორიაში პირველად ითამაშა და არცთუ ურიგოდ. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყანაში ფეხბურთი ისეთი პოპულარული მაინც არ არის, როგორც სუმო და ბეისბოლი. თუმცა რაც დრო გადის ხალხის ინტერესი და სიყვარული ფეხბურთისადმი სულ უფრო იზრდება.

**— 1984 წლის 22 მაისი გავიხსენოთ, ამ დღეს გერმანიის ნაკრებმა იტალიისას 1:0 მოუგო, თქვენ კი პირველად მოირგეთ ეროვნული გუნდის მაისური.**

— ოო, ის დღე მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემს ცხოვრებაში. საერთოდ, 1984 წელს გამოვარჩევდი. მაშინ ბედნიერება უცებ დამატყდა თავს. წარმოიდგინეთ, 23 წლის ვიყავი და პირველად გავხდი გერმანიის ჩემპიონი, მიმიწვიეს ქვეყნის ნაკრებში და ვითამაშე საფრანგეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე. ეს ყველაფერი კი სულ ორ-სამ თვეში მოხდა. დამეთანხმებით, ერთი კაცისთვის ერთბაშად ამდენი რამ, ძალიან ბევრია.

**— სამაგიეროდ, ვერ ითამაშეთ 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე...**

— 1984 წლისგან განსხვავებით, 86-ში არ გამიმართლა. ტრავმებმა გამაწამა. ჯერ ერთი ფეხი მოვიტეხე, მერე მეორე და ბუნებრივია, ჩემი მექსიკაში წასვლა გამოირიცხა. თუმცა, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და კარიერაც გავაგრძელე.

**— გააგრძელეთ და ოთხი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვეთ...**

— იტალიაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი ერთადერთი იყო, რომელშიც მონაწილეობა მივიღე. ითამაშო მსოფლიოს უდიდეს და ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე, ეს ენით გამოუთქმელი გრძნობაა, ხოლო გახდე მსოფლიოს ჩემპიონი, ეს კი...

1990 წელს მართლაც ბრწყინვალე ნაკრები გვყავდა. იქნებ ყველა ყველას მეგობარი არ იყო, მაგრამ ერთ მუშტად შეკრული, ერთი სულისკვეთების გუნდი ვიყავით. ის წარმატება იმანაც განაპირობა, რომ თაობა გვყავდა ისეთი, 20-30 წელიწადში (მეტში თუ არა) ერთხელ რომ მოდის. მწვრთნელზე, ფრანც ბეკენბაუერზე ალარაფერს ვამბობ.



ლოტა შტრელაუ და გვიდო ბუხვალდი

ნუგზარ კითიაშვილის ფოტო

**— ფინალი არგენტინასთან ბრემეს მიერ ზუსტად შესრულებული პენალტით მოიგეთ. თერთმეტმეტრიანი კი ფიოლერის წაქცევისთვის დაინიშნა. მაშინ იმ ეპიზოდმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ბევრს პენალტი საეჭვო ეგონა...**

— მსაჯი სწორად მოიქცა პენალტი რომ დანიშნა. მანამდე ორჯერ აპატია არგენტინელებს საჯარიმოში უხეშობა, მესამეც რომ არ დაეფიქსირებინა წესების დარღვევა, ნამდვილი უსამართლობა იქნებოდა. საბოლოოდ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო და გერმანიაც დამსახურებული ჩემპიონი გახდა.

**— მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, ალბათ, მსოფლიოში უბედნიერეს ადამიანად გრძნობდით თავს?**

— რა თქმა უნდა. თავი ზღაპარში მეგონა, რამდენიმე დღე დამჭირდა გონს მოსასვლელად.

**— ყველაზე დიდი იმედგაცრუება რაღა იყო თქვენს ცხოვრებაში?**

— მიჭირს ამის თქმა.

**— მაინც?**

— ჩემთვის ყველა წაგება დიდი იმედგაცრუება იყო, ისე კი, რამდენიმეს გამოვარჩევდი. 1989 წელს უეფას თასის ფინალში გავედით (ლაპარაკია „შტუტგარტზე" — ვ.ო.), სადაც იტალიური „ნაპოლი" შეგვხვდა. იქ მაშინ დიეგო მარადონაც თამაშობდა. ორი მატჩის ჯამში 4:5 დავმარცხდით და თასიც იტალიელებს დარჩათ. 1992-ში კი ევროპის ჩემპიონატის ფინალი წავაგეთ დანიასთან — 1:2, რამაც ძალიან დამწყვიტა გული.

**— გამოდის, თქვენი ყველა იმედგაცრუება ფეხბურთს უკავშირდება?**

— ...

**— ოჯახზეც გვითხარით რამე.**

— მყავს მეუღლე და ორი შვილი. უფროსი 12 წლისაა, უმცროსი — 10-ის. სხვათა შორის, ორივენი ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში დადიან.

**— თქვენი ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი ქართველი და გერმანელი ყმაწვილი ფეხბურთელების გაცვლაა. თქვენს ვაჟებსაც ხომ არ გამოუშვებთ საქართველოში?**

— არ ვიცი. ამაზე ჯერ არ მიფიქრია. საერთოდ, ცხოვრება ისეა მოწყობილი, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**— ყველაზე კარგად ვისი გესმოდათ მინდორზე?**

— იურგენ კლინსმანის. ჩვენ უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის, როგორც მინდორზე, ისე მის გარეთ, რადგან ეს არც არის გასაკვირი. ჩვენი საფეხბურთო კარიერის გზები სულ ადრე გადაიკვეთა. ეს „შტუტგარტ კიკერსში" მოხდა. იქიდან შემდეგ „შტუტგარტშიც" თითქმის ერთად გადავედით.

**— ახლანდელ გერმანიის ნაკრებზეც ვთქვათ, რომელსაც კრიტიკა არ აკლია.**

— ეს კრიზისი, რომელსაც ახლა გერმანიის ნაკრები განიცდის, დროებითია. ღრმად მწამს, მალე ყველაფერი რიგზე იქნება.

**— ძალიან ოპტიმისტურად ჟღერს. გუნდის ლიდერებად ხომ ვეტერანები გვევლინებიან. მაგალითისთვის ლოთარ მათეუსიც გამოდგება, რომელიც სადაცაა, 40-ს მიუკაკუნებს.**

— ასეა, მაგრამ ახალი და საიმედო თაობა მოდის, რომელიც სულ მალე თავის სიტყვას იტყვის მსოფლიო ფეხბურთში.

**— ამჟამად „კარლსრუეს" სპორტული დირექტორი ბრძანდებით, „კარლსრუე" კი ცოტა ხნის წინ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა და იქაც ერთ-ერთი რიგითი კლუბია...**

— ვცდილობთ, გუნდი რაც შეიძლება სწრაფად გავაძლიეროთ და ელიტას დავუბრუნოთ. მჯერა, ეს მალე მოხდება. ახლაც, ბოლო მატჩი კარგად ვითამაშეთ, რამაც კიდევ უფრო გაგვიღვივა იმედი.

**— ახლა ძირითადად სასელექციო მუშაობას ეწევით. მომავალში რას აპირებთ, იქნებ მთავარი მწვრთნელის ადგილზეც გიხილოთ?**

— უახლოეს 3-4 წელიწადში მწვრთნელობას არ ვაპირებ, რადგან ჯერ ჩემი საქმეებით ვარ დაკავებული. ისე კი, მინდა, მწვრთნელთა კურსებზე ჩავაბარო. გერმანიაში სწავლა 6-7 თვეს გრძელდება. როგორც კი ეს ვადა გავა, შესაბამის სერტიფიკატს მომცემენ და ლიცენზირებული მწვრთნელი გავხდები.

**ვანო ოქროპირიძე**

# ჯუზეპე ბერგომი ამერიკაში მიდის

იტალიის ნაკრების ვეტერანი მცველი ჯუზეპე ბერგომი ამერიკის უმაღლეს საფეხბურთო ლიგაში აპირებს კარიერის დასრულებას. სავარაუდოდ, იგი იქაური კლუბის, ნიუ იორკის „მეტროსტარზის“ ან „ნიუ ინგლენდ რევოლუშენის“ ღირსებას დაიცავს. ჯუზეპეს ორივე კლუბში ჰყავს მეგობრები. იტალიის ნაკრების ყოფილი მეკარე ძენგა „რევოლუშენის“ მწვრთნელია, ხოლო „მეტროსტარზში“ თებერვლიდან ლოთარ მათეუსი აპირებს თამაშის გაგრძელებას. „ორივეს ძლიერ სურს, რომ მათ გუნდში ვითამაშო, მაგრამ ჯერ არ გადამიწყვეტია, კონკრეტულად რომელში გადავალ. 36 წლის ბერგომის გამოსათხოვარი მატჩი „ინტერში“ 11 ოქტომბერს ჩატარდება „სან სიროზე“.



ფრანჩესკო მორიერო

# მორიეროს რომის გახსენებაც არ სურს

სკუდეტოს მოგების ორი რეალური კანდიდატი — დედაქალაქის „რომა“ და მილანის „ინტერი“ ერთმანეთს მილანში დაუპირისპირდება. ამის თაობაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა „რომას“ ყოფილმა ფეხბურთელმა ფრანჩესკო მორიერომ. იგი გუნდის ღირსებას 1994-97 წლების სეზონში იცავდა, ახლა კი მილანის „ინტერის“ რიგებში ირიცხება.

„რომას“ ახლა უდიდესი მწვრთნელი ჰყავს, მაგრამ ის ვერასოდეს ვერაფერს მოიგებს. სამი წელია, რაც რომი დავტოვე და ახლა აქაური ატმოსფეროს გახსენებაც არ მსურს. ყოველ სეზონს უდიდესი ამბიციებით ვიწყებდით, მაგრამ, ფაქტობრივად, უშედეგოდ ვასრულებდით.

აქ, მილანში, სულ სხვაგვარადაა ყველაფერი. გაცილებით იოლია მუშაობა, რომში კი მხოლოდ პრობლემები მქონდა. პრესა, გულშემატკივარი ძალიან მოქმედებდა გუნდის წარუმატებლობაზე. ჩემი იქ ყოფნისას და მერეც კლუბმა ვერაფერს მიაღწია.

მე სულაც არ ვაპირებ ისეთი მწვრთნელის კრიტიკას, რომელმაც „მილანს“ ოთხჯერ სკუდეტო და ერთხელ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა ხუთ სეზონში. კაპელო უდიდესი პიროვნება და პროფესიონალია, მაგრამ მას დიდი გუნდის შექმნის არანაირ შანსს არ მისცემენ. რომში საერთოდ შეუძლებელია მუშაობა.

ამის ნათელი მაგალითი იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველის, ლუიჯი დი ბიაჯოს „რომადან“ გაშვებაა. როდესაც კლუბი ასეთ ფეხბურთელს ვერ იგუებს, ზედმეტია რაიმეზე საუბარი“.

**ნიკა ზუბლაძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „ლაციოს“ გულშემატკივრები გუნდის მომავალ შეხვედრას სერია A-ში მდუმარე აქციით შეხვდებიან, რითაც პროტესტს გამოთქვამენ კლუბის ხელმძღვანელობის უსამართლო საქციელის გამო. ჯერ ხომ მათ გუნდის გასვლით შეხვედრებში ისედაც შეზღუდული ჰქონდათ ბილეთები, ახლა კი სათაყვანო გუნდის ჩემპიონთა ლიგაში თამაშს უფასოდ ვეღარ იხილავენ. მართალია, გულშემატკივრები ძალიან ემადლიერებიან კლუბის პრეზიდენტ სერჟიო კრანოტის იმის გამო, რომ ჩინებული გუნდი შექმნა და დიდძალი ფულიც დახარჯა, მაგრამ... მათი განცხადებით, ევროპის სუპერთასის მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ ნაცვლად 3000-ისა, მხოლოდ 600 ბილეთი ერგოთ. დანარჩენი სხვადასხვა ტურისტულმა სააგენტოებმა იგდეს ხელთ, რომელთაც „ლაციოსთან“ კონტრაქტი აქვთ დადებული. ჩემპიონთა ლიგაში გუნდის მატჩების ჩვენების უფლება კერძო ტელეკომპანია „ტელეპუმ“ მოიპოვა და ახლა მხოლოდ მას შეეძლება თამაშის ნახვა, ვისაც საამისოდ შესაბამისი დეკოდერი გააჩნია. ეს იმ დროს, როცა „ფიორენტინასა“ და „მილანის“ ფანები სულ თავისუფლად და, რაც მთავარია, უფასოდ იხილავენ მატჩებს. სწორედ ამ საკითხზე სურთ „ლაციოს“ ქომაგებს გუნდის პრეზიდენტთან შეხვედრა.

**შოტლანდიურმა** „რეინჯერსმა“ უარი უთხრა ესპანურ კლუბ „ესპანიოლს“, რომელიც არგენტინელ ლეგიონერ გაბრიელ ამატოს სანაცვლოდ 3,5 მილიონ ფუნტს სთავაზობდა. „ჩვენ საბანკო გარანტიები მოვითხოვეთ, რაზეც უარი მივიღეთ. ეს რეალური პრობლემაა, რადგან ზოგიერთი გუნდი, როგორც კი თავისას მიაღწევს, დარჩენილი თანხის გადახდას არ აპირებს“ — აცხადებს „რეინჯერსის“ დირექცია. 28 წლის ამატომ, რომელიც 1998 წელს კლუბს „მალიორკადან“ შეუერთდა, გასულ სეზონში სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ერთ მატჩში ითამაშა. „რეინჯერსის“ მოვალეა „სალერნიტანა“. მისმა მესვეურებმა 3 მილიონი ფუნტიდან, რომელიც იტალიელ ნახევარმცველ რინო გატუსოს სანაცვლოდ უნდა გადაეხადათ, ჯერ მხოლოდ 500 ათასი გაისტუმრეს, თავად გატუსო კი შემდეგ „მილანს“ 11,5 მილიონ დოლარად მიჰყიდეს.

**საფრანგეთის ნაკრების წევრებს — იური ჯორკაეფსა და ალან ბოგოსიანს სომხეთის საპატიო მოქალაქეთა ტიტული მიენიჭათ. მათ საგანგებო პასპორტები თავად ქვეყნის პრეზიდენტმა, რობერტ კოჩარიანმა გადასცა. ჯორკაეფი, რომლის ბაბუა წარმოშობით სომეხი იყო, აცხადებს, რომ ეს დღე განსაკუთრებულია მისთვის და მთელი მისი ოჯახისთვის, რადგან ეს პირველი ვიზიტია სამშობლოში. იურიმ სომხებს ეს ფაქტი მათ კარში გატანილი გოლით მიულოცა.**

**გერმანული** დორტმუნდის „ბორუსიის“ ხელმძღვანელობამ საკუთარ ფანებს ურჩია, ჩემპიონთა ლიგის გახსნით მატჩში, როტერდამში „ფეიენოორდის“ წინააღმდეგ, ქუჩებში არ იხეტიალონ. ამით ისინი სერიოზულ ინციდენტს აიცილებენ თავიდან. მით უმეტეს, რომ როტერდამის პოლიციამ „ბორუსიას“ ხელმძღვანელობა ამის შესახებ წინასწარ გააფრთხილა. ამიტომ, თუ მათ წინასწარ არა აქვთ ბილეთი შეძენილი, ადგილზე ყიდვის იმედით ნუ ჩავლენ, რადგან დიდი რისკია, რაიმე შეემთხვათ, როგორც ეს 1996 წელს გერმანიაში თასების მფლობელთა თასზე მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ და „ფეიენოორდს“ შორის შეხვედრის დროს მოხდა. მაშინ 1000 ჰოლანდიელი დაშავდა. წლეულს ამ მატჩის ცქერის მსურველთათვის დორტმუნდის სტადიონზე გიგანტურ ეკრანს დაამონტაჟებენ.

## მერკოსურის თასი

სამშაბათს და ოთხშაბათს ორ ჯგუფში მერკოსურის თასის მორიგი მატჩები გაიმართა. ბრაზილიურმა „ფლამენგომ“ პარაგვაის „ოლიმპიასთან“ 1:3 წააგო და ახლა **E** ჯგუფში სამ გუნდს ექვს-ექვსი ქულა მოუგროვდათ. ასუნსიონის სტადიონზე თავიდან ბრაზილიელები უტევდნენ და მე-13 წუთზე ლეონარდომ ანგარიშიც გახსნა, მაგრამ მერე სტუმრებს თითქოს ჩაეძინათო და ოლიმპიელებმაც იძალეს. ესტეჩემ, ფრანკომ და იეგროსმა სამჯერ გაუტანეს ბრაზილიელებს. საინტერესოა, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში, 10 წუთის ინტერვალში „ფლამენგოს“ ორი ფეხბურთელი ლუის ალბერტო და ათირსონი გაუძევეს.

მეორე ბრაზილიურმა გუნდმა „სან პაულუმ“ კი **C** ჯგუფში არგენტინულ „ბოკა ხუნიორსთან“ რევანში ვერ აიღო. 31 ივლისს, ამ გუნდების პირველ მატჩში არგენტინელებმა 5:1 იმარჯვეს. ამჯერადაც ბოკელები იგებდნენ, 24-ე წუთზე ისინი პერედამ დააწინაურა. 14 წუთში მარსიო სანტოსმა გაათანაბრა, მაგრამ მასპინძლებმა მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს — 1:1.

### C ჯგუფი

**სან ლორენსო (არგენტინა) 4:0 უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)**

**სან პაულუ (ბრაზილია) 1:1 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 7 |
| ბოკა ხუნიორსი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| სან ლორენსო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| უნივერსიდად კათოლიკა | 4 | 1 | 0 | 3 | 1:8 | 3 |

### E ჯგუფი

**ოლიმპია (პარაგვაი) 3:1 ფლამენგო (ბრაზილია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლამენგო | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 |
| ოლიმპია | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| კოლო კოლო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| უნივერსიდად დე ჩილე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |

*შეგახსენებთ, რომ ხუთი ჯგუფიდან მეოთხედფინალში გამარჯვებულები, ასევე სამი საუკეთესო მეორეადგილოსანი გავა.*

ვთავაზობთ სამსახურს კომპიუტერზე
კვალიფიციურად მბეჭდავ ახალგაზრდა ქალს
დარეკეთ 93 16 08
12-დან 15 საათამდე



ეროვნული ბიბლიოთეკა

უტევს ჯანფრანკო ძოლა (მარცხნივ)

# ქებათა ქება გუსსა და პრემიერშიფს

სანაკრებო ევრო ციებ-ცხელების ბოლოსწინა ეტაპი დასრულდა და გულშემატკივრის ფეხბურთისგან ცოტა არ იყოს გადაღლილი ყურადღება ისევ კლუბებს უბრუნდება. კლუბებისკენ მიეშურებათ ეროვნულ გუნდებში დამაშვრალ ფეხბურთელებსაც, თუმცა იტალიელ ჯანფრანკო ძოლას გიჟური გადარბენა არ მოუხდა — „სკუადრა აძურას“ თავკაცმა, დინო ძოფმა, იგი ნაკრებში არ მიიწვია.

ამიტომაც ზის „სარდინიელი ჯადოქარი“ ლონდონში და მშვიდად ელოდება პრემიერლიგის მორიგ ტურს, რომელშიც მისი „ჩელსი“ მწვრთნელგამოცვლილ „ნიუკასლ იუნაიტედს“ ხვდება. იგი და მისი სტემფორდ ბრიჯელი თანაგუნდელები ბობი რობსონის სამშობლოში დაბრუნებას კბილს მოუსინჯავენ.

ამ ლოდინში ჩია გამთამაშებელს ინტერვიუსთვისაც ეცალა.

**— როგორ აპირებენ „ჩელსი“ და პრემიერლიგის სხვა გუნდები „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჯობნას?**

— ალბათ, მათ „მანჩესტერ იუნაიტედზე“ ნაკლები უნდა წააგონ. დღემდე ვერ შევგუებივარ, რომ გასულ სეზონში ჩემპიონები ვერ გავხდით. როგორ გინდა ნაკლი მოუნახო გუნდს, რომელმაც მხოლოდ სამი თამაში წააგო? არადა, ის მესამე ადგილზე გავიდა. გასული სეზონი გულგასატეხი გახლდათ.

**— რატომ ვერ გახდით ჩემპიონები?**

— იმიტომ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩვენზე მეტი ქულა მოაგროვა. მან პრემიერლიგაც მოიგო, ფეხბურთის ასოციაციის თასიცა და ჩემპიონთა თასიც. განა ეს შედეგი მათ დონეზე არ მეტყველებს? მახსენდება, საშობაოდ, „საუთჰემპტონთან“ თამაშის დროს გუსტავო პოიეტის დაშავება რამხელა დარტყმა იყო ჩვენთვის. აშკარად ვიგრძენი, რომ იგი გუნდს კრავდა. გამარჯვებებისთვის მისი მოედანზე ყოფნა და გოლები გვჭირდებოდა. მისმა არყოლამ ბოლოს იჩინა თავი. მას მერე, რაც დაშავდა, მეტოქეების დამარცხება უკიდურესად ძნელ საქმედ გვექცა. გუსი სწორედ წინააღმდეგობის დაძლევასა და საგოლე პოზიციების შერჩევაშია ძლიერი.

**— ერთ ადამიანზე მართლა ამდენია დამოკიდებული?**

— ეჭვი არ მეპარება, მას მთელი სეზონის განმავლობაში რომ ეთამაშა, ჩემპიონები გავხდებოდით. სულ ორი თუ სამი თამაშის სხვანაირად დამთავრება გვჭირდებოდა. გუსტავო პოიეტის დახმარებით იმ სამი შეხვედრის ანგარიში ჩვენს სასარგებლოდ იქნებოდა. საკვანძო ფეხბურთელის გარეშე მატჩისთვის მომზადება ძნელი საქმეა. წარმოიდგინეთ „მანჩესტერ იუნაიტედს“ პიტერ შმაიხელი რომ გამოკლებოდა. გაუშვებდა თუ არა მის გარეშე მეტ გოლს? ვგონებ, გაუშვებდა.

**— პოიეტის გამოკლებამ პირადად თქვენს თამაშზეც იმოქმედა?**

— რა თქმა უნდა. არასდროს მითამაშია ფეხბურთელთან, რომელიც მოედნის შუიდან მისებრ პროდუქტიულად მოქმედებს. იყვნენ ისეთები, რომელთაც ჩემი ყურადღება მიიპყრეს და ერთ-ერთი მათგანი სწორედ გუსია. ის რომ დაშავდა, ჩვენი მექანიზმიდან რაღაც გაქრა. ხანდახან ისე შეეჩვევი თანაგუნდელს, რომ მის გარეშე ძალიან გიჭირს. გუსი ჩემს მოძრაობას დიდებულად კითხულობს. მან წინასწარ იცის საით მივრბივარ, ხოლო თავად, გოლების გატანის გარდა პაუზის შექმნაშია ძალიან ძლიერი. ის ბურთს აყოვნებს და თანაგუნდელებს გახსნის საშუალებას აძლევს.

**— და ამ სეზონში?**

— თუ არსად წავა და როგორც დაიწყო, ისევე განაგრძობს, შეიძლება წლის საუკეთესო ფეხბურთელიც კი გახდეს. თუმცა ბევრი რამ გუნდის თამაშზეა დამოკიდებული. გააჩნია გრძელ სეზონს როგორ გავუძლებთ. განა გამორიცხულია, რომ რომელიმე წამყვანი მოთამაშე კიდევ დაშავდეს და თავიდან გახდება საწუწუნო, რომ საკვანძო კაცი გამოგვაკლდა. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რასაც ვხედავ — პოიეტის ტრავმის დღიდან მის დაბრუნებამდე ანუ აპრილამდე ძალიან გაგვიჭირდა, გოლები ვერ გაგვქონდა და ჩემპიონის ტიტულიც მაშინ გაგვიფრინდა.

**— თქვენმა თანაგუნდელმა, გრემ ლე სომ, ერთი ხნის წინ განაცხადა, რომ პრემიერლიგის ტიტულის მოგება ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას უჯობს. ლიგას თქვენ მომავლ კვირაში „მილანთან“ შეხვედრით იწყებთ. პრიორიტეტთა თქვენეულ სიაში ეს შეჯიბრება რომელ ადგილზეა?**

— ადამიანი ყოველი თამაშის მოგებას ლამობს, მაგრამ თუ მაინცდამაინც პრიორიტეტთა ნუსხა გსურთ, მაშინ გეტყვით, რომ ეროვნული ჩემპიონატი ყველაფერზე მაღლაა. პრემიერლიგის ტიტული ის ჯილდოა, რომლის მოგებაც ყველას გვწადია. მე მიყვარს ევროპული ფეხბურთი და ლიგაში მოხვედრა „ჩელსის“ დიდ წარმატებად მიმაჩნია. რა სჯობს ისეთ გუნდებთან თამაშს, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „მილანი“ რომ არიან, მაგრამ ერთი ჯილდოს მეორეში წინასწარ გაცვლა რომ შეიძლებოდეს, ჩემპიონთა თასს პრემიერლიგის ტიტულის გამო დავთმობდი.

**365-დან თარგმნა
პაპუნა კეღიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონი აირია

მიუნხენის „ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰიონესი იმედოვნებს, რომ გუნდი მომდევნო თამაშებში აუცილებლად მოუმატებს. ეს უკვე შაბათიდან იქნება შესამჩნევი, როდესაც ჩემპიონი დიუსბურგს ესტუმრება.

ტრავმებითა და შიდა კონფლიქტებით შესუსტებულმა კლუბმა ჩემპიონატის 3 სასტარტო მატჩში მხოლოდ ერთი შეხვედრის მოგება შეძლო და ისიც დებიუტანტ „უნტერჰახინგთან“.

„ბაიერნში“ რამდენიმე აღსანიშნავი ფაქტი მოხდა. ჯერ იყო და ნახევარმცველი მარიო ბასლერი მატჩის წინა ღამეს დისკო-კლუბში დათრობისათვის 20 000 მარკით დაჯარიმდა. შემდეგ მთლად უარესი — ლიზარაზუმ ვარჯიშის დროს ვეტერანი მათეუსი გალახა. ასე რომ, შარშანდელი ჩემპიონის საქმე არც ისე სახარბიელოდ მიდის.

ერთი სტატისტიკური მონაცემიც. „დუისბურგმა“, მას შემდეგ, რაც 1978-79 წლის სეზონში „ბაიერნი“ 3:1 დაამარცხა, მისთვის არც ერთი მატჩი არ მოუგია.

### არმინია — ვოლფსბურგი

ბუნდესლიგაში ახალგადასულ „არმინიას“, რომელსაც ჯერ მატჩი არ წაუგია, ბრაზილიელი მცველის, მარსიო ბორგეს გარეშე მოუწევს თამაში. „ვოლფსბურგს“ კი ტრავმის გამო ნახევარმცველ მათიას შტამანი და ფორვარდი მარკუს ფელდჰოფი არ ეყოლება.

### ჰანზა — ულმი

მართალია, „ჰანზას“ ფრანგმა ნახევარმცველმა აბდერ რამდანემ ხანგრძლივი ტრავმა მოიშუშა, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, გუნდს ვერ დაეხმარება. „ულმი“ კი მრავალრიცხოვანი ტრავმებით ძლიერაა დასუსტებული.

### უნტერჰახინგი — შტუტგარტი

„შტუტგარტის“ მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა ჩემპიონატში არასახარბიელო სტარტის გამო გუნდიდან ექვსი ფეხბურთელი დაითხოვა. „უნტერჰახინგი“ კი საკმაოდ სტაბილურად გამოიყურება.

### ჰამბურგი — ჰერტა

ჩემპიონატის ახლანდელი ლიდერი „ჰამბურგი“ შარშან „ჰერტამ“ 4:0 გაანადგურა, მაგრამ ახლა ბერლინელებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოაკლდებათ.

### დორტმუნდი — ფრაიბურგი

„ბორუსიას“ სავარაუდოდ ბონნიელი ნახევარმცველი სერგეი ბარაბარესი და ბრაზილიელი მცველი ევანილსონი არ ეყოლება, „ფრაიბურგის“ რიგებში ქართველი ლეგიონერის, ალექსანდრე იაშვილის თამაში კვლავ საეჭვოა.

### ლევერკუზენი — შალკე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ, გერმანია — ფინეთის შეხვედრაში მიღებული ტრამვის გამო ულფ კირსტენი მატჩს გამოტოვებს. „შალკეს“ ჰოლანდიელი ფორვარდი იური მოლდერი დააკლდება.

### ვერდერი — კაიზერსლაუტერნი

გერმანიის თასის მფლობელ „ვერდერს“ დაშავებული ავსტრიელი ნახევარმცველი ანდრეას ჰერცოგი ვერ დაეხმარება. „კაიზერში“ კი ვერ ითამაშებს ჩირიაკო სფორცა, რომელსაც მწვრთნელთან კონფილიქტი მოუვიდა. გუნდი მის გაყიდვას აპირებს.

### მიუნხენი — აინტრახტი

შარშან გავარდნას გადარჩენილმა „აინტრახტმა“ სეზონი საკმაოდ ძლიერად დაიწყო. „მიუნხენი“ კი თამაშს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე დაიწყებს.




მარიო ბასლერი (№14) ლოთობისთვის დააჯარიმეს

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20



REUTERS

# ნორვეგია ზეიმობს
## რა შეუძლია ერთ წელიწადს

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. II ჯგუფი

ოსლო
8 სექტემბერი
22.15 საათი
ულევალი
25 000 მაყურებელი

**ნორვეგია 4:0 სლოვენია**

1:0 ისტენიჩი (15 ს.კ.), 2:0 ივერსენი (17), 3:0 სოლსკიაერი (30), 4:0 ლეონარდსენი (67)

ნორვეგია: ოლსენი, ბერგი, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ჰეგემი, ფლო (ლუნდი 87), ივერსენი, ლეონარდსენი, მიუკლანდი, სკამელსრუდი (სიორენსენი 76), სოლსკიაერი (რესეტი 76)

სლოვენია: სიმეუნოვიჩი (დაბანოვიჩი 46), კნავსი, მილინოვიჩი, ნოვაკი, რუდონია, პავლინი, ზაჰოვიჩი, ჩეჰი, ოსტერცი (აჩიმოვიჩი 83), უდოვიჩი (კარიჩი 41), ისტენიჩი

გაძევება: ისტენიჩი (55)

მსაჯი: ვესიერი (საფრანგეთი)

„წლების განმავლობაში არასაფეხბურთო პატარა ქვეყანამ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. ეს ერთობ იშვიათი შემთხვევაა — წერს გუშინდელი გაზეთი „აფტენპოსტენი“. გაზეთს მიაჩნია, რომ ნორვეგია საფეხბურთო ტრადიციების მხრივ ახლოსაც ვერ მივა გერმანიასთან, ინგლისთან, იტალიასთან, საფრანგეთთან და ესპანეთთან, მაგრამ დღეს ეს სკანდინავიური ქვეყანა სწორედ მათ შორისაა. ცოტა ხნის წინ ნორვეგიელებმა ჩემპიონთა ლიგაში ორი გუნდით მონაწილეობის უფლება მიიღეს („რუსენბორგი“, „მოლდე“), ახლა კი ევრო 2000-ის საგზურიც მოიპოვეს. ყველაფერი ეს იმ საფეხბურთო ბუმის შედეგა, რომელიც ბოლო წლებში პატარა ჩრდილოურ ქვეყანაში აგორდა.

„ისტორიული გამარჯვება“ — ასე აფასებენ ადგილობრივი გაზეთები ოთხშაბათს, „ულევალის“ სტადიონზე ქართველთათვის შეუწვდომელი სლოვენიელების განადგურებას — 4:0. თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათი იყო გასული და მასპინძლები უკვე 3:0-ს იგებდნენ, თანაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა პენალტი ვერ გაიტანა. ფრანგმა მსაჯმა ხუთი სლოვენიელი გააფრთხილა და ერთი გააძევა. მაშინ როცა ნორვეგიელებმა მხოლოდ ერთი ყვითელი ბარათი მიიღეს.

პირველი ბურთი მე-15 წუთზე სლოვენიელმა რუდი ისტენიჩმა შეაგდო საკუთარ კარში, მერე კი ინგლისური პრემიერლიგელების ჯერიც დადგა. პირველივე ტაიმში ტოტენჰემელი ივერსენისა და მანჩესტერელი სოლსკიაერის თავურებს მეკარე სიმეუნოვიჩმა ვერაფერი მოუხერხა. საბოლოო წერტილი „ლივერპულიდან“ „ტოტენჰემში“ წლეულს გადასულმა ოივინდ ლეონარდსენმა დასვა.

რამდენიმე დღის წინ ნორვეგიელებმა საბერძნეთს 1:0 მოუგეს. მთავარი ამოცანა შესრულდა — სამი ქულა მოიპოვეს, მაგრამ ნაკრების მწვრთნელი ნილს იოჰან სემბი ჩაფიქრებული ჩანდა. მას თავისი შეგირდების თამაშის ხარისხი არ მოეწონა. გუნდის ექიმმა თქვა, რომ მოთამაშეები რატომლაც გადაღლილები იყვნენ და საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინეს, ამიტომ კვების რაციონი შეცვალა. პირველ რიგში ეს დიდი რაოდენობით სითხის მიღებაში გამოიხატა. ფეხბურთელები დღეში სამ ლიტრამდე სითხეს სვამდნენ, საჭმელად კი უმი ბოსტნეული და ხილი ჰქონდათ. ამის გამო იყო, თუ არა, ვერავინ იტყვის, მაგრამ სლოვენიასთან „ვიკინგები“ ფრთებგამოსხმულებივით იყვნენ. მათ სწრაფი, შინაარსიანი და ტექნიკური თამაში შესთავაზეს მაყურებელს. განსაკუთრებით გრძელთმიანი გამთამაშებელი ერიკ მიუკლანდი გამოირჩეოდა. გეხსომებათ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მას ყველაზე მეტი კრიტიკის მოსმენა მოუხდა, მაგრამ სემბმა ნაკრებშიც დატოვა და ლიდერის ფუნქციაც დააკისრა. მიუკლანდმაც გაამართლა. მისი მოხდენილი გრძელი გადაცემები, ჭკვიანური თამაში და ტექნიკა თბილისშიც ვნახეთ. „ვიკინგუნას“ შეჩერებას ქართველები მხოლოდ აკრძალული ილეთებით თუ ახერხებდნენ. ასე იყო სლოვენიასთან მატჩშიც.

„მორჩა, ჩვენ ფინალში ვართ“ — ასეთი ქუდით გამოვიდა გუშინდელი გაზეთი „დეილი დაგბლადეტი“. იქვე სემბის მოკლე კომენტარიცაა: „ბედნიერი ვარ, რომ საკვალიფიკაციო წრე წარმატებით დავძლიეთ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ კარგი და სტაბილური გუნდი ვართ“.

დღეს სემბი ლამის ეროვნული გმირია. ერთი წლის წინ კი... შარშან, თებერვალში, მალტის ოთხთა ტურნირზე საქართველოს ნაკრები მასპინძლებს ხვდებოდა. იქვე, პრესლოჟის გვერდით, ორი მაღალი ქერა კაცი დაძაბული იჯდა. ერთ-ერთს, ოდნავ თმაშეთხელებულს, საქაღალდეები, ბლოკნოტი და კალამი მოემარჯვებინა. გამალებით ინიშნავდა რაღაცას. როცა გავიგე, რომ ნორვეგიელები იყვნენ, ცხადია, მათი ვინაობით დავინტერესდი. ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი გახლავართო, გამეცნო თმაშეთხელებული. როგორც მერე გაირკვა, ნილს იოჰან სემბი ყოფილა. ბატონმა სემბმა მაშინ თან იცრუა და თან არა. ნორვეგიის ნაკრებში ჯერ კიდევ ეგილ „დრილო“ ოლსენის ეპოქა იდგა, თუმცა უკვე ცნობილი იყო, რომ ზაფხულში მას სემბი შეცვლიდა. გილოცავთ გამარჯვებას. კარგი გუნდი გყოლიათო — დელიკატურად მითხრა, ბლოკნოტი საქაღალდეში ჩადო და სტადიონს გაეცალა. ქართველებმა კი იმ საღამოს მალტას 3:1 მოუგეს და ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ.

ეროვნულ გუნდში მისვლამდე სემბი ნორვეგიის 21-წლამდელთა ნაკრებს წვრთნიდა. აი, მთავარ გუნდში დებიუტი კი უსახური გამოუვიდა. ნორვეგიელებმა ევროპის ჩემპიონატის პირველივე შესარჩევი მატჩი რეზო ძოძუაშვილის ლატვიასთან წააგეს 1:3. „ულევალზე“ მისული მაყურებელი „დრილო, დრილოს“ გაჰყვიროდა და ოლსენის დაბრუნებას ითხოვდა. პრესამ კი ამ თამაშს „ჯოჯოხეთის 90 წუთი“ უწოდა. მერე იყო სლოვენიასთან გამარჯვება და ალბანელებთან ფრე. გაზაფხულიდან კი სემბის ნამდვილი ძალა ვიხილეთ. 1999-ში „ვიკინგებმა“ ჯგუფში ზედიზედ ხუთი თამაში მოიგეს და ბელგია-ჰოლანდიის საგზური ვადამდე მოიპოვეს. ხუთიდან ორი ქართველების „ნავაჟკაცარია“. ჩვენებმა სემბის ბიჭებთან საერთო ანგარიშით 1:5 წააგეს.

ასეა, ერთი წლის წინ სემბი ნორვეგიელთა საძულველი კაცი იყო, დღეს კი გმირია.

ისევ „დეილი დააგბლადეტს“ დავესესხოთ: „თქმა იმისა, რომ ნორვეგიელ ფეხბურთის ქომაგებს ზეიმი აქვთ, ზუსტი არ იქნებოდა. ფეხბურთელების ვაჟკაცობით დღეს მთელი ნორვეგია ამაყობს“.

რატომაც არ იამაყებს. 1994 და 98 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე გაწვრთნილი „ვიკინგები“ ხომ პირველად მოხვდნენ კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე. ჩვენ კი დავძენთ, რომ სულაც არ გაგვიკვირდება, თუ სემბის გუნდი ბელგია-ჰოლანდიაში საუკეთესო ოთხეულში მოხვდება.

სოლომონ გულისაშვილი

### II ჯგუფი

საქართველო 2:2 ლატვია

საბერძნეთი — ალბანეთი

*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 9 | 7 | 1 | 1 | 19:8 | 22 |
| სლოვენია | 9 | 5 | 2 | 2 | 12:11 | 17 |
| ლატვია | 9 | 3 | 4 | 2 | 12:10 | 13 |
| საბერძნეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:8 | 9 |
| საქართველო | 9 | 1 | 2 | 6 | 7:16 | 5 |
| ალბანეთი | 8 | 0 | 4 | 4 | 6:11 | 4 |

*06.10 საბერძნეთი — ალბანეთი, 09.10 ალბანეთი — საქართველო, ლატვია — ნორვეგია, სლოვენია — საბერძნეთი*

## I ჯგუფი

### იტალია 2:3 დანია

1:0 ფუზერი (10), 2:0 ვიერი (34), 2:1 იორგენსენი (39პ), 2:2 ვიეგჰორსტი (57), 2:3 ტომასონი (63)

იტალია: ბუფონი, პანუჩი, ნესტა, კანავარო, პანკარო, ფუზერი, ალბერტინი, დ. ბაჯო (ჯანიკედა 46), დი ფრანჩესკო (კონტე 69), ინძაგი, ვიერი (ტოტი 76)

დანია: შმაიხელი, კოლდინგი, ჰენრიკსენი, ჰოგი, ჰაინცე, ჰელვეგი (ვიეგჰორსტი 52), ალნილსენი, ტოფტინგი (გოლდბეკი 52), ტომასონი (შიონბერგი 82), იორგენსენი, სანდი

გაძევება: ვიეგჰორსტი (81), ჯანიკედა (88)

მსაჯი: იოლი (ჰოლანდია)

დანიელებმა ნეაპოლის „სან პაოლოს“ სტადიონს დამარცხებასთან შეურიგებლობის დიდებული მაგალითი აჩვენეს. მასპინძლებს, „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელებს გამარჯვების შემთხვევაში ევრო 2000-ის საგზური გარანტირებული ექნებოდათ და პირველი ტაიმის 34-ე წუთზე უკვე თავი ქუდში ეგონათ კიდეც, მაგრამ პიტერ შმაიხელმა და მისმა რაზმმა 0:2-ის 3:2-ად შემობრუნება მოახერხეს.

„ჩვენ დიდებულად ვითამაშეთ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ დანებება არასდროსაა გამართლებული. ფეხბურთელები საგანგებოდ იბრძოდნენ და ყველას დავუმტკიცეთ, რომ ჩარხის უკუღმა დატრიალების უნარი შეგვწევს. დიდებული იყო გუნდური სულისკვეთებაც“. — განაცხადა მატჩის შემდეგ გამარჯვებულთა მწვრთნელმა, იოჰანსონმა.

იტალიელთა თავკაცი, დინო ძოფი კი მისი ხელმძღვანელობით ნაკრების პირველი წაგებით, ცხადია, უკმაყოფილო გახლდათ: „მათ კარგად, ალბათ, ჩვენზე უკეთ ითამაშეს. ის, რაც ჩვენს თავს დატრიალდა, ერთხელაც ადასტურებს ჩემს ადრინდელ ნათქვამს, რომ მატჩის შედეგი ყოველთვის ლოგიკური არ არის“.

შეხვედრამ 48 919 მაყურებლის თვალწინ თავსხმაში ჩაიარა. ახლა, „სკუადრა აძურას“ 10 ოქტომბერს ბელარუსში დარჩა სათამაშო და ვინაიდან დანიამ თავისი კალენდარი ამოწურა, ფრეც ხელს აძლევს.

### შვეიცარია 2:0 ბელარუსი

1:0, 2:0 თურქილმაზი (68, 86)

შვეიცარია: ჰუბერი, ენჩოსი, დი ჯორიო, მუელერი (ვოლფი 79), ჰოდელი, ფოგელი, ბუელმანი (სესა 71), ვიკი, შაპუიზა (კომიზეტი 63), სფორცა, თურქილმაზი

ბელარუსი: აფანასენკო, იახიმოვიჩი, ლავრიკი, ლუხვიჩი, ოსტროვსკი, გურენკო, ბარანოვი, ჩაიკა, კულჩიი (კაჩურო 55), მაკოვსკი (რომაშჩენკო 69), ტარლოვსკი

მსაჯი: ირვინი (ჩრდ. ირლანდია)



REUTERS ვარშავიდან

პოლონეთი — ინგლისი 0:0. ალან შირერის (№9) მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია



REUTERS ლუქსემბურგიდან

ლუქსემბურგი — შვედეთი 0:1. მაგნუს სვენსონმა (№9) მასპინძელ ჟან ვანეკს ბურთი დაუმალა

გაშვეიცარიელებული თურქის, ქუბილაი თურქილმაზის მიერ მეორე ტაიმში გატანილმა ორმა გოლმა ნეიტრალური ქვეყნის შვილებს ერთი შანსი დაუტოვა: თუ ისინი 10 ოქტომბერს უელსში გაიმარჯვებენ ქულებით დანიას დაეწევიან, ხოლო თუ იმავდროულად ბელარუსმა მინსკში იტალია დაიბრიყვა, მაშინ სამ გუნდს, შვეიცარიას, დანიასა და იტალიას, ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდებათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 8 | 4 | 2 | 2 | 11:8 | 14 |
| იტალია | 7 | 4 | 2 | 1 | 13:5 | 14 |
| შვეიცარია | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 11 |
| უელსი | 7 | 3 | 0 | 4 | 7:14 | 9 |
| ბელარუსი | 7 | 0 | 2 | 5 | 4:10 | 2 |

*9.10 ბელარუსი — იტალია, უელსი — შვეიცარია*

## III ჯგუფი

### გერმანია 4:0 ჩრდ.ირლანდია

1:0 ბირჰოფი (2), 2:0, 3:0, 4:0 ციგე (16, 33, 45)

გერმანია: ლემანი, ნოვოტნი (ვიორნსი 46), მათეუსი, ლინკე, ბაბელი (შტრუნცი 31), შოლი, იერემისი, ციგე, ნოივილი (შნაიდერი 67), ბირჰოფი, ბოდე

ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, ნოლანი, უილიამსი, მოროუ, ჰორლოკი, მაკკარტი, ლომასი, ლენონი (გილესპი 46), კენედი, დაუი (ქუინი 46), ჰიუზი

მსაჯი: ბიკასი (საბერძნეთი)

მასპინძელთა განაპირა მცველმა, კრისტიან ციგემ გერმანელთა მიერ გაერთიანებული სამეფოს ირლანდიელთა 4:0 ძლევაში მთავარი როლი ითამაშა — ჰეთ თრიკი შეასრულა და ახლა, 9 ოქტომბერს, ევროპის 1996 წლის ჩემპიონმა თურქეთთან მიუნხენში ფრეც რომ ითამაშოს ბელგია — ჰოლანდიის საგზურს მოიპოვებს.

ციგეს გატანილ გოლთაგან ყველაზე თვალსასეირო პირველი გახლდათ, რომლის გატანაშიც ჩინებული პასით ასისტენტობა ოლივერ ნოივილმა გაუწია. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ციგე გახლდათ შეხვედრის პირველი გოლის თანაავტორიც — მე-2 წუთზე სწორედ მან გაატანინა ოლივერ ბირჰოფს.

„ჩვენ მთელს შეხვედრას ვაკონტროლებდით, მეორე ტაიმშიც კი და გულწრფელად რომ გითხრათ ერთიორი გოლის გატანა კიდევ შეგვეძლო“ — გნაცხადა მატჩის დამთავრების შემდეგ გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა — „ჩემმა ფეხბურთელებმა აჩვენეს რისი შემძლენიც არიან. ახლა, თურქეთთან ფრეზე ფიქრი დიდი შეცდომა იქნება. იმ გუნდს, რომელსაც ღლევანდელივით შეუძლია თამაში. ეჭვი არ მეპარება, მხოლოდ მოგებაზე ფიქრი ეხერხება.

### მოლდოვა 1:1 თურქეთი

1:0 ეპურეანუ (3), 1:1 ტაიფუნი (76)

მოლდოვა: დინოვი, ფისტიკანი, რებეჯა, ბორეცი, გუზუნი (შიშკინი 78), სტროენკო, ოსიპენკო, ოპრეა, გაიდამაშჩუკი (სტრატულატი 45), ეპურეანუ, კლეშჩენკო (კირილოვი 82)

თურქეთი: რუშთუ, ბესერლერი, ოგუნი, ფათიჰი (თუგაი 45), ალფაი, არიფი, ოქანი (აიჰანი 45), ტაიფუნი, ჰაქან შუქური, იალჩინი (უმითი 87), ჰაქან უნსალი

მსაჯი: შლუსტერი (შვეიცარია)

თურქეთის იმედს, შესარჩევი შეჯიბრება ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლით დაესრულებინა, აუტსაიდერმა, მოლდოვამ, კიშინიოვში ალიყური აჭამა. სენსაციური მარცხისგან სტუმრები ტაიფუნ ჰავატჩუმ იხსნა — თავსხმაში, თამაშის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე მან დაახლოებით 20 მეტრიდან დაბალი დარტყმით აჯობა მოლდოველთა გოლკიპერს, სერგეი დინოვს და სერგეი ეპურეანუს მიერ მე-3 წუთზე გახსნილი ანგარიში გაქვითა.

აღსანიშნავია, რომ თურქთაგან თუგაი ქერიმოღლუს შეეძლო გამარჯვების გოლის გატანა, მაგრამ მის თავურს დინოვმა ჩინებული ნახტომით გადაუღობა გზა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 7 | 6 | 0 | 1 | 20:4 | 18 |
| თურქეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 15:6 | 16 |
| ფინეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 9:12 | 7 |
| ჩრდ. ირლანდია | 7 | 1 | 2 | 4 | 3:15 | 5 |
| მოლდოვა | 8 | 0 | 4 | 4 | 7:17 | 4 |

*9.10 ფინეთი — ჩრდ. ირლანდია, გერმანია — თურქეთი*

## IV ჯგუფი

### სომხეთი 2:3 საფრანგეთი

1:0 მიქაელიანი (6), 1:1 ჯორკაეფი (45 პ), 1:2 ზიდანი (67), 1:3 ლასლანდი (74), 2:3 შახგელდიანი (90პ)

სომხეთი: ბერეზოვსკი, მკრტჩიანი, ვ. ხაჩატრიანი, ჰოვსეპიანი, რ. ხაჩატრიანი, იესაიანი, პეტროსიანცი, არუთუნიანი (გრიგორიანი 63), სარქისიანი, შახგელდიანი, მიქაელიანი (დევანი 67)

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ლიზარაზუ, კარემბუ, ბლანი, ჯორკაეფი, დეშამპი, დესაი, ლასლანდი, ზიდანი (დეუ 72), ვილტორდი (რობერი 63)

გაძევება: დეუ (89)

მსაჯი: უზუნოვი (ბულგარეთი)

ერევანში, „რაზდანზე“ ფრანგები სირცხვილის ჭამას დიდებულმა ზინედინ ზიდანმა გადაარჩინა. სწორედ 1998 წლის ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა გაიტანა ის გოლი, რომელმაც თამაშის დამთავრებამდე 23 წუთით ადრე მსოფლიოს ჩემპიონი პირველად დააწინაურა.

ფრანგებმა თამაშით ვერ აჯობეს სომხებს. მე-6 წუთზე კარაპეტ მიქაელიანმა კონტრშეტევით ბოძებული შანსი გამოიყენა და ანგარიში გახსნა, გათანაბრებას კი ტაიმის ბოლომდე ცდა დაჭირდა. 45-ე წუთზე იური ჯორკაეფმა პენალტით შეძლო სომეხთა კარის დალაშქვრა.

მას მერე რაც თავისიანები დააწინაურა, ზიდანმა ფეხის მძაფრი ტკივილი იგრძნო და მოედანი დასტოვა, ხოლო ლილიან ლასლანდმა მესამე შეაგდო, მაგრამ მოვლენები ამით არ ამოწურულა: „ბარსელონას“ ნახევარმცველმა ფრედერიკ დეუმ 89-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა, ხოლო მეკარემ ფაბიენ ბარტეზმა, საჯარიმოში წესი დაარღვია და იმ პენალტით დაისაჯა, რომელიც არმენ შახგელდიანმა გოლად გადააქცია.

„ძალიან ბევრი შეცდომა მოგვდის. მთავარი კოზირი, სათამაშო დისციპლინა დაგვეკარგა და უკვე ნებისმიერი მოწინააღმდეგე სახიფათოა ჩვენთვის“ — დაღონებით განაცხადა მატჩის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა დიდიე დეშამმა.

### ანდორა 1:2 რუსეთი

0:1 ონოპკო (22), 1:1 რუისი (39პ), 1:2 ონოპკო (57)

ანდორა: ალვარესი, რამირესი, ესკურა, გარსია, სონეხე, ლიმა, გონსალესი, ალექს გოდოი (პოლი 59), ჰიმენესი, სანჩესი (არმანდ გოდოი 49), რუისი

რუსეთი: ფილიმონოვი, ხლესტოვი, ონოპკო, სმერტინი, ხოხლოვი (ბეზროდნი 55), კარპინი, ალეინევიჩი, ტიტოვი, ტიხონოვი, ბესჩასტნიხი (პანოვი 45), შირკო

მსაჯი: ლარსენი (დანია)

„ოცი წელიწადია ფეხბურთში ვმოღვაწეობ და პირველად ვნახე გუნდი, რომელსაც მოგება არ უნდა“ — განაცხადა ანდორასთან გამარჯვების შემდეგ რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა — „დაუჯერებელია. ამას საძაგელი მსაჯობაც დაერთო“.

გულდაწყვეტილი დარჩა მოგების სიძულვილში დადანაშაულებული, ათკაციანი, ყრუ დაცვის მიმდევარი, ანდორელთა მწვრთნელიც: „თუ ჩვენ ასეთ ცუდ გუნდთან ვერ ვიმარჯვებთ, ესე იგი სხვას მითუმეტეს ვერ მოვუგებთ, მიუხედავად ამისა ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, რომელთაც კინაღამ ფრედ ითამაშეს“.

### ისლანდია 0:1 უკრაინა

0:1 რებროვი (43პ)

ისლანდია: ბ. კრისტინსონი, ჰელგასონი, ჰრეიდარსონი, იონსონი (ვიდარსონი 85), სიგურდსონი, რ. კრისტინსონი, გუნარსონი, კოლვიდსონი (ჰელგუსონი 59), მარტეინსონი, ტ. გუდიონსონი, დადასონი (ე.ს. გუდიონსონი 73)

უკრაინა: შოვკოვსკი, ლუჟნი (მიკიტინი 80), პოპოვი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, მაქსიმოვი, კონოვალოვი (ციხემისტრუკი 66), კოსოვსკი, შევჩენკო, რებროვი

მსაჯი: პერეირა (პორტუგალია)

უკრაინელებს რეიკიავიკში გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდათ და აკი სერგეი რებროვი სპენალტით მიაღწიეს კიდეც მიზანს.

„მართლაც კმაყოფილი ვარ შედეგით, ხოლო ბოლო, გადამწყვეტ მატჩს, რომელიც 9 ოქტომბერს მოსკოვში, რუსეთთან გველის, ოპტიმიზმით ვუყურებ. ნუ დავივიწყებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, კიევში, საფრანგეთთან ვითამაშეთ და დაღლილები ვიყავით“ — განაცხადა უკრაინელთა თავკაცმა იოჟეფ საბომ.

საბოს ისლანდიელი კოლეგა გუდიონ ტორდარსონი: „იმთავითვე, პირველ ტაიმში დაცვითი ტაქტიკა გვქონდა დაგეგმილი, მეორეში კი შეტევა. სამწუხაროდ, ერთ მომენტში ყურადღება დაგვეფანტა და პენალტით დავისაჯეთ. არა უშავს, პარიზში, ბოლო შეხვედრას სიამაყის გრძნობით ჩავატარებთ“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 9 | 5 | 4 | 0 | 13:3 | 19 |
| რუსეთი | 9 | 6 | 0 | 3 | 21:11 | 18 |
| საფრანგეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 14:8 | 18 |
| ისლანდია | 9 | 4 | 3 | 2 | 10:4 | 15 |
| სომხეთი | 9 | 1 | 2 | 6 | 5:15 | 5 |
| ანდორა | 9 | 0 | 0 | 9 | 3:25 | 0 |

*09.10 ანდორა — სომხეთი, საფრანგეთი — ისლანდია, რუსეთი — უკრაინა*

## V ჯგუფი

### პოლონეთი 0:0 ინგლისი

პოლონეთი: მატიშეკი, კლოსი (ბაკი 89), ზელინსკი, ვალდოჰი, სიადაჭკა, ივანი, ნოვაკი, ჰაიტო, მიხალსკი, გილევიჩი (იუსკოვიაკი 63), ტრჟეჩიაკი (სვერჩევსკი 58)

ინგლისი: მარტინი, გ. ნევილი (ფ. ნევილი 13), კიოუნი, ადამსი, პირსი, სქოულზი, ბექემი, ბეტი, მაკმანამანი (დაიერი 79), ფაულერი (ოუენი 65), შირერი

გაძევება: ბეტი (84)

მსაჯი: ბენკო (ავსტრია)

პოლონეთმა და ინგლისმა ვარშავაში დიდძალი ბრძოლა თითო ქულის განაწილებით დაასრულეს და მას მერე, რაც შვედეთმა პირველი ადგილი გაინაღდა, პლეი-ოფში მოსახვედრად ბოლო ტურის შემყურენი დარჩნენ.

პოლონელებს სტოკჰოლმში აქვთ სათამაშო და ქულაც ანუ ფრეც ხელს აძლევთ, ხოლო თუ დამარცხდნენ, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ ინგლისელებთან ქულებით თანაბრად დარჩებიან და პირად შეხვედრებში უარესი შედეგის გამო პლეი-ოფისკენ დაულოცავენ გზას. ინგლისელებს კი, ვინაიდან თავისი მატჩები უკვე ნათამაშევი აქვთ, ყველაზე მეტი შვედების გულშემტკივრობა შეუძლიათ.

„ძალიან უკმაყოფილონი ვართ. ეს ის არ იყო მე და ფეხბურთელებს რომ გვინდოდა. ვერ გამიგია, რატომ ვერ მოვუგეთ პოლონელებს, რომლებიც შედეგის მისაღწევად ლამის მიწაზე დაწვნენ, მაგრამ მაინც შევუქებ მეტოქეს გარჯას" — თქვა ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა კევინ კიგანმა.

იანუშ ვოიჩიკი, პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი: „ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად დიდებული ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ ჯერ იქ არ ვართ. ინგლისმა ქულა წაიღო, რაც მას სასარგებლოდ მეტყველებს, არადა ჩვენ მოგება შეგვეძლო".

**ლუქსემბურგი 0:1 შვედეთი**

0:1 ალექსანდერსონი (39)

შვედეთი: ჰედმანი, ნილსონი, პ. ანდერსონი, მიოლბიუ, ლუჩიჩი, ალექსანდერსონი, მილდი, შვარცი (დ. ანდერსონი 82), სვენსონი (ზეტერბერგი 46), ლარსონი, კ. ანდერსონი

ლუქსემბურგი: ფელგენი, ვანეკი, შაულსი, ბირსენსი, სტრასერი, საიბენე (ჰოლცი 90), ფუნკი, ალვერდი (ტისი 75), კრისტოფი, შნაიდერი (ზარიცკი 46), პოსინგი

მსაჯი: ა. ჰანაჟეკი (უნგრეთი)

ლუქსემბურგელ მოყვარულებთან 1:0 გამარჯვებამ შვედეთს ევრო 2000-ის ფინალური ეტაპის საგზური მოუტანა. გუნდი, რომელსაც შვიდი თამაშიდან ექვსი მოგებული აქვს, წაგებული კი არცერთი, უდავოა, იმსახურებდა კიდეც პირველობას და საქმის ადრევე მოთავების პატივს. ამრიგად შვედეთის ნაკრები, რომელიც ევროპის პირველობაზე 1992 წლის მერე არ ყოფილა (92-ში იგი მასპინძელი გახლდათ) 9 ოქტომბერს, პოლონეთის წინააღმდეგ აბსოლუტურად ფორმალურ შეხვედრას გამართავს.

4 228 მაყურებელმა ერთადერთი გოლი პირველი ტაიმის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე იხილა: ლუქსემბურგელთა მეკარემ ფილიპ ელგენმა ჰაკან მილდის ორი დარტყმა ზედიზედ მოიგერია, ინგლისური „შეფილდ უენსდის" ნახევარმცველის ნიკლას ალექსანდერსონის წამატებულთან კი ვერაფერი გააწყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 6 | 1 | 0 | 8:1 | 19 |
| ინგლისი | 8 | 3 | 4 | 1 | 14:4 | 13 |
| პოლონეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 13 |
| ბულგარეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:8 | 5 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:20 | 0 |

*9.10 შვედეთი — პოლონეთი; 10.10 ბულგარეთი — ლუქსემბურგი*

### VI ჯგუფი

**ესპანეთი 8:0 კვიპროსი**

1:0, 2:0 ურსაისი (20, 25), 3:0 გერერო (33), 4:0 ურსაისი (38), 5:0, 6:0 გერერო (42, 56), 7:0 მარტინი (82), 8:0 იერო (88)

ესპანეთი: კანისარესი (ხიმენესი 78), სალგადო, იერო, მარტინი, არანსაბალი, ეჩებერია (მუნიტისი 45), გვარდიოლა, გერერო, ლუის ენრიკე (მენდიეტა 60), რაული, ურსაისი

კვიპროსი: პანაიოტუ, კოსტა (თეოდოტუ 65), ენგომიტისი, პიტასი, ლუკა, მელანარკიტისი, ხრისტოდოლუ, ნიკოლაუ (არისტოკლეოსი 45), გოგიჩი (იოანუ 88), პაპავასილიუ, ოკასი

მსაჯი: ტრენტალანგე (იტალია)

„კვიპროსელთა დაცვისმოყვარეობამ ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი" — განაცხადა ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდმა 10 წაუგებელი თამაში ჩაატარა.

ესპანელებმა პირველი 19 წუთი დაიცადეს და მერე დაიწყეს. ისმაელ ურსაისმა და იულენ გერერომ სამ სამი გოლი გაუტანეს მეტოქეს.

„ჩემს გოლებს მხოლოდ იმიტომ ვანიჭებ მნიშვნელობას, რომ მათ სამი ქულის მოპოვებაში ითამაშეს როლი" — განაცხადა ურსაისმა.

ესპანეთის ნარებმა ბელგია — ჰოლანდიის საგზური მოიპოვა.

**ისრაელი 8:0 სან მარინო**

1:0, ბენაიუნი (25), 2:0 მიზრაჰი (38), 3:0 რევივო (40), 4:0 ბენაიუნი (46), 5:0 რევივო (68), 6:0 ბენაიუნი (70), 7:0 სივილია (84), 8:0 აბუკსისი (89)



REUTERS

ესპანეთი — კვიპროსი 8:0. ლუის ენრიკე, არანსაბალი, ეჩებერია და გვარდიოლა ჯგუფში გამარჯვებას ზეიმობენ

ისრაელი: დავიდოვიჩი, ჰარაზი, ამსალემი, ტალკარი, ბენადო (ჰალფონი 65), ჰაზანი, ტალაშნიკოვი, რევივო, ბენაიუნი, ტიკვა (აბუკსისი 61), მიზრაჰი (სივილია 46)

სან მარინო: ფ. გასპერონი, ტომაზონი, ჯენარი, ს. ბაჩიოკე, პელიჩიონი, დელა ბალდა, ნ. ბაჩიოკე (რ. სელვა 58), ბ. გასპერონი, მონტანია (დე ლუიჯი 80), ა. სელვა, ძონძინი (დელა ვალე 74)

გაძევება: ა. სელვა (75)

მსაჯი: ქაფლანი (თურქეთი)

ისრაელის ნაკრებმა ოდნავ შელანძლული თავმოყვარეობა სან მარინოელთა განადგურებით დაიკმაყოფილა. ამ გამარჯვებით ებრაელმა მოთამაშეებმა ლამის რეკორდი გაიმეორეს, 1988 ისრაელმა ტაილანდს 9:0 აჯობა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 39:5 | 18 |
| ისრაელი | 7 | 4 | 1 | 2 | 25:6 | 13 |
| კვიპროსი | 7 | 4 | 0 | 3 | 11:18 | 12 |
| ავსტრია | 7 | 3 | 1 | 3 | 16:19 | 10 |
| სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 1:44 | 0 |

*10.10 ავსტრია — კვიპროსი, ესპანეთი — ისრაელი*

### VII ჯგუფი

**სლოვაკეთი 2:0 ლიხტენშტაინი**

1:0 ს. ნემეტი (4), 2:0 კარჰანი (55)

სლოვაკეთი: სუსკო, კარჰანი, იანოჩკო (ჰრაბალი 41), ჟურიკი, ვარგა, ლაბანტი, ვალახოვიჩი, ბალისი, ს. ნემეტი (კოზუხი 76), უილაკი, ფაბუსი (პ. ნემეტი 61)

ლიხტენშტაინი: ჟელე, ოსპელტი, მარტინ სტოკლასა, რიტერი, ზეხი, მიხაელ სტოკლასა, თ. ბეკი, ფრიკი (ბუჩელი 12, მ. ბეკი 57), ჰესლერი, ტელსერი, გიგონი (ვოლვენდი 57)

მსაჯი: გეორგიუ (კვიპროსი)

**რუმინეთი 1:1 პორტუგალია**

1:0 ილიე (37), 1:1 ფიგუ (45)

რუმინეთი: სტელეა, პეტრესკუ (ნანუ 46), ჩიბოტარიუ, ფილიპესკუ, გალჩა, პოპესკუ, საბაუ, მუნტეანუ, მოლდოვანი (ლუპესკუ 69), ჰაჯი, ილიე (განეა 85)

პორტუგალია: ბაია, რუი ბენტუ, დიმაში, მადეირა, კოუტუ, სოუზა (კონსეისაო 69), ფიგუ, ჟოაო პინტუ (პაულეტა 80), სა პინტუ, რუი კოშტა, პიულუ ბენტუ

მსაჯი: სტრამპე

რუმინეთმა ფაქტობრივად გაინაღდა ფინალურ ეტაპზე გასვლა — პორტუგალიასთან 1:1-ის წყალობით პირველ ადგილზე გადავიდა და ბოლო შეხვედრა ლიხტენშტაინში აქვს.

ვგონებთ, იგივე მოიმოქმედა პორტუგალიამ, რომელსაც ბოლო თამაში, შინ, ადვილად დასამარცხებელ უნგრეთთან აქვს და საუკეთესო მეორე ადგილამდე ერთი ნაბიჯიღა აკლია. ერთადერთი, ისიც გერმანიაში ფრის შემთხვევაში, მას შეიძლება თურქეთი შეეცილოს მესამე შესარჩევი ჯგუფიდან. ამ შემთხვევაშიც უპირატესობა პორტუგალიელებისა იქნება, რადგან ჯერ ერთი მათთან თამაშები კონტინენტზე ყველაზე გვიან იწყება, ასე რომ მიუნხენური მატჩის შედეგი ეცოდინება და მეორეც, უკიდურეს შემთხვევაში, თუ თურქეთმა გერმანიაში ფრედ ითამაშა, პორტუგალიას უნგრელებთან სამბურთიანი სხვაობით დასჭირდება გამარჯვება — ბოლო ორ ადგილთან მიღწეული შედეგები არ ითვლება. ხოლო გერმანიაში თურქებმა რომ მოიგონ, მაშინ გერმანია ველარ გაუწევს პორტუგალიას კონკურენციას საუკეთესო მეორეობისთვის.

**უნგრეთი 3:0 აზერბაიჯანი**

1:0 სებოკი (28), 2:0 ეგრესი (51), 3:0 სოვუნმი (55)

უნგრეთი: კირალი, ჰრუტკა, კორსოსი, მატიუსი, სებოკი, ჰალმაი, ლენდვაი, ეგრესი, სოვუნმი (ფუზი 89), ილეში, ჰერჟეგი (ჰორვატი 74)

აზერბაიჯანი: გასანი, გეტმანი, პოჩეხუნცევი, ასადოვი, ლიტიჩკინი, ქარიმოვი (გომვაროვი 60), გულიევი, იადულაევი, მუსაევი, ვასილევი (ისმაილოვი 90), ნიფტალიევი

მსაჯი: ლაზარევსკი (მაკედონია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 9 | 6 | 3 | 0 | 22:3 | 21 |
| პორტუგალია | 9 | 6 | 2 | 1 | 29:4 | 20 |
| სლოვაკეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:9 | 14 |
| უნგრეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:7 | 12 |
| აზერბაიჯანი | 9 | 1 | 1 | 7 | 6:25 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 9 | 1 | 1 | 7 | 2:36 | 4 |

*9.10 აზერბაიჯანი — სლოვაკეთი, ლიხტენშტაინი — რუმინეთი; 10.10 პორტუგალია — უნგრეთი*



REUTERS

გერმანია — ჩრდ. ირლანდია 4:0. ოლივერ ბირჰოფის შეჩერებას კიტ გილესპი (№17) ცდილობს

### VIII ჯგუფი

**მალტა 2:3 ირლანდია**

0:1 კინი (13), 0:2 ბრინი (20), 1:2 საიბ... (6.), 2:2 კარაბოტი (68 პ), 2:3 სტონტონი (72)

მალტა: ბარი, საიდი, კეტკუტი (ბუჰიგიარი 23), კარაბოტი, დებონო, ბუტიგიეგი (ველა 29), ბუზუტილი, სალიბა, ნვოკო, კამილერი, აგიუსი (ტუმა 67)

ირლანდია: კელი, ქარი, სტონტონი, ბრინი (ჰარტი 75), კანინგემი, კერსლი, კილბენი (დაფი 65), კინსელა, ქუინი, კინი, კენედი (მაკლაფლინი 54)

ირლანდიელებმა შიში ჭამეს. თამაშის დამთავრებამდე 18 წუთით ადრე სტივ სტონტონს საჯარიმო დარტყმა ზუსტად რომ არ შეესრულებინა, არხისგალმელები მალტაზე ორ ქულას დატოვებდნენ. ახლა კი, 10 ოქტომბერს მა...ნიასთან შეხვედრაში პლეი ოფში მ...ირას მაინც შეეცდებიან.

**...დონია 2:4 იუგოსლავია**

0:1 მილოშევიჩი (1), 0:2 ბაბუნსკი (4ს.კ.), 0:3 სტანკოვიჩი (14), 0:4 დრულოვიჩი (38), 1:4 სარიჩი (60), 2:4 ჩირიჩი (90)

მაკედონია: მილოშევსკი, სტარვევსკი, იოვანოვსკი, ლაზარევსკი, ბაბუნსკი, სავევსკი (გერასიმოვსკი 46), ვესელინოვსკი (სერაფიმოვსკი 40), მიჩევსკი (საინოვსკი 40), ხრისტოვი, ჩირიჩი, სარიჩი

იუგოსლავია: კრალი, მირკოვიჩი (კომლიენოვიჩი 46), კრსტაიჩი, იოკანოვიჩი, ჯუკიჩი, სტანკოვიჩი, დრულოვიჩი, მიატოვიჩი, მილოშევიჩი (კოვაჩევიჩი 82), სტოიკოვიჩი (სავიჩევიჩი 46), მიხაილოვიჩი

მსაჯი: ლუბოში (სლოვაკეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 7 | 5 | 1 | 1 | 16:6 | 16 |
| ირლანდია | 7 | 5 | 0 | 2 | 13:5 | 15 |
| ხორვატია | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| მაკედონია | 7 | 2 | 1 | 4 | 12:13 | 7 |
| მალტა | 8 | 0 | 0 | 8 | 6:27 | 0 |

*10.10 ხორვატია — იუგოსლავია, მაკედონია — ირლანდია*

### IX ჯგუფი

**ფარერები 0:1 ლიტვა**

0:1 რამელისი (55)

ფარერები: მიკელსენი, იოჰანსენი, ი.კ. ჰანსენი, ტორსტეინსონი, ჰ.ფ. ჰანსენი, ო. ჰანსენი, იარნსკორი (ლაკიუნი 84), ი. იონსონი (ბენიამინსენი 65), მოერკორე, ტ. იონსონი, არგე (ბორგი 46)

ლიტვა: სტაუჩე (როდიმანსკასი 79), ჟუტაუტასი, ვენცევიჩუსი, ტერშკინასი, რაზანაუსკასი (სკერლა 77), ვირგჟდაუსკასი, სენბერასი, მიკალაიუნასი, პრეიკშაიტისი, სკინდერისი, რამელისი

მსაჯი: რომაინი (ბელგია)

**ესტონეთი 0:0 შოტლანდია**

ესტონეთი: პოომი, პიროია, კირსი, ხოხლოვ-სიმსონი, სავიაუკი, ანისტე, ტერეხოვი, ოპერი, კრისტალი, რეიმი, ოკონელ-დრონინი (ზელინსკი 46)

შოტლანდია: სალივანი, უეირი, დევიდსონი, დეილი, ჰენდრი, დარანტი (ფერგიუსონი 68), დოდსი, ბარლი, ჯონსტონი (მაკკანი 56), ჰაჩისონი, კოლინზი

მსაჯი: შტუჩლიკი (ავსტრია)

„ვგონებ ფრე სრულიად სამართლიანი შედეგი იყო. ჩვენ რასაკვირველია გული დაგვწყდა, მეტოქისადმი უპატივცემულობის გამოხატვა არ გვსურს, მაგრამ ჩვენ უეჭველი სამი ქულის მოსაპოვებლად ვიყავით ჩამოსული" — თქვა შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმა და დასძინა — „ამიერიდან პლეი-ოფში გასვლას ვეშურებით და საამისოდ თუნდაც ერთი გამარჯვება გვჭირდება".

შოტლანდიელები ბოლო ორ შეხვედრას შინ, 5 ოქტომბერს ბოსნიასთან, ხოლო 9-ში ლიტვასთან ჩაატარებენ.

**ჩეხეთი 3:0 ბოსნია**

1:0 კოლერი (26), 2:0 ბერგერი (59პ), 3:0 პობორსკი (67)

ჩეხეთი: სრნიჩეკი, რეპკა, სუხოპარეკი, ნედვედი, ნიკლი, ბეიბლი, ნემეცი, პობორსკი, კუკა (ბარანეკი (79), კოლერი (ლოკვენცი 57), ბერგერი

ბოსნია: დედიჩი, იოლვიჩი (რეპუჰი 71), ბესირევიჩი, კონჯიჩი, ჰიბიჩი, იპტიარევიჩი (ბოლიჩი 71), ვარესანოვიჩი, საბიჩი, კოდრო, ბარბარესი, ტოპიჩი (დემიროვიჩი 71)

მსაჯი: ნილსონი (შვედეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 9 | 9 | 0 | 0 | 24:5 | 27 |
| შოტლანდია | 8 | 3 | 3 | 2 | 11:10 | 12 |
| ესტონეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 14:13 | 11 |
| ლიტვა | 9 | 3 | 2 | 4 | 8:13 | 11 |
| ბოსნია | 8 | 2 | 2 | 4 | 10:15 | 8 |
| ფარერები | 9 | 0 | 3 | 6 | 4:15 | 3 |

*5.10 შოტლანდია — ბოსნია; 9.10 ჩეხეთი — ფარერები, ესტონეთი — ბოსნია, შოტლანდია — ლიტვა*

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. IV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10.09 | 013 | არმინია — ვოლფსბურგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 015 | ჰანზა — ულმი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 11.09 | 011 | ჰამბურგი — ჰერტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 014 | უნტერჰახინგი — შტუტგარტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 016 | ლევერკუზენი — შალკე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 017 | დორტმუნდი — ფრაიბურგი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,4 |
| | 019 | დუისბურგი — ბაიერნი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 12.09 | 012 | ვერდერი — კაიზერსლაუტერნი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 018 | მიუნხენი — აინტრახტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. IV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10.09 | 020 | ვალდჰოფი — კარლსრუე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 022 | ბერლინი — ზანქტ პაული | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 025 | ოფენბახი — ჰანოვერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 11.09 | 021 | მიონხენგლადბახი — ალემანია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 12.09 | 023 | ფორტუნა — ხემნიცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 026 | კიკერსი — ობერჰაუზენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 027 | ფიურტი — კოტბუსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 028 | მაინცი — ნიურნბერგი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 13.09 | 024 | ბოხუმი — კიოლნი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. VII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.09 | 029 | არსენალი — ასტონ ვილა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | 031 | ჩელსი — ნიუკასლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 032 | ქოვენთრი — ლიდსი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| | 033 | ლივერპული — მანჩესტერი ($15^{30}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 034 | მიდლსბრო — საუთჰემპტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 035 | უენსდი — ევერტონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 036 | სანდერლენდი — ლესტერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 037 | ვესტ ჰემი — უოტფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 038 | უიმბლდონი — დერბი | 2,1 | 2,8 | 3,2 |
| 12.09 | 030 | ბრედფორდი — ტოტენჰემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. VII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10.09 | 039 | ბარნსლი — სტოკპორტი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 11.09 | 040 | ბირმინგემი — ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 041 | ბლექბერნი — ტრანმერი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 042 | ჩარლტონი — ბოლტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 043 | გრიმსბი — უოლსოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 044 | მანჩესტერ სიტი — კრ. პალასი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 045 | ნორვიჩი — ქრიუ | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 046 | პორტ ვეილი — ფულემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 047 | პორტსმუთი — იფსვიჩი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 048 | ქუინზ პარკი — შეფილდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 049 | სუინდონი — ნოტინგემი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 050 | ვულვზი — ჰადერსფილდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### ინგლისი. II დივიზიონი. VII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.09 | 051 | ბორნმუთი — რედინგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 052 | ბრისტოლი — მილუოლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 053 | კემბრიჯი — ბრენტფორდი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | 054 | ჩესტერფილდი — სტოკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 055 | კოლჩესტერი — სკანთორპი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 056 | ლუტონი — რექსემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 057 | ნოტსი — ბლეკპული | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 058 | ოლდემი — ბერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 059 | ოქსფორდი — ჯილინგემი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 060 | ბრისტოლი — ბარნლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 061 | უიგანი — როვერსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 062 | უიკომბი — კარდიფი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### ინგლისი. III დივიზიონი. VII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.09 | 063 | კარლაისლი — ლინკოლნი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 064 | ჩესტერი — ექსეტერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 065 | ჰალიფაქსი — ბრაიტონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 066 | მაკლსფილდი — საუთენდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 067 | მენსფილდი — ლეიტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 068 | ნორთჰემპტონი — ჰარტლპული | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 069 | პლიმუთი — როტერჰემი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 070 | როჩდეილი — დარლინგტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 071 | სუონსი — ბარნეტი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 072 | ტორკი — ჰალი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 073 | იორკი — პიტერბრო | 2,8 | 2,9 | 3,2 |
| 12.09 | 074 | ჩელტენემი — შრიუსბერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. VI ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.09 | 075 | მეცი — სტრასბური | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 076 | ლიონი — ოსერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 077 | სტ. ეტიენი — ლე ავრი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 078 | ლანსი — სედანი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 079 | ბასტია — ნანსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 080 | მონპელიე — მარსელი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | 081 | ტრუა — ნანტი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 12.09 | 082 | რენი — მონაკო | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 083 | პსჟ — ბორდო | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. IX ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.09 | 084 | ნიორი — ლილი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 085 | ლე მანი — სოშო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 086 | კაენი — გენიონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 087 | კანი — ლორიანი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 088 | აიაჩო — ნიცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 089 | შატორუ — ნიმი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 090 | ლუანი— ლავალი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 091 | ტულუზი — გენგამი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 092 | ვასკეალი — ამიენი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | 093 | კრეტეი — ვალანსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### იტალია. სერია A. II ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.09 | 094 | ბარი — ლაციო | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 098 | რეჯინა — ფიორენტინა | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| | 101 | უდინეზე — პიაჩენცა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 12.09 | 095 | კალიარი — იუვენტუსი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| | 096 | მილანი — პერუჯა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 097 | პარმა — ბოლონია | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| | 099 | რომა — ინტერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 100 | ტორინო — ვენეცია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 102 | ვერონა — ლეჩე | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### იტალია. სერია B. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12.09 | 103 | ალძანო — კიევო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 104 | ბრეშა — სალერნიტანა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 105 | კოზენცა — მონცა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 106 | ემპოლი — სამპდორია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 107 | ჯენოა — პესკარა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| | 108 | ნაპოლი — ფერმანა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 109 | პისტოიეზე — სავოია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 110 | რავენა — ატალანტა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | 111 | ტერნანა — ვიჩენცა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 112 | ტრევიზო — ჩეზენა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### იტალია. სერია C1/A. II ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12.09 | 113 | ალბინოლეფე — სიენა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 114 | ბრეშელო — კომო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 115 | კარარეზე — სანდონა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 116 | ჩიტადელა — ლივორნო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 117 | კრემონეზე — ლუმეცანე | 1,9 | 2,8 | ,,,8 |
| | 118 | ლეკო — რეჯანა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 119 | ლუკეზე — მონტევარკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 120 | მოდენა — ვარეზე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 121 | პიზა — სპალ | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### იტალია. სარია C1/B. II ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12.09 | 122 | არეცო — გუალდო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 123 | ასკოლი — პალერმო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 124 | ატლეტიკო — ფ. ანდრია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 125 | ბენევენტო — აველინო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 126 | კროტონე — ვიტერბეზე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 127 | ჯულიანოვა — ანკონა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 128 | ლოდიჯანი — კატანია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 129 | მარსალა — სტაბია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 130 | ნოჩერინა — დი სანგრო | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.09 | 135 | ბარსელონა — ესპანიოლი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 136 | ვალენსია — ალავესი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 138 | დეპორტივო — ვალიადოლიდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 12.09 | 131 | რაიო — სოსიედადი ($15^{00}$) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 132 | ატლეტიკო — სელტა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 133 | სევილია — სარაგოსა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 134 | ოვიედო — რასინგი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 137 | მალაგა — ბეტისი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 139 | ბილბაო — რეალი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 140 | მალიორკა — ნუმანსია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. IV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.09 | 141 | ეიბარი — ესტრემადურა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 142 | ელჩე — ხეტაფე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 148 | ტოლედო — ლას პალმასი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 150 | ატლეტიკო B — კომპოსტელა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 12.09 | 143 | ვილიარეალი — ბადახოსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 144 | ლევანტე — ალბასეტე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 145 | ტენერიფე — სალამანკა ($14^{00}$) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 146 | სპორტინგი — ლეიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 147 | უელვა — ლოგრონიესი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | 149 | მერიდა — კორდობა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | 151 | ლეგანესი — ოსასუნა ($15^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### პორტუგალია. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10.09 | 153 | ამადორა — გიმარაეში | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 154 | ბოავიშტა — ბელენენსეში | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 11.09 | 156 | ბრაგა — პორტუ | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| 12.09 | 152 | ალვერკა — კამპომაიორენსე | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | 155 | ჟილ ვისენტე — ლეირია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 157 | ფარენსე — სპორტინგი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| | 158 | სეტუბალი — მარიტიმუ | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 159 | რიუ ავე — სალგეირუში | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 160 | სანტა კლარა — ბენფიკა | 5,6 | 3,0 | 1,6 |

### ჰოლანდია. IV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10.09 | 161 | აიაქსი — ფეიენოორდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 162 | ალკამარი — როდა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 11.09 | 163 | სიტარდი — ვალვაიკი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 164 | ჰერენვენი — ტილბურგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 165 | მაასტრიხტი — კამბური | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | 166 | ტვენტე — ვიტესი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 12.09 | 167 | გრააფსხაპი — პსვ | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 168 | სპარტა — უტრეხტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ბელგია. V ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.09 | 169 | სენტ ტრუიდენი — აალსტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 170 | ლოკერენი — ბეერსხოტი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | 171 | მუსკრონი — გენტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 172 | ბევერენი — ვესტერლო | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 173 | ლიერსი — მეხელენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 174 | ლომელი — ჰარელბეკე | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 175 | გეელი — სტანდარდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 176 | შარლერუა — გენკი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 12.09 | 177 | ბრიუგე — ანდერლეხტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### საბერძნეთი. I ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12.09 | 178 | კალამატა — ოფი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 179 | პაოკ — აეკ | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 180 | ქსანთი — არისი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 181 | პანათინაიკოსი — ტრიკალა | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | | 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| | 182 | პანაჰაიკი — იონიკოსი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | 183 | ეთნიკოსი — კავალა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 184 | პროდეფტიკი — ოლიმპიაკოსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 185 | ირაკლისი — აპოლონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 186 | პანიონიოსი — პანილიაკოსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### ჩეხეთი. VI ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10.09 | 192 | იაბლონეცი — ბოჰემიანსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 11.09 | 187 | დუკლა — სლავია | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 193 | ტეპლიცე — ბრნო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 194 | სპარტა — ბუდეიოვიცე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 12.09 | 188 | სიგმა — ბლშანი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 189 | დრნოვიცე — ლიბერეცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 190 | ვიკტორია — პ. კრალოვე ($13^{15}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 191 | ოპავა — ბანიკი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### პოლონეთი. VIII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.09 | 197 | ლკს — ჰალექსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 199 | ზაგლებე — გროცლინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 200 | ამიცა — რაძიონკოვი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 201 | ლეგია — ვიძევი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 202 | ოდრა — პლოცკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 12.09 | 195 | ლეხი — რუხი | 2,5 | 2,9 | 6,5 |
| | 196 | ვისლა — პოლონია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 198 | გურნიკი — პოგონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### თურქეთი. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10.09 | 203 | ანთალია — ტრაბზონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 11.09 | 204 | გალათასარაი — ანკარაგიუჯიუ | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | 205 | ბეშიქთაში — დენიზლი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 12.09 | 206 | სამსუნი — ადანა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 207 | ერზურუმი — ქოჯაელი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 208 | ბურსა — გაზიანთეფი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 209 | გენჩლერბირლიგი — ვანი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 210 | ფენერბაჰჩე — ალთაი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | 211 | გიოზთეფე — ისთანბული | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შოტლანდია. VI ტური

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.09 | 212 | დანდი იუნაიტედი — ჰიბერნიანი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 213 | ჰართსი — დანდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 214 | რეინჯერსი — აბერდინი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | | 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| | 215 | სენტ ჯონსტონი — მოზერველი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 12.09 | 216 | კილმარნოკი — სელტიკი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| | | **ავსტრია. IX ტური** | | | |
| 10.09 | 221 | შტურმი — ლინცერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 11.09 | 217 | აუსტრია — გრაცერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 218 | ლუსტენაუ — ზალცბურგი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | 219 | რაპიდი — ტიროლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 220 | რიდი — ბრეგენცი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | | **შვეიცარია. XI ტური** | | | |
| 11.09 | 222 | არაუ — ბაზელი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 223 | ლოზანა — ივერდონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 225 | სერვეტი — სტ. გალენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 226 | ციურიხი — ქსამაქსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 12.09 | 224 | ლუცერნი — გრასჰოპერი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 227 | დელემონი — ლუგანო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | | **დანია. VII ტური** | | | |
| 10.09 | 232 | ოლბორგი — ლიუნგბიუ | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 12.09 | 228 | აკადემისკი — სილკებორგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 230 | ვიბორგი — ბრონდბიუ | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 231 | კოპენჰაგენი — ვეილე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 233 | აგფ — ოდენსე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 13.09 | 229 | ჰერფიოლგე — ესბიერგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | | **რუსეთი. XXIII ტური** | | | |
| 11.09 | 234 | ჩერნომორეცი — როტორი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 235 | ცსკა — როსტსელმაში | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,9 | 3.0 | 2,8 |
| | 236 | ზენიტი — ნ. ნოვგოროდი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| | 237 | შინიკი — სატურნი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 238 | ურალანი — ჟემჩუჟინა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 239 | ალანია — ლოკომოტივი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 240 | კრილია — დინამო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | | **შვედეთი. XX ტური** | | | |
| 11.09 | 241 | ჰელსინგბორგი — ტრელებორგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 242 | გიოტებორგი — აიკ | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 12.09 | 244 | კალმარი — იორგრიტე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 13.09 | 245 | იურგარდენი — ელფსბორგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 246 | ნორჩიოპინგი — მალმიო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 247 | იორებრო — ჰალმსტადი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 243 | ჰამარბი — ფრიოლუნდა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | | **ნორვეგია. XXII ტური** | | | |
| 11.09 | 249 | ბრანი — რუსენბორგი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 252 | სტრიომსგოდსეტი — სტაბეკი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 12.09 | 248 | ბოდიო გლიმტი — მოსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 250 | კონგსვინგერი — ლილესტრიომი | 3,0 | 3,3 | 2,0 |
| | 251 | მოლდე — ვიკინგი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | 253 | ტრომსიო — სკეიდი | 1,6 | 3,6 | 4,0 |
| | 254 | ვოლერენგა — ოდ გრენლანდი | 2,1 | 3,3 | 2,8 |

### ჩემპიონთა ლიგა

| | I ადგ. | ჯგ. გასვლა | IV ადგ. | თასი |
|---|---|---|---|---|
| ლაციო | 1,2 | 1,02 | 25,0 | 4,0 |
| ლევერკუზენი | 3,0 | 1,4 | 6,0 | 10,0 |
| დინამო | 5,0 | 2,0 | 4,0 | 25,0 |
| მარიბორი | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| ბარსელონა | 1,7 | 1,3 | 15,0 | 2,5 |
| ფიორენტინა | 2,0 | 1,4 | 12,0 | 5,0 |
| არსენალი | 3,0 | 1,5 | 10,0 | 7,0 |
| აიკ | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| დორტმუნდი | 1,7 | 1,2 | 6,0 | 7,0 |
| ფეიენოორდი | 2,0 | 1,5 | 2,5 | 15,0 |
| რუსენბორგი | 4,0 | 2,0 | 1,8 | 25,0 |
| ბოავიშტა | 6,0 | 3,0 | 1,6 | 50,0 |
| მანჩესტერი | 1,15 | 1,01 | 25,0 | 2,5 |
| მარსელი | 3,0 | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| კროაცია | 6,0 | 3,0 | 2,0 | 25,0 |
| შტურმი | 25,0 | 10,0 | 1,2 | 100,0 |
| რეალი | 1,15 | 1,02 | 10,0 | 6,0 |
| პორტუ | 3,0 | 1,3 | 2,5 | 15,0 |
| ოლიმპიაკოსი | 8,0 | 3,0 | 1,5 | 50,0 |
| მოლდე | 10,0 | 4,0 | 1,2 | 100,0 |
| ბაიერნი | 1,8 | 1,3 | 8,0 | 5,0 |
| ვალენსია | 2,5 | 1,6 | 2,2 | 10,0 |
| პსვ | 4,0 | 2,0 | 1,7 | 15,0 |
| რეინჯერსი | 4,0 | 2,0 | 1,5 | 25,0 |
| ბორდო | 1,7 | 1,15 | 6,0 | 15,0 |
| სპარტაკი | 2,0 | 1,35 | 2,2 | 25,0 |
| სპარტა | 5,0 | 2,5 | 1,8 | 50,0 |
| ტილბურგი | 8,0 | 3,5 | 1,4 | 50,0 |
| მილანი | 1,7 | 1,1 | 8,0 | 2,5 |
| ჩელსი | 1,8 | 1,15 | 6,0 | 5,0 |
| ჰერტა | 4,0 | 2,0 | 2,0 | 15,0 |
| გალათასარაი | 10,0 | 4,0 | 1,1 | 50,0 |

### უეფას თასს მოიპოვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 2,5 |
| პარმა | 4,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 5,0 |
| ტოტენჰემი | 5,0 |
| აიაქსი | 5,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| ნიუკასლი | 7,0 |
| ვესტ ჰემი | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| მალიორკა | 10,0 |
| მონაკო | 10,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 |
| ვერდერი | 10,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ანდერლეხტი | 15,0 |
| ბრიუგე | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| ლოკომოტივი | 50,0 |
| ვიტესი | 50,0 |
| სელტიკი | 50,0 |
| სპორტინგი | 50,0 |
| გიოტებორგი | 100,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 100,0 |
| როდა | 100,0 |

**შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია**

(ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტოტალიზატორის სიაში შეტანილი სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტულ სათამაშო თამაშებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# აზოტი და ბათუმი შინ ითამაშებენ

მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატის ჩატარების სისტემაზე მსჯელობისას კალათბურთის ფედერაციამ რამდენიმე ვარიანტი განიხილა და ხანგრძლივი ფიქრისა და სჯა-ბაასის შემდეგ .დაადგინა: ახალი გათამაშება სამ ეტაპად გაიმართება. პირველი ეტაპი ორ წრეს ითვალისწინებს, რაც ნიშნავს, რომ პირველობის მონაწილე ნებისმიერი გუნდი ორჯერ უნდა ეთამაშოს ამა თუ იმ მოწინააღმდეგეს. ამის შემდეგ გამოიკვეთება ექვსი საუკეთესო კლუბი, რომლებიც მეორე ეტაპზე ასევე ორ წრედ ოთხეულში შესაღწევად იბრძოლებენ. ექვსეულს მიღმა დარჩენილნი კი მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებს გაითამაშებენ. მესამე, დასკვნითი ეტაპი წინა ჩემპიონატის მსგავსად ჩატარდება, პირველი-მეოთხე და მეორე-მესამე ადგილოსნები სამ მოგებამდე დაეჭიდებიან ერთმანეთს. მათი დაპირისპირება მეცხრე ეროვნულის ფინალისტებს გამოავლენს, სუპერფინალები კი ამჯერადაც სამ გამარჯვებამდე გასტანს.

წლევანდელ გათამაშებაში მონაწილე კლუბებს წინასწარი განაცხადების წარდგენის ვადად ფედერაციამ ათი სექტემბერი დაუთქვა, თუმც გუშინდლამდე მხოლოდ ოთხმა — „შევარდენმა“, „აზოტმა“, „ბათუმმა“ და „სამედიცინო აკადემიამ“ მოახერხა ამ პირობის დაცვა. საბოლოო განაცხადები კი, ჩემპიონატში სამონაწილეო თანხასთან ერთად, გუნდებმა თხუთმეტი სექტემბრის ჩათვლით უნდა წარადგინონ.

გაირკვა ისიც, რომ „აზოტი“ და „ბათუმი“ თავიანთ ქალაქებშიც უმასპინძლებენ თბილისურ კლუბებს. ფედერაციის საგანგებო კომისიამ რუსთავის და ბათუმის საკალათბურთო დარბაზები ჩემპიონატის მატჩების ჩასატარებლად ვარგისად ჩათვალა.

თავად პირველობა კი, როგორც თავიდანვე ითქვა, ალბათ პირველ ოქტომბერს დაიწყება.

**გიორგი ბიძაშვილი**

# ჯაფარიძემ მაკედონია-ბულგარეთი მოიარა და ისევ რუსთავში აღმოჩნდა

*კორახის თასზე უკრაინულ „ბკ კიევთან“ 15 სექტემბრის მატჩამდე ერთი კვირით ადრე მანავისა და ურეკის შეკრებებმოვლილმა რუსთავის „აზოტმა“ სპორტის სასახლეში განაგრძო წვრთნა, იქ, სადაც უშუალოდ დაუპირისპირდება უკრაინულ გუნდს. გუშინ, ასე ოთხი საათისთვის ვიცე-ჩემპიონები სასახლეში შეიყარნენ და მთავარი მწვრთნელის ოთარ ხმელიძის მითითებით მსუბუქად გახურდნენ. მსუბუქად იმიტომ, რომ სულ რაღაც ნახევარ საათში მათ ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდთან სპარინგმატჩი ელოდათ. ამ შეხვედრას თვით ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე ადევნებდა თვალს, თუმცა, ამის მიუხედავად, „აზოტი“ — სტუ-ს ამხანაგური მატჩის მნიშვნელობა და მისი შედეგი „სარბიელისთვის“ ნაკლებად მნიშვნელოვანი გახლდათ. გაცილებით უფრო საინტერესო რუსთაულ კლუბში არსებული ვითარების გარკვევა და მათ ძირითად ცენტრ ირაკლი ჯაფარიძესთან გასაუბრება იყო, თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით.*

*რაც შეეხება აზოტელთა საევროპო სამზადისს, ყველაფერი ჩვეულებრივად, შეიძლება ითქვას, დასახული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, მაგრამ თუკი მათი მეტოქის, „ბკ კიევის“ საამატჩო მზადებას, აქეთ-იქით გაუთავებულ მოგზაურობას და ნაირ-ნაირ ტურნირებში მონაწილეობას ზედმიწევნით აღვწერთ, ბევრს იქნებ გულიც გაუსკდეს შურისა და ბოღმისაგან. „სარბიელის“ მკითხველი კი საამისოდ ნამდვილად არ გვემეტება...*

*ახლოვდება უკრაინელებთან შეხვედრა და ნათლად ჩანს, „აზოტს“ პრობლემები მოსძალებია. მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, უბრალოდ, საწყენია, რომ ყველაფერ ამას გუნდის კაპიტნის, რამაზ გოგობერიშვილის ავადმყოფობაც დაერთო. რამაზს სურდო შეჰყრია და აგერ უკვე მესამე დღეა, რუსთაველები უმისოდ ვარჯიშობენ. რა იქნება ხვალ-ზეგ, არავინ იცის, მაგრამ რას ნიშნავს „აზოტისთვის“ რამაზ გოგობერიშვილი, უკლებლივ ყველას კარგად მოეხსენება.*

*ზემოთ ირაკლი ჯაფარიძე ვახსენე და მასთან გასაუბრება რომ მსურდა, ისიც გაგანდეთ. საქმე ისაა, რომ ბედმა ბოლომდე არ გასწირა „აზოტი“ და სასურველი კლუბის ძიებაში ევროპას გამგზავრებული ირაკლი ორიოდ დღის წინ ისევ მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა. ჯაფარიძესთან ერთად რასაც გამორჩება „აზოტი“ „ბკ კიევს“, ამას მალე შევიტყობთ. აი, უჯაფარიძეოდ კი ვიცე-ჩემპიონები ვერ წარმომიდგენია და წარმატებაზე ფიქრიც ძალიან, ძალიან მიჭირს.*

*ალბათ, უკვე მიხვდით, რატომაც მსურდა ჯაფარიძესთან შეხვედრა. ჩვენი სასაუბრო თემაც, ვფიქრობ, ნათელია — მისი ევროპული ვოიაჟი და... არშემდგარი კონტრაქტის მიზეზები.*

**— „აზოტთან“ ერთად ურეკის შეკრებაზე იმყოფებოდი. შემდეგ უცებ ევროპაში აღმოჩნდი. ყოველივე წინდაწინვე გქონდა დაგეგმილი?**

— არა, უბრალოდ, ბულგარელი მენეჯერი ნიკოლაი ტენევი დამიკავშირდა და სოფიაში ჩასვლა მთხოვა. რამდენიმე კლუბის ვარიანტია და რომელიმეს უეჭველად გაგიხერხებო, მითხრა.

**— გამგზავრებამდე თუ იცოდი, რომელ გუნდებზე იყო ლაპარაკი?**

— ტენევმა მითხრა, მაკედონიის მეორეადგილოსანი და თასის ფინალისტი, ქალაქ კუმენოვოს გუნდი ეძებს შენი ამპლუის მოთამაშესო.

**— მერე?**

— მენეჯერი სოფიაში დამხვდა, საიდანაც პირდაპირ მაკედონიაში გავეშურეთ. კლუბთან ორჯერ ვივარჯიშე და ერთ ამხანაგურ შეხვედრაშიც ვითამაშე. მწვრთნელები კმაყოფილნი დარჩნენ ჩემით და ტენევს, რომელიც თავის საქმეებზე გამგზავრების აპირებდა, მოელაპარაკნენ კიდეც, ჯაფარიძეს აუცილებლად დავიტოვებთო.

**— მაშ, რაღამ შეგიშალა ხელი?**

— ფინანსურ მხარეზე რომ მიდგა საქმე, ყველაფერი მაშინ აირია. მენეჯერი თურმე მაკედონიურ ფულს დამპირდა და არა დოლარებს, როგორც მე ვიცოდი. მგონი, თავად ტენევიც მოატყუეს, ყოველ შემთხვევაში, მაგ საქმისა ვერაფერი გავიგე და გადავწყვიტე, გავცლოდი იქაურობას.

**— ის თანხა, რომელიც შემოგთავაზეს, ძალიან გეცოტავა თუ...**

— ორჯერ და სამჯერ მეტს მთავაზობდნენ, ვიდრე აქ, „აზოტში“ ვიღებ, მაგრამ რომ დავფიქრდი, არ მიღირდა.

**— ისე, რა პოზიციაზე გაგსინჯეს?**



გურამ ცუცქირიძის ფოტო

ირაკლი ჯაფარიძე

— ოთხ ნომრად, თავდამსხმელად მათამაშებდნენ. იმავე დროს ცენტრის პოზიციაზე ერთი ზანგიც ისინჯებოდა, რომელიც, როგორც შემდეგ გავიგე, აუყვანიათ კიდეც.

**— როგორც ვიცი, შენ და ტენევი შემდეგ ისევ ბულგარეთში ჩასულხართ.**

— სოფიის „ლევსკის“ ვარიანტიც იყო, სადაც თითქმის ერთი კვირა დავყავი და ამ გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ისეთები მითხრეს აქამდე რომ არ მსმენოდა.

**— მაინც რაო, რა გითხრეს?**

— რაო და, აქაურ ჩემპიონატში უშენოდაც იოლას გავალთ და თუ გსურს, ერთთვიან კონტრაქტს გაგიფორმებთ, საევროპო განაცხადში შეგიყვანთ და იქ გათამაშებთო. მერე, თუ ჯგუფში მოხვედრა შევძელით, დავჯდეთ და ცალკე ვილაპარაკოთო. რა თქმა უნდა, ესეც მიუღებელი იყო ჩემთვის. თავმოყვარე კალათბურთელი თავს ასე არ დაიმცირებს.

**— გავიგე, აქეთობისას საბერძნეთშიც გამოგივლია...**

— ბილეთი აქედანვე ისეთი მქონდა, რომ ათენშიც უნდა გამევლო. იქ ბევრი ახლობლები მყავს და ისინი მოვინახულე. ჩემს ყოფილ გუნდში „მენტშიც“ მივედი და რომ დამინახეს, ძალიან გაუხარდათ. ასე მითხრეს, თუკი როდესმე საბერძნეთში დაბრუნებას გადაწყვეტ, წინასწარვე შეგვატყობინე, „მენტისთვის“ ძალიან სასურველი მოთამაშე ხარო. იგივე დამაბარეს რამაზ გოგობერიშვილთანაც.

**— არ გქონდა იქ დარჩენის შესაძლებლობა?**

— ახლა ამის შანსი ნამდვილად არ იყო, საცაა ჩემპიონატი დაიწყება და გუნდები უკვე საბოლოოდაა დაკომპლექტებული. ვნახოთ, არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში ისევ საბერძნეთში გავაგრძელო კარიერა.

**— კი მაგრამ, ამდენი მოგზაურობა შენს სპორტულ ფორმაზე როგორ იმოქმედებდა? ვფიქრობ, ამაზე „აზოტის“ ხელმძღვანელობაც ძალიან უნდა წუხდეს...**

— ისეთს ვერაფერს ვატყობ თავს, სათამაშო ფორმიდან ამოვვარდნილიყავი. „აზოტი“ აქ ვარჯიშობდა, მე კი — იქ. თუ გუნდთან შეთამაშებას გულისხმობ, ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს, თანაგუნდელები უკვე თვალდახუჭული ვუგებთ ერთმანეთს.

**— მოწინააღმდეგე „ბკ კიევზე“ რაღას იტყვი?**

— ბევრს ვერაფერს, მარტო ის ვიცი, რომ საზღვარგარეთ დადიან წამდაუწუმ. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ უკრაინელებს ფული ბევრი აქვთ, მაგრამ ეს მათ სიძლიერეზე სულაც არ მეტყველებს. ჩვენც რაღა გვაქვს დასაკარგი, ბოლომდე ვითამაშებთ და ჩვენსას შევეცდებით, და ძალიან კარგი იქნება, თუ მათ დავამარცხებთ.

**გიორგი ბიძაშვილი**

## თავისუფალი აგენტების ბაზარი

8 სექტემბერი

***ფინიქს სანზი:*** აიყვანა „კლივლენდის“ ყოფილი ფორვარდი კორი ბლაუნტი (ორწლიანი კონტრაქტი)

# კუბელი ოთხ გუნდს უნდა

ლასარო ბორელმა, 26 წლის კუბელმა კალათბურთელმა, სამ თანაგუნდელთან ერთად ივლისში მიატოვა კუბის ნაკრები და ამერიკის შეერთებულ შტატებს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა. ამჟამად ბორელი „ჰიუსტონ როკიტსთან“ ერთად ვარჯიშობს და არაა გამორიცხული, გახდეს პირველი კუბელი, რომელიც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ითამაშებს.

„როკიტსი“ ოთხიდან ერთ-ერთია, რომელმაც ბორელისადმი ინტერესი გამოამჟღავნა, მის გარდა კუბელის გასინჯვა „ნიუ ჯერსი ნეთსს“, „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს“ და „მაიმი ჰითს“ სურთ.

ბორელმა ინგლისური არ იცის, ამიტომ ვარჯიშებზე თარჯიმანის თანხლებით დადის. ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ მან განაცხადა: „კუბაში მოღალატეს მეძახიან. მაგრამ ეს არ მაღელვებს, აღარ მინდოდა იქ ცხოვრება და მიზანს მივაღწიე. ვწუხვარ, რომ კუბაში ჩემი ოჯახი დარჩა, მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ ერთ დღეს მასაც გამოვიხსნი“.

„ჰიუსტონ როკიტსი“ არაფერს ამბობს ბორელის საკალათბურთო დონის შესახებ, თუმცა არ მალავს, რომ დაინტერესებულია მისით.

## ევროპული ტრანსფერები

### იტალია

# რიგოდო დაუბრუნდა... თავის ყოფილ მფლობელს



სარბიელის არქივიდან

ანტუან რიგოდო

საფრანგეთის ნაკრების გამთამაშებელი ანტუან რიგოდო, რომლის ოცნებაც ამერიკაში, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაში იყო და ამისთვის ყველაფერს აკეთებდა, საბოლოოდ მაინც ევროპაში დარჩა. მან იტალიური კალათბურთის ერთ-ერთ გრანდთან, ბოლონიის „კინდერთან“ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც რიგოდომ საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა (ფრანგთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო), მან აშშ-ში გაფრენა გადაწყვიტა. „კინდერთან“ წინა კონტრაქტი მას უკვე დამთავრებული ჰქონდა და ეგონა, ამერიკული გუნდები თავისუფალ აგენტს უფრო ადვილად აიყვანდნენ.

თუმცა, სად ევროპაში თამაში და სად ამერიკაში. რიგოდო კი სულაც არ არის ისეთი ძლიერი კალათბურთელი, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რომელიმე გუნდმა კალთები დაახიოს. თავიდან მისი მიწვევის სურვილი თითქოს „საკრამენტომ“ გამოთქვა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ფრანგს უკვე ახალი გუნდის ძებნა დასჭირდა. მან „ნიუ იორკსა“ და „ტორონტოშიც“ მოსინჯა ძალა, თუმცა საბოლოოდ არც ამ გუნდებმა დაიტოვეს კალათბურთელი.

ანტუან რიგოდოც მიხვდა, რომ მისი ოცნების განხორციელება შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი მაინც იქნებოდა. მას არც სათადარიგოთა სკამის ხეხვა აძლევდა ხელს და არც მატჩში მხოლოდ ორიოდ წუთით თამაში (ესეც კი საეჭვო იყო). ამიტომ გადაწყვიტა, კარიერა ევროპაში გაეგრძელებინა.

და აი, ისიც „კინდერს“ დაუბრუნდა, გუნდს, რომელმაც მისგან ევროპული დონის ვარსკვლავის შექმნა მოახერხა. 28 წლის ანტუან რიგოდომ ბოლონიურ კლუბს 2003 წლამდე დაუკავშირა თავისი ბედი.

მაშ, ასე, „ამერიკული ოცნება“ საპნის ბუშტივით გასკდა, რიგოდო კი ამ უქმეებზე ჩაერთვება იტალიურ ჩემპიონატში და ეცდება „კინდერს“ „მონტეკატინის“ შინ დამარცხებაში მიეხმაროს.

### თურქეთი

# ემლაქბანკმა ჩემპიონატი მიატოვა

„ემლაქბანკი“ წლეულს გადმოვიდა თურქეთის პირველ ლიგაში, მაგრამ იგი უთამაშებლად მიატოვა. გუნდმა ფინანსური პრობლემები მოიმიზეზა და ისევ ქვედა ლიგაში დაქვეითება ითხოვა. თურქეთის კალათბურთის ფედერაციამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა და, თან, შემცვლელი სასწრაფოდ გამოძებნა: „ემლაქბანკის“ ადგილს „ითუ ისთანბული“ დაიკავებს. შეგახსენებთ, რომ „ემლაქბანკში“ ერთხანს ქართველი დავით თორთლაძე თამაშობდა.

თურქეთის ჩემპიონატი 18 სექტემბერს იწყება. სეზონი კი 15 სექტემბერს იხსნება: ანკარაში, „პრეზიდენტის თასს“ ერთმანეთს „ეფესი“ და „თოფაში“ შეეცილებიან.


ბავშვთა კალათბურთის აკადემია აცხადებს

1990, 1991 და 1992 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 49ა

ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის შენობაში

☎ 23 20 05

ვაქირავებ ან ვყიდი

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას

სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23

# უმართლებთ ძლიერებს

US OPEN

**ქალები. მეოთხედფინალი: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — მარი პირსი (5, საფრანგეთი) 6:2, 3:6, 7:5; სერენა უილიამსი (7, აშშ) — მონიკა სელეში (4, აშშ) 4:6, 6:3, 6:2.**

როგორც ამბობენ, უმართლებთ ძლიერებს.

ლინდსი დევენპორტი დღესდღეობით მარი პირსზე მაღლა დგას კლასიფიკაციაში, პირად შეხვედრებში უკვე 7:2-ს უგებს და გუშინდელ მეოთხედფინალშიც, როგორც ჭეშმარიტად ძლიერს შეეფერება, მართლაც გაუმართლა. არადა, ნახევარფინალის საგზურს მასზე მეტად ფრანგი ლამაზმანი იმსახურებდა.

„ამ წუთში მანჰეტენისკენ უნდა მივემგზავრებოდე და ჩემოდნის ჩალაგებას ვიწყებდე, რომ ხვალ დილით შინ დავბრუნდე. უბრალოდ გამიმართლა, რომ ისევ აქ ვარ“ — აღიარა უიმბლდონის ჩემპიონმა ამერიკელმა პრესკონფერენციაზე.

წლევანდელი „ოუფენის“ უდავოდ საუკეთესო შეხვედრაში პირსს, პირდაპირი გაგებით ორიოდ თითის დადება დააკლდა გამარჯვებამდე.

ფრანგმა დიაცმა პირველ ხელში დევენპორტს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, მაგრამ თანდათან თამაშს უმატა და მძლავრი, ამასთან საზრიანი და ზუსტი დარტყმა-მოწოდებებით მეტოქე აშკარად დაჯაბნა.

გადამწყვეტ, მესამე სეტში პირსი 5:3 დაწინაურდა; 5:4-ზე ორჯერ ჰქონდა შანსი, თითო დარტყმით გადაეწყვიტა შეხვედრის ბედი. პირველი მატჩ-პოინტი ხანგრძლივი გათამაშების შემდეგ დევენპორტმა რისკიანი, კუთხეში მიმართული ბექჰენდით გადაარჩინა, რომელიც ზედ გვერდით ხაზზე დაეცა.

მეორე მატჩ-პოინტზე ინიციატივა უკვე თავად მარიმ გამოიჩინა: შეტევაზე გადასულმა კორტის შიგნიდან აუღებლად დაარტყა მარჯვნივ. ფრანგმა მუშტიც კი მოიღერა და გამარჯვების აღსანიშნავადაც გაემზადა, მაგრამ თითქოს შენელებული კადრით მფრინავი ბურთი ორიოდ სანტიმეტრით ასცდა მიზანს.

ნერვიულ ღიმილს ამოფარებული პირსი ისევ უკანა ხაზს მიუბრუნდა მოსაწოდებლად და მომდევნო ორი ქულა საკუთარი შეცდომებით წააგო სწორედ მაშინ, როცა დევენპორტმა ანგარიში გაათანაბრა, წამოწვიმდა. შეხვედრა ერთი საათით შეწყდა.

„ვინც ამბობს, რომ ასეთ დაძაბულ წამებში არ ნერვიულობს, ნამდვილად ცრუობს. მნიშვნელობა არა აქვს, პირველი ჩოგანი ხარ თუ მეასე, კაცი თუ ქალი, ცოტათი ხელი აუცილებლად აგიკანკალდება. მარისაც რაღაც ამისთანა მოუვიდა, თუმცა სულ იოლად შეიძლებოდა, ის ორი მატჩ-პოინტი მის სასარგებლოდ დასრულებულიყო“ — აღნიშნა მოგვიანებით ამერიკელმა.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ჩოგბურთელები ისეთი განწყობით დაუბრუნდნენ კორტს, თითქოს საათს კი არა, რამდენიმე წამს გაევლოს: გათამაშებები კიდევ უფრო სწრაფი და სანახაობრივი გახდა, არადა, თითოეულ ქულას ოქროს ფასი ედო.

უპირატესობა ისევ პირსის ხელთ იყო, თუმცა ფრანგმა დიაცმა შესანიშნავ დარტყმებს ხშირი უნებლიე შეცდომები გაურია და ეს სამახსოვრო მატჩიც მეტად შეუფერებლად, ორმაგით დაასრულა.

დასანანი მარცხის მიუხედავად, მარის ცხვირი არ ჩამოუშვია: „ვცდილობ, ყველაფერში დადებითი დავინახო და ოპტიმიზმი შევინარჩუნო, ამ შეხვედრიდან ბევრის სწავლა მმართებს. მართალია, მოგების შანსები ხელიდან გავუშვი, მაგრამ მეამაყება, რომ ასე ბოლომდე ვიბრძოლე და მსოფლიოს მეორე ჩოგანს არაფერში ჩამოვრჩი“.

ახლა დევენპორტს ნახევარფინალში კიდევ ერთი მძიმე გამოცდა ელის სერენა უილიამსის სახით, რომელმაც მონიკა სელეშს ქალთა ჩოგბურთისთვის წარმოუდგენელი 15 ეისი მოუწოდა და ერთი ნაბიჯიც გადადგა უფროს დაიკოსთან შესაძლო ფინალური დუელისკენ.

**კაცები. მეოთხედფინალი: ანდრე აგასი (2, აშშ) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 7:6 (7:3), 6:3, 6:4; ევგენი კაფელნიკოვი (3, რუსეთი) — რიჩარდ კრაიჩეკი (12, ჰოლანდია) 7:6 (7:0), 7:6 (7:4), 3:6, 1:6, 7:6 (7:5).**

თუ სერენას ეისების რაოდენობამ თქვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ღრმად ჩაისუნთქეთ და მომდევნო ინფორმაციისთვის ისე გაემზადეთ — ჰოლანდიელ რიჩარდ კრაიჩეკს ევგენი კაფელნიკოვთან მეოთხედფინალურ შეხვედრაში 48 (!) ეისი დაუგროვდა.

საოცარია, მაგრამ ფაქტია: ამ მაჩვენებლით უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონმა გორან ივანიშევიჩის მსოფლიოს რეკორდს ორით გადააჭარბა, მაგრამ მანაც, და ზორბა ხორვატმაც თავის დროზე (უიმბლდონზე შვედ მაგნუს ნორმანთან), სარეკორდო შეხვედრები მაინც წააგეს.

ძნელი სათქმელია, მეტოქის ამდენი აუღებელი მოწოდების შემყურე სოჭელ ჟენიას მინი-ინფარქტი, ან მცირე დეპრესია მაინც როგორ არ დაემართა, მით უმეტეს, ნახევარფინალში გაძვრომა როგორ მოახერხა.

„როდესაც რიჩარდი ასე აწოდებს, შენ უბრალო მაყურებლის როლშიღა რჩები. ბოლო სეტის წინ თავს შევუძახე, როგორმე ისევ ტაი-ბრეიკამდე მიატანე-მეთქი. ისღა დამრჩენოდა, მელოცა, მას პირველი მოწოდება გაეფუჭებინა ან ორმაგი გაეკეთებინა“ — განაცხადა მატჩის შემდეგ 25 წლის რუსმა, რომელმაც მთელ შეხვედრაში ერთადერთი ბრეიკი პირველ ხელში გააკეთა, ოღონდ მაშინ, 4:5-ს რომ აგებდა.

წვიმით გამოწვეული დაგვიანების გამო ცენტრალური კორტიდან ლუი არმსტრონგის სტადიონზე გადატანილი შეხვედრა სამ საათსა და 20 წუთს მიმდინარეობდა და მეტოქეთა მხრიდან უამრავი შეცდომის გარდა ბადესთან კრაიჩეკის ლამაზი თამაშით, კაფელნიკოვის უზადო შემოვლებულებითა და თვითმფრინავების გამაყრუებელი ხმაურით გამოირჩეოდა.

მეხუთე სეტის ტაი-ბრეიკის დაწყებამდე ჩოგბურთელების გასამხნევებლად ფეხზე წამომდგარმა ქომაგებმა ამ დღეს უჩვეულოდ თავდაჯერებული და ნერვებმოთოკილი კაფელნიკოვი იხილეს — მატჩის დროს ჟენიამ ემოციები მხოლოდ მაშინ გამოამჟღავნა, როცა ზედიზედ მესამე მატჩ-პოინტი კრაიჩეკმა თითქოს აუტზე გადასული დარტყმით გადაარჩინა და ანგარიში 5:6-მდე შეამცირა.

დასასრული კი შეხვედრას ცოტათი ირონიული ჰქონდა: კაფელნიკოვმა ჰოლანდიელს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ მეოთხე მატჩ-პოინტი თავისი მე-10 ეისით გამოიყენა, მერე კი სახარულისგან ზევით-ქვევით ხტუნვას მიჰყო ხელი და ბურთი მაყურებლებში მოისროლა.

„თანახმა ვარ, იმდენივე ეისი მქონოდა, მაგრამ ნახევარფინალში მე გავსულიყავი“ — მწარედ იხუმრა მატჩის შემდეგ კრაიჩეკმა.

ახლა კაფელნიკოვს ანდრე აგასისთან ელის შეხვედრა და სწორედ ეს მატჩი გადაწყვეტს, ვინ გახდება ორშაბათიდან მსოფლიოს პირველი ჩოგანი.

* * *

იუნიორებს შორის თავის უკანასკნელ დიდი სლემის ტურნირზე წარმატებით მიიწევს წინ თბილისელი ირაკლი ლაბაძე. ჩვენებურმა მეორე წრეში დამაჯერებლად დაამარცხა ფრანგი ჟულიენ კასენი — 6:2, 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**



მარი პირსი



ევგენი კაფელნიკოვი

## სხვადასხვა



ჯონ მაკინროი

**ჯონ მაკინროის** სამსახურებრივ ნუსხას გაისიდან დევისის თასის გუნდის კაპიტნობაც დაემატება — გუშინ აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციამ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ვაჟთა ეროვნული ნაკრების თავკაცად დანიშნა.

ჩოგბურთის ყველა დროის უდიდესი შარისთავი მაკინროი დიდი ხანია, ესწრაფვოდა ამ თანამდებობას, თუმცა მისი რეპუტაციით და კრიტიკული გამოხტომებით დაშინებული თუ განაწყენებული ფედერაციის ხელმძღვანელობა გამუდმებით უარით ისტუმრებდა.

მაგრამ გუნდის აწ უკვე ყოფილი კაპიტანი ტომ გალიქსონი ბოლო ხანებში თავის ფუნქციებს ჯეროვნად ნამდვილად ველარ ართმევდა თავს: ქვეყნის სახელით ასპარეზობას დიდი ვარსკვლავები — ანდრე აგასი, პიტ სამპრასი, მაიკლ ჩანგი თავს არიდებდნენ, შესუსტებული შემადგენლობით კი ამერიკელები შარშან ნახევარფინალში დამარცხდნენ, წლეულს — მეოთხედფინალში.

ჩოგბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა ჯუდი ლევერინგმა გამოსავალი იმაში დაინახა, რომ გუნდის წევრებს — სამპრასს, აგასის, ჯიმ კურიესა და ტოდ მარტინს აზრს დაეკითხა და მათთან კონსულტაციების შედეგად მიიღო გადაწყვეტილება. მაკინროის კანდიდატურა ყველასთვის სასურველი და მისაღები იყო.

„ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საამაყო მომენტია. რა თქმა უნდა, ამ მშვენიერმა ქალბატონმა დიდი სიმამაცე გამოიჩინა, მე რომ დამნიშნა, რასაც ძალიან ვაფასებ“ — ამაგი არ დაუკარგა ლევერინგს მაკინროიმ, რომელმაც პრესკონფერენციის დასაწყისში ლამის ნახევარსაათიანი სამადლობელი წერილი წაიკითხა და ერთხელ ჟურნალისტებს იქვე მყოფი თავისი მშობლებისთვის ტაშის დაკვრაც მოსთხოვა.

მაკინროისთვის დევისის თასის გათამაშება დიდი სლემის ტურნირებზე და კლასიფიკაციაზე მნიშვნელოვანი იყო — 40 წლის უიმბლდონის სამგზის გამარჯვებულს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ხუთჯერ მოუგია და აშშ-ის ნაკრების თითქმის ყველა რეკორდიც ეკუთვნის, მათ შორის ყველაზე მეტი ერთეულების მატჩის (41) მოგებისთვის.

„ვფიქრობ, იგი ყველა დროის საუკეთესო კაპიტანი იქნება. მისი დახმარებით ჩვენ ბევრის მიღწევა შეგვიძლია“ — მოიწონა მაკინროის დანიშვნა ნაკრებზე გაბუტულმა აგასიმ, რომელსაც კვერი სამპრასმაც დაუკრა, დარწმუნებული ვარ, ჯონი საუკეთესო კანდიდატურაა, მას ეს ადგილი უკვე რამდენიმე წელია, სურდაო.

* * *

**თუ** ამერიკელთა ბანაკში მაკინროის დანიშვნით გამოწვეული ეიფორია სუფევს, ავსტრალიის დევისის თასის გუნდს საქმე შავად აქვს — ნახევარფინალურ შეხვედრაში რუსეთთან მას ალბათ, ქვეყნის პირველი და მეორე ჩოგნების გარეშე მოუხდება ფონს გასვლა.

წუხელ გაირკვა, რომ ნაკრებს უეჭველად დააკლდებოდა აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი პატრიკ რაფტერი — კიკინიან ოზს ექიმებმა ყველაზე მცირე, ექვის კვირით დასვენება გამოუწერეს. ავსტრალიელთა კაპიტნის, ჯონ ნიუკომბის თქმით, რაფტერი წლეულს მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ გუნდი ფინალში გააღწევს და მისი დახმარება გახდება საჭირო, ისე კი იგი გაისამდე ჩამოსცილდება დიდ სპორტს.

„თუ პეტი გარისკავს და თუნდაც წყვილებში ითამაშებს, შეიძლება ისეთი ტრავმა მიიღოს, თვეები დასჭირდეს მოსარჩენად. ჩვენ იმისი იმედიღა გვაქვს, რომ ამ ნახევარფინალს მოვიგებთ და იგი დეკემბრის დასაწყისში, ფინალისთვის უკვე ჯანზე იქნება“ — აღნიშნა ნიუკომბმა.

თითქმის გამორიცხულია ნახევარფინალში კიდევ ერთი ტრავმირებულის, მარკ ფილიპუსისის თამაშიც, ასე რომ, გუნდის ლიდერად 18 წლის ადელაიდელი ლეიტონ ჰიუიტი იქცევა, ერთეულებში მეორე ადგილისთვის კი უეინ არტურსს, ჯეისონ სტოლტენბერგს, ენდრიუ ილისა და მარკ ვუდფორდს აქვთ გაჩაღებული კონკურენცია.

* * *

**თანამედროვე** სპორტში დიდი ვარსკვლავების არც ერთი ნაბიჯი არ რჩება შეუმჩნეველი. ჩასაფრებული ჟურნალისტები ხალხის კერპებს მარტო თამაშის დროს კი არა, პირად ცხოვრებაშიც არ აძლევენ მოსვენებას.

მაგალითად, ამერიკული ჟურნალი „სპორტ მაგაზინი“ ყოველწიურად ადგენს სპორტსმენთა სიას, რომლებიც ყველაზე გემოვნებით და ყველაზე უგემოვნოდ იცვამენ.

წლეულს ჩოგბურთელები თავს ბევრით ვერაფრით მოიწონებენ — ერთადერთი, ვინც „გემოვნებიანთა“ ნუსხაში მოხვდა, 18 წლის მამაკაცთა რჩეული ანა კურნიკოვაა.

სამაგიეროდ, „უგემოვნოთა“ სიას ერთბაშად ოთხი ჩოგბურთელი — ანდრე აგასი, მონიკა სელეში, სერენა და ვინუს უილიამსები „ამშვენებენ“, რომლებსაც ჟურნალის რედაქტორებმა ჩაცმა-დახურვა რატომღაც არ მოუწონეს.

კურნიკოვას გარდა საუკეთესოთა შორის მოიხსენიეს მეგოლფე ტაიგერ ვუდსი, კალათბურთის მწვრთნელები — პეტ რაილი და რიკ პიტინო, შერცხვენილ ჩოგბურთელებს კი მხარი NBA-ს სუპერვარსკვლავმა შაკილ ონილმა დაუმშვენა.

* * *

**წლევანდელ** „ოუფენზე“ ბურთის ერთ მიმტანს „ბიჭს“ ვერაფერით დაარქმევ: რესტონელი მენი ჰერსკოვიცი, რომელიც იუნიორთა შორის ამერიკელი ლესლი ჯოზეფისა და ტაივანელი იენ სუნ ლუს შეხვედრას ემსახურებოდა, 82 წლისაა.

ჰერსკოვიცი ჩოგბურთს ამჟამადაც კვირაში ორჯერ თამაშობს და ასაკოვანთა ოლიმპიადაზე საყვარელი სპორტის გარდა მძლეოსნობაშიც სცდის ბედს. ბურთის მიმტანად პირველად იგი მაისში, ვეტერანთა ტურნირზე გაისარჯა ვაშინგტონში, მერე კი იგივე მოვალეობას აშშ-ის დედაქალაქში ATP-ის პირველობაზეც ასრულებდა.

ერთი შენიშვნაც — ჯოზეფისა და ლუს ერთად აღებული ასაკი სულ 34 წელი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი სახელისუფლო დერეფნებში დაიკარგა

მთავრობის გუშინწინდელმა გაფართოებულმა სხდომამ სპორტის მესვეურებს გვარიანი საფიქრალი გაუჩინა. იქ კონკრეტულად სპორტის დაფინანსებაზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ როგორც სპორტის დეპარტამენტის სპორტის სამმართველოს უფროსმა ამირან აბესაძემ გვითხრა, სხდომის დამთავრების მერე დეპარტამენტის წარმომადგენლებისთვის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელებს კულისებში უთქვამთ, ფული არ გვაქვს და წლეულს სპორტს ვეღარ დავაფინანსებთო. თან ესეც დაუმატებიათ, ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულებით, სამინისტროს მთელი თანხები ხელფასებისა და საპენსიო ფონდისთვისაა მობილიზებულიო. მაგრამ ვის დაუჯეროს დეპარტამენტმა, რომელსაც წინ უდევს იმავე პრეზიდენტის 23 აგვისტოთი დათარიღებული ბრძანება, რომელიც დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანსა და ფინანსთა მინისტრ დავით ონოფრიშვილს ავალებს აუცილებლად ჩასატარებელ სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის შემუშავებას, ხოლო მასზე მეთვალყურეობას — სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თედო ისაკაძეს? მართალია, ზემოთნახსენები საუბრები კულუარულ დონეზე რჩება და ჯერ არანაირი ოფიციალური დოკუმენტი არ მიუღიათ, მაგრამ დეპარტამენტის ხელმძღვანელობა მაინც შეშფოთებულია, მიზეზიც აქვს. თუ დაფინანსება მართლაც ვერ მიიღეს, მაშინ ვერც ჩვენი ხელბურთელები ითამაშებენ დანიელებთან მეტად მნიშვნელოვან მატჩებს და ველარც ძიუდოისტები, მოჭიდავეები და სხვები წავლენ საოლიმპიადო-სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ამას კი საჯარიმო სანქციების გარდა უოლიმპიადოდ დარჩენა და არცთუ ისე შორეულ პერსპექტივაში ქართული სპორტის იზოლაცია მოჰყვება.

დეპარტამენტი ძიუდოისტებს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს ახლაც ნისიად უწყობს შეკრებებს. „ბერძენ-რომაელთა" მსოფლიოს ჩემპიონატი 23-26 სექტემბერს ჩატარდება ათენში. ისინი ბაგებში გადიან შეკრებას, ოღონდ იმ პირობით, რომ ხვალისთვის ფული უნდა გადაიხადონ. როგორც ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თემურ ყაზარაშვილმა გვითხრა, თუ თანხა დათქმულ დროზე არ გადაიხადეს, სასტუმროს ხელმძღვანელობა მოჭიდავეებს შეკრებას შეუწყვეტს.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი

# მოდით, გვიქომაგეთ, დასწრება უფასოა!

ხვალ ქართული ხელბურთის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობის მატჩია — ნაკრები ევროჩემპიონატის პირველ საპლეიოფო შეხვედრაში დანიელებს უმასპინძლებს. სწორედ ამ მნიშვნელოვან თამაშს მიეძღვნა გუშინ ჟურნალისტთა სახლში გამართული პრესკონფერენცია, რომლის მასპინძლადაც საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი თენგიზ გაზდელიანი მოგვევლინა.

ასოციაცია, მწვრთნელთა გუნდი, მოთამაშეები თამამ პროგნოზებს ერიდებიან. იციან, ვისთანაც აქვთ საქმე და იმიტომ. მაგრამ ისე არ გაგვიგოთ, თითქოს უიმედოდ არიან. პირიქით, ფინალში გასასვლელად თავს არ ზოგავენ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა დოლიძე გუშინაც დაგვპირდა, რომ მეტოქეს თბილისში იოლად არაფერს დაუთმობენ. მათ იმედი აქვთ, რომ დანიაში რამდენიმებურთიანი მარაგით ჩავლენ.

ნაკრების ამ ეტაპამდე მისვლით უკვე შეიძლება ლაპარაკი ევროპულ ხელბურთში ჩვენს ადგილზე. წავიდა ის დრო, როცა ევროთასებზე მოასპარეზე ჩვენი კლუბები ორივე თამაშს მეტოქის მოედანზე მართავდნენ და ამით წინასწარ აწერდნენ ხელს კაპიტულაციას. როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, თურმე ასოციაციის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ თავდაპირველ გეგმაში ამ ნაკლის აღმოფხვრა დაისახა მიზნად, ისევე როგორც ნაკრების ამ წარმატებამდე მიყვანა. სხვათა შორის, თურმე ზაპოროჟიელები ახლაც სთავაზობენ „სტუ-შევარდენს", ევროლიგის ორივე შესარჩევი თამაში აქ ჩავატაროთო, მაგრამ ასოციაციის ხელმძღვანელობა სასტიკ უარზეა.

რა მოხდება, თუ დანიამ პლეი ოფიდან გამოგვაგდო? თენგიზ გაზდელიანი გვამშვიდებს — ამ შემთხვევაშიც კი ქართული ხელბურთის განვითარება არ შეწყდება და გააგრძელებს არსებობას. ღმერთმა ინებოს, მაგრამ როცა არ ტარდება ეროვნული ჩემპიონატი, ჩვენი ხელბურთის მომავალი მთლად ნათელ ფერებში მაინც არ გვესახება. სხვას რომ თავი დავანებოთ, სასელექციო მუშაობა ხომ მაინც აუცილებელია.

რა ითვლება ნაკრების წარმატების საფუძვლად? ეს კითხვა კანონზომიერად გაისმა პრესკონფერენციაზე. ზაზა დოლიძის აზრით, ამის საფუძველი ასოციაციის საქმიანობის გარდა ხელბურთში მოსული ნიჭიერი თაობა, რამდენიმე ძლიერი ლეგიონერი და მეგობრული გუნდია. გუნდი, რომელსაც ხვალ მხოლოდ ტიტე კალანდაძე დააკლდება. თუმცა ის სათადარიგოთა სკამზე მაინც იქნება და მეტოქეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით ცოტა ხნით შეიძლება მოედანზეც ვიხილოთ. ჩამოვიდა გარი თურქიაც და ინტენსიურადაც ემზადება. დანარჩენებიც ჯანმრთელად არიან.

შეხვედრის ბოლოს კი გაზდელიანმაც, დოლიძემაც, „ხელბურთის პელემ" — ჯემალ ცერცვაძემ და სხვებმა ხვალინდელ მატჩზე მაყურებელთა დიდი რაოდენობით დასწრება ისურვეს. მით უფრო, ასოციაციამ ადრე დაგეგმილი ბილეთები გააუქმა და დასწრება უფასოა. უნებურად ჩვენი მორაგბეების ნაკრები გამახსენდა. თბილისში, მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე ტონგელებთან თამაშის წინ ისინიც ასევე ითხოვდნენ მაყურებელთა დასწრებას. რაც გავაკეთეთ, ყველაფერი ხალხისთვის და რასაც მივაღწიეთ, ხალხის მხარდაჭერითო, ამბობდნენ ბორჯღალოსნები. მაშინ არც ხალხმა გააწბილა მორაგბეები და არც მორაგბეებმა — ხალხი. იმედია, ხვალ საღამოს, 18 საათსა და 30 წუთზე, თბილისის სპორტის სასახლეშიც ასე იქნება.

**ირაკლი თავაძე**

სროლა



ბადრი ქართველიშვილის ფოტო

თამაზ იმნაიშვილი სიდნეიში უთოფოდ წავა

# თოფი თუ ჰალსტუხი?

## იმნაიშვილის ბედი ჰალსტუხი ყოფილა

იქნებ გახსოვდეთ, ერთ ადრეულ წერილში ვბჭობდით, როგორ წავიდოდა სიდნეიში ქართველი მესტენდური თამაზ იმნაიშვილი — თოფით ანუ მოქმედი სპორტსმენის რანგში თუ ჰალსტუხით, როგორც საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი. შეგახსენებთ, რომ იმნაიშვილი ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დანიშნა დელეგაციის ხელმძღვანელად, ოღონდ იმ პირობით, რომ თუ ლიცენზიას მოიპოვებდა, ამ ადგილს სხვას დაუთმობდა. ახლა დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ იმნაიშვილი ავსტრალიაში ჰალსტუხით ანუ მისიის ხელმძღვანელად ჩავა. ეს მონპელიეში, მესტენდურთა ევროპის ჩემპიონატზე გაირკვა, სადაც იმნაიშვილიც და მეორე ქართველი მესტენდურიც — დავით ქვათაძე ფინალს მიღმა დარჩნენ. ეს კი უმედლოდ დარჩენის გარდა ულიცენზიოდ დარჩენასაც ნიშნავს. თუმც მცირედი, მაგრამ მაინც იმედი ლიცენზიის მიღებისა ჯერ ისევ არის, ოღონდ, რომ იტყვიან, გვერდითი კარიდან — შეიძლება რაღაც მიზეზით ლიცენზია ვინმემ დათმოს და საერთაშორისო ფედერაციამ ის ჩვენს ფედერაციას გადასცეს. სწორედ ასე მოიპოვა იმნაიშვილმა 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება.

სატელეფონო საუბარში ქვათაძემ წარუმატებლობა უვარჯიშებლობას დააბრალა. საქართველოში სასროლეთები ხომ აღარ დარჩა, სპორტსმენები საფრანგეთშიც კი ვერ წავიდნენ დროზე, რათა მონპელიეში საგანგებოდ ამ ჩემპიონატისთვის აგებულ სასროლეთზე ევარჯიშათ. ამის მიზეზი მხოლოდ უფულობა არ არის. წასვლისას ქვათაძემ გვითხრა, რომ საფრანგეთის საელჩომ რამდენიმე დღით დააგვიანა ვიზების გაცემა და საბოლოოდ მხოლოდ სეოკის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონის პროტექციამ გაჭრაო. შედეგად ჩვენებურებმა მხოლოდ სამჯერ ივარჯიშეს მონპელიეში, რომელმაც ამ ტურნირის მასპინძლობის თავი ვერ გაართვა (ესეც ქვათაძის სიტყვებია).

ევროპის ჩემპიონატი კი ჩეხი მესტენდურების ტრიუმფით აღინიშნა. მათ დარჩათ გუნდური პირველობაც და პირადი ოქრო-ბრინჯაოც, მხოლოდ ვერცხლი დაუთმეს ჰოლანდიელებს.

**ირაკლი თავაძე**

რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვის მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**ნონა გაფრინდაშვილი**

*ჭადრაკი*

*სპორტის დამსახურებული ოსტატი. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1962-1978), საჭადრაკო ოლიმპიადების 11 ოქროსა და 1 ვერცხლის მედლის მფლობელი (1963-1992), ორჯერ გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონთა თასის პირად პირველობაში, ერთხელ — ევროპის საკლუბო თასის გათამაშებაში, ხუთჯერ — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში. 1976 წელს მიენიჭა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ქალთა შორის, 1978 წელს — ვაჟთა შორის, რაც პირველი შემთხვევა იყო ჭადრაკის ისტორიაში. 1982 წელს გადაეცა პირველი საჭადრაკო „ოსკარი". 1996 წელს მიენიჭა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის საპატიო ორდენი და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ორდენი.*



1. ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია. მიჭირს, გამოვყო რომელიმე კონკრეტული მომენტი. პირველი გამარჯვება, პირველი წარმატება მაინც გამორჩეულია და უფრო ცხადადაც გამახსოვრდება. მაგრამ უფრო მასშტაბურ გამარჯვებებზე თუ ვისაუბრებთ, ყველაზე სასიამოვნო მოგონებად, ალბათ, მაინც 1961 წელს პრეტენდენტთა ფინალურ ტურნირში გამარჯვება უნდა დავასახელო, რასაც მომდევნო წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოჰყვა. პრეტენდენტთა ტურნირის მოგებამ მოიტანა ის სიხარული, ის აჟიოტაჟი, რაც მერე მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებით დამთავრდა. ამიტომ ვაერთიანებ ამ ორ წარმატებას, ისინი ურთმანეთოდ ვერ წარმომიდგენია.

ყველაზე სამწუხარო კი, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაკარგვაა. არადა, იმ პერიოდში, 1977-78 წლებში, ვთვლიდი, რომ საუკეთესო სპორტულ ფორმაში ვიყავი. მაშინ დიდი წარმატებით ვასპარეზობდი და მამაკაცთა ტურნირებშიც კი საპრიზო ადგილებს არასოდეს ჩამოვცილებივარ. თუმცა ერთიორჯერ ტიტულის დაბრუნებასთანაც ახლოს ვიყავი. ის დამარცხებებიც არანაკლებ სამწუხაროა.

2. ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში. სპორტსმენს უნდა ჰქონდეს ნორმალური ანაზღაურება, საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობის, მეცნიერულ დონეზე აყვანილი რეაბილიტაციის საშუალება. უამისოდ მიღწეული თითოეული წარმატება გმირობაა, უამისოდ ჩვენს სპორტსმენებს ვერასოდეს შეექმნებათ ისეთი პირობები, როგორც მათ კოლეგებს და ისინი თავიდანვე წაგებულნი იქნებიან.

3. ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, გივი კარტოზია.

ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, მაია ჩიბურდანიძე





ალექსეი იაშინი

# იფიქრე, ალიოშა

ცუდადაა ოტაველი სუპერფორვარდის, ალექსეი იაშინის საქმე. გუნდის გენერალურმა მენეჯერმა მარშალ ჯონსონმა ჰოკეისტი უვადო დისკვალიფიკაციით დასაჯა და ჟურნალისტებსაც აუწყა, რამ განაპირობა მისი გადაწყვეტილება.

ჯონსონის თქმით, ამ დღეებში იაშინის აგენტმა, მარკ განდლერმა მას წარუდგინა ჰოკეისტის ახალი პირობები, რომლის თანახმადაც უნდა გაფორმებულიყო ახალი, სამწლიანი კონტრაქტი. იაშინს წლეულს 3,6 მილიონი, მომდევნო ორ სეზონში კი შესაბამისად 11 და 12 მილიონი უნდა მიეღო, ესე იგი, ლიგის უძვირფასესი მოთამაშე ხდებოდა. მაგრამ მისმა საწვრთნელ ბანაკში გამოუცხადებლობამ ჯონსონი ისე გააცხარა, ჰოკეისტის დასჯა არ დააყოვნა. გენერალური მენეჯერი აზრს ჯერჯერობით არ იცვლის: „ჯერ ჩაატაროს ეს სეზონი, მერე კი ვნახოთ" — აცხადებს იგი და დასძენს, თუ იაშინი გონს მოვა და კლუბს შეუერთდება, ყოველგვარ წყენას დავივიწყებთო. ფორვარდს ჩემპიონატის დაწყებამდე აქვს დრო და ისლა დარჩენია, კარგად დაფიქრდეს.

# ბავშვები მილიონებს ითვლიან

## 18 წლის შტეფანმა თავი ძალიან დაიფასა

ცლევანდელი დრაფტის №1 ჩეხი პატრიკ შტეფანი კერკეტი კაკალი ყოფილა. 18 წლის ჭაბუკმა და მისმა აგენტმა სტივ კოზლოვიცმა ჯერ კიდევ ზაფხულში გამოაცხადეს, რომ თუ ატლანტა ჰოკეისტთან სექტემბრამდე არ მოაწერს ხელს მისთვის ხელსაყრელ კონტრაქტს, იგი საწვრთნელ ბანაკში არ გამოცხადდება. საბოლოოდ შტეფანმა თავისი გაიტანა — დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ ბანაკის გახსნის წინა ღამეს მხარეები საბოლოოდ შეთანხმდნენ პრემიალურებზე და მეორე დღეს, 3 სექტემბერს, ჰოკეისტი „თრეშერსის" ადგილსამყოფელში გამოცხადდა.



პატრიკ შტეფანი

ჩეხმა სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. იგი ამ ხნის განმავლობაში ხელფასის სახით 3,075 მილიონ დოლარს მიიღებს, რაც მისი ასაკის ახალბედებისთვის მაქსიმალური ანაზღაურებაა. აი, რაც შეეხება ბონუსებს ანუ პრემიალურებს, მათ რაოდენობაზე ზუსტად არაფერია ცნობილი, მაგრამ როგორც ატლანტის ერთ-ერთი გაზეთი იუწყება, თუ კარგად ითამაშა, ჩეხი კიდევ 4,5 მილიონ დოლარს შეიმატებს. ასე რომ, შტეფანს სულ ცოტა დააკლდა და შარშანდელი დრაფტის №1 ვენსან ლეკავალიეს გაუთანაბრდებოდა (ეს საერთო ჯამში 8 მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს).

გახარებულმა ახალბედამ ინტერვიუში განაცხადა, კონტრაქტის დადებამდე ძალიან ვნერვიულობდი, ახლა კი ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ჩემპიონატიო. თუმცა, როგორც გუნდის მენეჯერ ლონ უოდელის ნათქვამიდან ჩანს, ატლანტა მის მაქსიმალურად გამოყენებას უმალვე არ აპირებს. „მე უფრო ის მადარდებს, როგორი მოთამაშე იქნება შტეფი ოთხი-ხუთი წლის შემდეგ" — დასძინა უოდელმა.

# ჩვენი ძმაა, კარგი ბიჭია...

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო და... დალასის ცნობილ „პოლიციელ" ბრენტ სევერინსაც სამი თვით დაუგვიანდა, მაგრამ მაინც მიეზღო კუთვნილი — ამიერიდან მისი სახელი 1999 წლის პლეი ოფის გამარჯვებულთა შორის მოიხსენიება. არადა, ნჰლ-ის წესების თანახმად, ამ საპატიო სიაში ის ჰოკეისტები ხვდებიან, რომლებსაც ჩემპიონატში არანაკლებ 40 მატჩი ჩაუტარებიათ და ფინალშიც ერთ თამაშში მაინც მიუღიათ მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ სევერინმა ტრავმის გამო პირველობის 30 შეხვედრაში ითამაშა და პლეი ოფშიც არცთუ ხშირად გადიოდა მოედანზე, კლუბის მესვეურთა და მოთამაშეთა თხოვნამ გაჭრა და ნჰლ-ის ხელმძღვანელობამ ბრენტისთვის გამონაკლისი დაუშვა.

„ულრმესი მადლობა ბიჭებს, განსაკუთრებით მაიკ კინს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა ჩემთვის ეს პატივი მოენიჭებინათ" — უმადლის სევერინი გულისხმიერ თანაგუნდელებს.

**სამველ ღარიბიანი**



# ნამდვილების დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვუელტაზე" გუშინ პირველი მთიანი ეტაპი იყო, უფრო სწორად, ბორცვიანი, რადგან მრბოლებს განსაკუთრებული სიძნელის ალმართების დაძლევა არ დასჭირვებიათ. მიუხედავად ამისა, ეტაპი მაინც მთებში რბოლის ოსტატების უპირატესობით წარიმართა და 1997 წელს „ტურ დე ფრანსის" მომგები გერმანელის იან ულრიხის (ტელეკომი) გამარჯვებით დასრულდა. მეორემ ფინიშის ხაზი „ონსეს" ლიდერმა, ესპანელმა აბრაამ ოლანომ გადაკვეთა და საერთო ჩათვლაში ლიდერის ოქროსფერი მაისურაც პირველად მოიზომა.





★ — დღევანდელი ეტაპის სტარტი

ულრიხმა საფინიშო სპრინტი მოუგო ოლანოს, „ვუელტას" შარშანდელ გამარჯვებულსა და თანაც მსოფლიოს ჩემპიონს ინდივიდუალურ რბოლაში. დღეს კი ეტაპზე პირველობის საუკეთესო შანსი სწორედ ოლანოს აქვს, რადგან „ვუელტაზე" პირველი ინდივიდუალური რბოლაა. სპორტსმენებს სალამანკას გარშემო 46,4 კილომეტრის გავლა მოუწევთ.

იან ულრიხისთვის ეს კარიერაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმატებაა, რადგან 1997 წლის „ტურის" შემდეგ მას რაიმე ღირებული გამარჯვება თითქმის არ მოუპოვებია. ზაფხულში კი „გერმანიის ტურისას" ისე დაიმტვრა, საკმაო ხანი ველოსპირედს საერთოდ არ გაკარებია. ახლა, ეტყობა, მაშინ მიღებული მუხლის ტრავმა მთლიანად მოირჩინა და ამ ტურნირზე კიდევ იტყვის თავის სიტყვას. „ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ეტაპი მოვიგე და არა მთლიანად „ვუელტა" — უთხრა მიმლოცველ ჟურნალისტებს „გაუცინარმა" მრბოლმა.



იან ულრიხი და აბრაამ ოლანო საფინიშო სპრინტისას

REUTERS

ულრიხმა და ოლანომ პელოტონს გამოყოფილი ჯგუფის სათავეში დაამთავრეს ეტაპი, ჯგუფისა, რომელშიც ტურნირის თითქმის ყველა ფავორიტი შედიოდა — ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კელმე), ფრანკ ვანდენბრუკი (ბელგია, კოფიდისი), პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი)...

აქ მხოლოდ ორი დიდი სახელი არ იყო — შვეიცარიელი ალექს ცულე (ბანესტო) და ფრანგი ლორან ჟალაბერი (ონსე). ფრანგის ამბავი გასაგებია, აგვისტოს დასაწყისში მიღებული ტრავმები კი მოირჩინა, მაგრამ სპორტული ფორმის სრულად აღდგენა ერთთვიანი უქმობის შემდეგ უცბად ვერ მოახერხა და ამიტომაც წააგო თხუთმეტი წუთი.

აი, ცულეს ასეთი ცუდი გამოსვლა კი ნამდვილად მოულოდნელობა იყო. „ვუელტას" 1996 და 1997 წლების გამარჯვებულმა მოწინავეებთან ხუთ წუთზე მეტი წააგო. „ძალიან დაღლილი ვარ. ძალიან, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. ძალა თითქმის აღარ მაქვს" — განაცხადა რბოლის დამთავრების შემდეგ ტურნირის ერთ-ერთმა, აწ კი, შეიძლება ითქვას, ყოფილმა ფავორიტმა, შვეიცარიელმა ალექს ცულემ.

მთებში საუკეთესოს მაისურა კი ფრანგმა ლორან ბროშარმა (ფესტინა) იგდო ხელთ, რომელმაც პორტილოს მთის მწვერვალს პირველმა უწია. პორტილოს შემდეგ, რომელიც პირველი კატეგორიის სიძნელისა იყო (1240 მ), ბროშარს ულრიხის და ოლანოს ჯგუფი წამოეწია. ამის მერე დაწინაურებულებმა თანდათანობით გაზარდეს პელოტონთან თავიანთი უპირატესობა. სიუდად როდრიგოს მისადგომებთან კი ესპანელმა სანტი ბლანკომ სცადა გადამწყვეტი იერიშის განხორციელება და მშობლიურ ადგილებში გამარჯვება, მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე ასეული მეტრით ადრე ულრიხმა და ოლანომ გადაუსწრეს. გუშინ, ხომ ნამდვილების დღე იყო!

**გაიოზ თალაკვაძე**

| მეხუთე ეტაპი, ბეხარი — სიუდად როდრიგო, 160 კმ |
|---|
| 1. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — 3 სთ 52 წთ 56 წმ |
| 2. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) |
| 3. ფრანკ ვანდენბრუკი (ბელგია, კოფიდისი) |
| 4. დავიდე რებელინი (იტალია, პოლტი) |
| 5. ანხელ კასერო (ესპანეთი, ვიტალიციო) |
| |
| 1. აბრაამ ოლანო — 23სთ 48წთ 25 წმ |
| 2. იან ულრიხი — +10 წმ |
| 3. იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — + 15 |
| 4. ინიგო კუესტა (ესპანეთი, ონსე) — +19 |
| 5. ფრანკ ვანდენბრუკი — + 29 |

# არმსტრონგი სტამბოლის კაჟივითაა

ამერიკელმა ველომრბოლმა ლანს არმსტრონგმა, ვინც სათესლე ჯირკვლების სიმსივნისაგან განიკურნა ორიოდე წლის წინ, წლეულს „ტურ დე ფრანსის" მოგების შემდეგ კიდევ ერთ დიდ გამარჯვებას მიაღწია. აშშ-ს ქალაქ პორტლენდში, სადაც რჩეულ ველოსიპედისტებს ყოველწლიურად უმოწმებენ ჯანმრთელობას, მან მორიგი სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა. ექიმების დასკვნის მიხედვით არმსტრონგი, ჩვენში რომ იტყვიან, სტამბოლის კაჟივით ყოფილა.

მრბოლი ორეგონის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შეამოწმეს. მას ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ იკვლევენ ძირისძირობამდე, რათა დარწმუნდნენ, რომ სიმსივნე აღარ ვითარდება. და ასე უნდა გაგრძელდეს კიდევ ხუთი წლის განმავლობაში.

— ძალიან კმაყოფილები ვართ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით — განაცხადა დოქტორმა კრეიგ ნიკოლსმა — ავადმყოფობის ხელახლა განვითარების შესაძლებლობა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.



ლანს არმსტრონგი

27 წლის ლანს არმსტრონგი მთელს მსოფლიოში კიბოთი დაავადებულთა ერთგვარ სიმბოლოდ, მისაბაძ მაგალითად გადაიქცა. მან ხომ ისეთი სიმტკიცე და მედგარი ხასიათი გამოავლინა, რომ საშინელი ავადმყოფობისგან განკურნების მხოლოდ ორი წლის შემდეგ მსოფლიოს უპრესტიჟულესი ტურნირი „ტურ დე ფრანსი" მოიგო. არადა, ამ შეჯიბრში გამარჯვების ოცნება ბევრ სავსებით ჯანმრთელ და საკმაოდ ძლიერ ველოსიპედისტს აუხდენლად გადაქცევია.

არმსტრონგი ექიმებმა განკურნებულად 1997 წელს ჩათვალეს. მას მერე, რაც მან ქიმიოთერაპიის ოთხი სეანსი ჩაიტარა და ორჯერაც საოპერაციო მაგიდაზე დაწვა.

ამის მერეც, არმსტრონგი სიმსივნით დაავადებულებთან ურთიერთობას არ წყვეტს. 1997 წელსვე მან თავისი სახელობის ფონდი დააარსა, რომელშიც მუდმივად რიცხავს ხოლმე საკმაოდ დიდ თანხებს. ფონდში, რომელსაც ზემოთ ნახსენები დოქტორი ნიკოლსი ხელმძღვანელობს, უკვე 1,4 მილიონი ამერიკული დოლარია მოგროვილი. ეს ფული კიბოს წამლის გამოგონებასა და ამ ავადმყოფობის დასაძლევად წარმოებულ სხვა გამოკვლევებზე იხარჯება. გარდა ამისა, ფონდი შეძლებისდაგვარად პატრონობს სიმსივნით დაავადებულებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ლონდონიდან

# სიჯანსაღისთვის

ევროპაში ფეხმოკიდებული ლიბერიელები რომ თავიანთ სამშობლოს ეხმარებიან, ამას ჯორჯ ვეას მაგალითიც გვახსენებს. ვეას ბიძაშვილი, ასევე ფეხბურთელი, „არსენალში“ მოთამაშე კრისტოფერ ვრეც გულთბილია თავის ქვეყნის მიმართ. კათოლიკურ სააგენტო კაფოდის პროგრამით და ვრეს მეცადინეობით, ლონდონში ახალგაზრდა ლიბერიელ ფეხბურთელთა სახელდახელოდ შეკრებილი გუნდი „მილენიუმ სთარზი“ მოუწვევიათ და ჯანსაღ ვარჯიშობასა და ცხოვრებას შეასწავლიან სამი კვირის მანძილზე. კრისტოფერიც (წინა პლანზე) მათი გახურებითაა დაკავებული. ამ გუნდში კი ბიჭი არ არის, ლიბერიაში შვიდ წელიწადს მიმდინარე სამოქალაქო ომში ავტომატი რომ არ სჭეროდა.

## კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლe6+ მფ:e6 32. g2-g3 f:g3 33. f:g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კd4+



REUTERS ანგლედან

## ტალღების ქალი

ავსტრალიელ სერფერ სერენა ბრუკს მოუგია საფრანგეთის ზღვისპირა ანგლეში გამართული „ბილაბონგ პროს“ ქალთა შეჯიბრი. ტალღებზე მოსრიალე ქალთა შორის ჭიდილში თანამემამულეები მელანი რედმენი და ლეინ ბიჩლი დაუმარცხებია. „ბილაბონგი“ რიგით მეთერთმეტე პრესტიჟული შეჯიბრია სერფერთათვის. სულ კი ასეთი ცამეტია წელიწადში.



REUTERS ნიუ იორკიდან

## ფლაშინგ მედოუზ

გამორჩენილები-მეთქი, გაუწყეთ წინა „სარბიელში“. გამორჩენილები თავს იყრიან ფლაშინგ მედოუზის ტერასებზე, რათა დააგემოვნონ დიდი ჩოგბურთი ამერიკის ღია პირველობისა. აი, დღემდის უკვდავი „როლინგ სტოუნზის“ უბერებელ-მობერებული გიტარისტი კიტ რიჩარდსი და მისი ცოლი პეტი ჰენსონი, რომელთაც თავიანთი ადგილების დაკავება სწადიათ სერენა უილიამს-მონიკა სელეშის შეხვედრის წინ.

ეს კი ფრანგი მარი პირსია (ქვედა ფოტოზე), ხომ ხედავთ, ოპერატორი თასმების შეკვრასაც არ აცლის.

## დგანან და ელიან

აშშ, იხსნება საერთო აფრიკული თამაშები, რომელთა მასპინძელიც სამხრეთი აფრიკაა. შეჯიბრი მისასალმებელია, მაგრამ სერვისი კი გვარიანად მოიკოჭლებს. აგერ, რამდენი ხანია, ანგოლელი სპორტსმენები ავტობუსს ელიან, რათა სავარჯიშოდ წავიდნენ. ანგოლის გუნდი დაუსახლებიათ აღმოსავლეთ იოჰანესბურგის უღარიბეს გარეუბან ალექსანდრაში, სადაც შხაპიც კი საძებარია.



REUTERS ალექსანდრიიდან



REUTERS ნიუ იორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli